რუსეთის ენერგოკომპანია უკრაინიდან გააძევეს A2

აქედან წიგნის დაწვამდე ერთი ნაბიჯია A8

სპეცსამსახურები B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 30 იანვარი, 2004 წელი. №24 (573)

ფასი 50 თეთრი

# საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ძველი ცოდვები გაუხსენეს

ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მოკვლეულ საპენსიო ფონდის საქმეში ჩხარტიშვილის გვარიც ფიგურირებს

თამარ კაციტაძე
ინგა ალავიძე

*გენერალური პროკურატურა საჩვენებელ დაჭერებს აგრძელებს. იმელის შენობის შემდეგ სპეცრაზმი საგადასახადო დეპარტამენტის შენობას მიადგა და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ჩხნაშვილი, საკუთარი კაბინეტიდან პირდაპირ გენერალური პროკურატურის შენობაში მიიყვანეს.*

**"როგორც წესი, პროკურატურაში მოსული ადამიანები ცუდად ხდებიან და შემდეგ საავადმყოფოში გვიწევს მათი წაყვანა,"** – ასე გაამართლა სპეცრაზმელების მიერ ბოლო პერიოდში გახშირებული მოულოდნელი დაპატიმრებები გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

გაგრძელება A7 გვერდზე



ვახტანგ ჩხნაშვილის დაპატიმრება.

# პოლიტიკას კულუარებში გადანაცვლება ემუქრება

კონსტიტუციური ცვლილებების და პარტიული გაერთიანების მოტივაცია

ეკა კვესიტაძე

ახალი ლიდერების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთავარ პოლიტიკურ თემად საკონსტიტუციო ცვლილებები იქცა. მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია დაჟინებით ითხოვენ მინისტრთა კაბინეტის შექმნას და არგუმენტად რეფორმების გასატარებლად არსებული სისტემის არაეფექტურობა მოჰყავთ.

კონსტიტუციის შეცვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, ჟვანია კი აცხადებს, რომ არ მიიღებს პრეტენზიებს მათგან, ვინც ადრე საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად ხელმოწერებს აგროვებდა. ამ მინიშნებას სახელმწიფო მინისტრი აშკარად აკაკი ასათიანის მისამართით აკეთებს და იმ არასამთავრობოებსაც გულისხმობს, ვინც ადრე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას ითხოვდა.

მაგრამ, ამ შემთხვევაში ზურაბ ჟვანია არ აკონკრეტებს იმას, რომ სიტყვათა შეთანხმება "საკონსტიტუციო ცვლილებები" ძალიან ზოგადია და ის შეიძლება გულისხმობდეს როგორც წმინდა საპარლამენტო მოდელის შემოღებას, ისე არსებული მოდელის დახვეწასა და დედანთან ანუ ამერიკულ ვარიანტთან დაახლოებას.

პროექტი, რომელზეც დღეს ხელისუფლება მუშაობს, არ არის ის ვარიანტი, რასაც თავის დროზე საკონსტიტუციო ცვლილებათა მსურველები გულისხმობდნენ.

საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია, უმოტივაციოდ დაითხოვოს პრემიერ-მინისტრი; ასევე, უფლება ეძლევა, პარლამენტთან უთანხმოების შემთხვევაში, რადიკალური გადაწყვეტილება მიიღოს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს - ეს არის ის ძირითადი პრინციპები, რომელიც ხელისუფლების მიერ მომზადებულ ცვლილებებშია ჩადებული და რომელიც პრეზიდენტის გაკონტროლების მექანიზმებს თითქმის გამორიცხავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არაპოპულარული პრობლემა - მესხეთელი თურქები

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიამ საქართველოს მეტად მტკივნეული, ე.წ. "თურქი მესხების" პრობლემა შეახსენა. თავისთავად, სავალალოა ის ფაქტი, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ქვეყანაში მხოლოდ მაშინ ხდება აქტუალური, როცა ევროსაბჭო ჩვენ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხს განიხილავს. ამის თქმის საფუძველს ის გარემოება გვაძლევს, რომ 1996 წლიდან მოყოლებული, დღემდე, ამ პრობლემასთან დაკავშირებით, საქართველოში თითქმის არაფერი გაკეთებულა. არადა, იმ 33 საკითხიდან, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ევროსაბჭოს წინაშე ვალდებულებების სახით აიღო, "თურქი მესხების" პრობლემა ყველაზე უფრო ძნელად მოსაგვარებელია.*

ვერიკო თევზაძე

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მესხეთიდან გადასახლებული მოსახლეობის საკითხისადმი ქართული მხარის დამოკიდებულება ფრაგმენტული იყო. პრობლემა დროდადრო წინა პლანზე წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ მალე ისევ მივიწყებას ეძლეოდა.

დავიწყოთ იქიდან, რომ რვა წლის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრი ოდნავადაც კი არ შეცვლილა. ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი ისეთივე არაერთგვაროვანი და, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, მკვეთრად უარყოფითია, როგორიც ხსენებული საკითხის ვალდებულებად გაფორმების დროს იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ბიბისის" გენერალური დირექტორი გადადგა

დიდ ბრიტანეთში მოსამართლე ჰატონის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ საინფორმაციო სააგენტო "ბიბისი" საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა.

გუშინ თანამდებობა დატოვა სამაუწყებლო კორპორაცია "ბიბისის" გენერალურმა დირექტორმა გრეგ დაიკმა, მანამდე კი, პოსტიდან გადადგა "ბიბისის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე გევინ დევისი.

როგორც ვიუწყებოდით, ლორდმა ჰატონმა, რომელიც "ერაყული დოსიეს" გარშემო განვითარებულ სკანდალს და თავდაცვის სამინისტროს ექსპერტის დევიდ კელის თვითმკვლელობის ფაქტს იძიებდა, "ბიბისი" კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. კერძოდ, დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ "ბიბისის" რეპორტაჟი, რომელიც დოქტორ კელისთან – როგორც ანონიმ წყაროსთან - ინტერვიუს ემყარებოდა, დაუზუსტებელ მტკიცებულებებს შეიცავდა, რაც ეთერში გაშვებამდე კორპორაციის ხელმძღვანელობამ არ შეამოწმა.

გაგრძელება A5 გვერდზე



გევინ დევისი უკვე აღარ არის "ბიბისის" შეფი.

## პოლიტიკა

### ქართველები აფხაზეთის კონფლიქტის გასაღებს ჩრდილოეთ ირლანდიაშიც ეძებენ

როდესაც აფხაზურ მხარესთან შეთანხმების მიღწევაზეა საუბარი, დიდ მნიშვნელობას იძენს სახალხო დიპლომატია, არაფორმალური შეხვედრები და იმ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, რომელიც კონფლიქტების მოგვარების კუთხით არსებობს.

A3

## ეკონომიკა

### "თელასმა" საუბრის ტონი გაამკაცრა

დღის განმავლობაში დედაქალაქის რაიონების მნიშვნელოვან ნაწილს ელექტროენერგია კვლავ არ მიეწოდება. დღისით იზღუდება თბილისის თითქმის ყველა განაპირა რაიონი. "თელასის" მენეჯერები აცხადებენ, რომ კომპანიას ლიმიტით დადგენილზე გაცილებით მეტი დენი აკლდება, რაც დედაქალაქში მწვავე ენერგოდეფიციტს ქმნის. ისინი ამ შეზღუდვას უკანონოდ მიიჩნევენ და საპასუხო დარტყმებზე გადადიან.

A4

## უცხოეთი

### აჰმედ ზაკაევი ბერლინს ეწვია

ჩეჩნეთის ამბოხებული პრეზიდენტის ასლან მასხადოვის წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი გერმანელი დეპუტატების მიწვევით ბერლინში ჩავიდა. ამასთან დაკავშირებით, მოსკოვმა უკვე გამოთქვა უკმაყოფილება.

A5

## საზოგადოება

### პედაგოგები გაფიცვისთვის ემზადებიან

ქუთაისში პედაგოგები დეკემბრის ხელფასის "გაყინვას" აპროტესტებენ. ამასთან, მასწავლებლებს კუთვნილ ანაზღაურებაზე 20-პროცენტიანი დანამატიც მოუხსნეს, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ერთი წლის წინ მათ დიდი ზარ-ზეიმით დაუწესა.

A6

## სამართალი

### კორუმპირებული მოხელეები დაუსწრებლად გასამართლდებიან და მოპარული ქონება ჩამოერთმევათ

*უშიშროების საბჭოს ახალმა მდივანმა, გენერალურმა პროკურორმა და იუსტიციის მინისტრმა გუშინ ახალი საკანონმდებლო პაკეტის - "ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შესახებ" კანონპროექტის პრეზენტაცია გამართეს.*

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 12 |
| ქუთაისი | 15 |
| ბათუმი | 17 |
| სოხუმი | 16 |
| ფოთი | 17 |
| თელავი | 11 |
| ზუგდიდი | 17 |
| გორი | 9 |
| ახმეტა | 11 |
| ჭიათურა | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1051 |
| ევრო | 2.6312 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8300 |
| რუბლი | 0.0739 |

## "საქართველოს საბითუმო ბაზრის" ყოფილი დირექტორი გადასახადების დამალვისთვის დააკავეს

ინგა ალავიძე

*გუშინ საღამოს, პროკურატურამ კიდევ ერთი სადამსჯელო სპეცოპერაცია ჩაატარა. თბილისის პროკურატურამ "საქართველოს საბითუმო ბაზრის" ყოფილი დირექტორი დავით ჯიბღაშვილი დააკავა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ენერგეტიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომელიც ენერგეტიკის სფეროში უშიშროების საკითხებს კურირებდა, საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას და მისი ოპერატიული დაკავება ამიტომაც მოხდა.*

თბილისის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის ინფორმაციით, დავით ჯიბღაშვილი, 2000-2001 წლებში საქართველოს საბითუმო ბაზრის გენერალურ, დირექტორის

გაგრძელება A2 გვერდზე

## აჭარაში არეულობების საფრთხე რეალური ხდება

**"აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე არსებობს. ასლან აბაშიძის მხარდამჭერებსა და "კმარას" აქციებზე ისეთი პირები იმყოფებიან, რომლებსაც რეგიონში დაძაბულობის შექმნა აქვთ დავალებული,"** – განაცხადა კონფლიქტოლოგმა მამუკა არეშიძემ გუშინ, აჭარის წარმომადგენლობაში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც იურისტი დავით უსუფაშვილიც ესწრებოდა.

მამუკა არეშიძის თქმით, რუსეთი დაინტერესებულია, აჭარაში მიმდინარე მოვლენები თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და როგორც აჭარაზე, ისე სამცხე-ჯავახეთზე კონტროლი არ დაკარგოს. როგორც გუშინ აღინიშნა, არეშიძე ფლობს უტყუარ ინფორმაციას, რომ გარეშე ძალები უკვე მოქმედებენ და სამოქალაქო ფორმაში გადაცმული შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც აჭარაში გამართულ ორივე მხარის მიტინგებზე ხშირად ჩნდებიან, დესტაბილიზაციასა და არეულობას გეგმავენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მეტალურგიული კომბინატის იტალიელ ინვესტორს სასამართლომ წილი გაუუქმა

მაია მოსიაშვილი

*"რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს "არეს ინტერნასიონალე"-სათვის გადაცემული 77 მილიონი დოლარის ქონება უკან უნდა დაუბრუნდეს," - ნათქვამია განჩინებაში.*

გუშინ რუსთავის საქალაქო სასამართლომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ერთ-ერთი მსხვილი კრედიტორის "კილიგარდ ინვესტმენტის" წარმომადგენლის დავით შათაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა. მოსარჩელე შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" რეგისტრაციის გაუქმებას და იტალიელი ინვესტორისათვის 98 პროცენტიანი წილის დათმობის ხელშეკრულების ანულირებას ითხოვდა.

გაგრძელება A2 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სპეცსამსახურები | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## გერმანელები დიდი იმედით უყურებენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას



*მიხეილ სააკაშვილის დახვედრა ბერლინის აეროპორტში.*

29 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თვითმფრინავი ბერლინის თეგელის აეროპორტში ადგილობრივი დროით 9.35 საათზე დაეშვა. საქართველოს პირველ პირს და მის მეუღლეს, ქალბატონ სანდრა რულოვსს, აეროპორტში, საპატიო ყარაული, გერმანიის მთავრობის წევრები, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთში კოტე გაბაშვილი და მისი მეუღლე მანანა ხელაია დახვდნენ.

სასტუმრო "ინტერკონტინენტალში" დაბინავების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი, თანმხლებ პირებთან ერთად, რაიხსტაგში გაემგზავრა, სადაც საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა: **"დიდი მადლობა გერმანიას დახმარებისთვის. ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ თქვენით."**

ამის შემდეგ გაიმართა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და ბუნდესტაგის პრეზიდენტს, ვოლფგანგ ტირზეს შორის. საუბრისას საქართველოს პირველმა პირმა მადლობა გადაუხადა გერმანელ ხალხს მეგობრობისთვის, თანადგომისა და დახმარებისთვის. **"გერმანია ჯერ კიდევ 1918-21 წლებში ეხმარებოდა საქართველოს. დიდი დახმარება მივიღეთ 90-იან წლებში. მომავალშიც გვაქვს ამის იმედი,** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა, - **გერმანელები დაეხმარებიან ქართველ ხალხს არა იმიტომ, რომ მათი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, არამედ - საერთოდ საქართველოსადმი პატივისცემის ნიშნად."**

გერმანიაში საქართველოს ელჩის, კოტე გაბაშვილის განცხადებით: **"გერმანელები დიდი იმედით უყურებენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას."**

აღნიშვნის ღირსია ის პირობები, რომელიც ქართველ ჟურნალისტთა კორპუსს გერმანული ვიზიტისას შეუქმნეს. საქართველოს საელჩომ ჩვენი ჟურნალისტები ცივილიზებული მუშაობისთვის მაქსიმალური პირობებით უზრუნველყო. როგორც მედიის "ვეტერანმა" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, წინა ხელისუფლების დროს, მედიისადმი ასეთი ყურადღება დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

*თემურ გრიგალაშვილი*
*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

## რეკომენდაციები პრეზიდენტისთვის

### საქართველომ სწრაფად უნდა იმოქმედოს კორუფციის დასამარცხებლად და "ვარდების რევოლუციის" იმედების გასამართლებლად

გუშინ ბერლინში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამართა ლექცია, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია "Transparency International"-ის მიერ იყო ორგანიზებული. Transparency International-ი არის გავლენიანი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც კორუფციულ სისტემებთან ბრძოლაზეა სპეციალიზებული.

**"Transparency International-ი გამოთქვამს მზადყოფნას და სურვილს კორუფციის დამარცხებაში დახმარება გაუწიოს პრეზიდენტ სააკაშვილს,"** - განაცხადა ორგანიზაციის თავმჯდომარემ პიტერ ეიგენმა. **"ჩვენ მივესალმებით საქართველოს პრეზიდენტად იმ პოლიტიკოსის არჩევას, რომელიც "ვარდების რევოლუციის" სათავეში იდგა და რომელმაც განახორციელა მშვიდობიანი დემოკრატიული რევოლუცია კორუმპირებული რეჟიმის წინააღმდეგ,"** - დასძინა ბატონმა ეიგენმა.

**"საქართველოს სტაბილურობის მომავალი სწორედ კორუფციასთან ბრძოლის შედეგებზეა დამოკიდებული,"** - აცხადებს ეიგენი. ამასთან დაკავშირებით მან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს წარუდგინა **Transparency International-**ის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ 200 დღეზეა გათვლილი.

**Transparency International-**ის რეკომენდაციები საქართველოს პრეზიდენტს:

*პირველი 100 დღე* - ანტიკორუფციული კომისიის აღჭურვა საგამოძიებო უფლებებით და პასუხისმგებლობით პარლამენტის წინაშე; ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის უსწრაფესი და სრული განხორციელება; გენერალური რევიზორის ოფისის დაფუძნება; საჯარო სამსახურში საკადრო გარდაქმნების განხორციელება და ხელფასების გაზრდა.

*პირველი 200 დღე* - საპარლამენტო იმუნიტეტის ბოროტად გამოყენების საკითხის გადაწყვეტა. იმ საფარის მოშლა პოლიტიკოსებისათვის, რითაც ისინი თავს არიდებენ კანონს; საჯარო მოხელეებისათვის მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩოების დაწესება; პარლამენტის მიერ ისეთი კანონების მიღება, რომლებიც მკაცრად აუკრძალავენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს კანონის დარღვევას.

დეცენტრალიზებული პოლიტიკური სტრუქტურის შესაქმნელად მუშაობის დაწყება, სადაც თვითმმართველობის ხარისხი საგრძნობლად იქნება გაზრდილი. პოლიციაზე ადგილობრივი ზედამხედველობის გაძლიერება და საკანონმდებლო პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

ყველა საჯარო ტენდერის ღიად ჩატარება, სადაც გამორიცხული იქნება მძარცველური ხელშეკრულებების და ქვეკონტრაქტების დადება.

## "საქართველოს საბითუმო ბაზრის" ყოფილი დირექტორი გადასახადების დამალვისთვის დააკავეს

პირველი გვერდიდან

თანამდებობაზე მუშაობდა და ექვმიტანილია ბიუჯეტისთვის სოლიდური თანხების დამალვაში. საუბარია 3 მილიონ 700 ათასი ლარის გადასახადის დამალვაზე. გარდა ამისა, ჯიბლაშვილის საქმეში უკანონო ჩათვლებსა და სხვა სერიოზულ ფინანსურ ოპერაციებზეცაა საუბარი.

უშიშროების საბჭოს ყოფილი თანამშრომელი, რომელიც საბჭოს ყოფილი მდივნის ნუგზარ საჯაიას კადრად ითვლებოდა, გუშინ საღამოს, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ახლოს, მეტროსადგურ "300 არაგველის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. თბილისის პროკურატურას ჯიბლაშვილისთვის წასაყენებელი ბრალდების თაობაზე დადგენილება წინასწარ ჰქონდა გამზადებული და მას შემდეგ, რაც ეჭვმიტანილთან მის მიერვე მოთხოვნილი ადვოკატი გოგმარ გაბუნია მივიდა, გვიან ღამით, იგი ბრალდებულად გამოცხადდა.

თბილისის პროკურორის განცხადებით, "საქართველოს საბითუმო ბაზარს", კონკრეტულად, დავით ჯიბლაშვილის ფინანსურ დარღვევებს, გამოძიება "ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში მიადგა. ვალერი გრიგალაშვილის ინფორმაციით, საქმის ძიებისას ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი გამოიკვეთა და დღის წესრიგში საბითუმო ბაზრის შემოწმების აუცილებლობაც დადგა. თბილისის პროკურატურის მიერ "საქართველოს საბითუმო ბაზარში" ჩატარებული რევიზიის შედეგად დავით ჯიბლაშვილი მსხვილ კორუფციულ დანაშაულში ეჭვმიტანილად გამოცხადდა.

2002 წლის თებერვლიდან, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში, მსოფლიო ბანკის პროექტის საფუძველზე, ხუთწლიანი მართვის უფლებით ესპანური კონსორციუმი "იბერდროლა" შევიდა. ესპანელთა მიერ სამსახურიდან დათხოვნილი "საქართველოს საბითუმო ბაზრის" დირექტორი "საქსტანდარტის" თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა და დღემდე იქ მუშაობდა.

ერთი სიტყვით, უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკის დავით ჯიბლაშვილის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით - ბიუჯეტისთვის გადასახადების დაფარვისთვის აღიძრა და ბრალდების დადასტურების შემთხვევაში მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

დავით ჯიბლაშვილისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე დღეს ვაკე-საბურთალოს სასამართლო იმსჯელებს.

## ნათელაშვილი აშშ-ს კომპენსაციად 100 მილიონ დოლარს სთხოვს



*ნათელაშვილი არა მხოლოდ პარტიაზე, საკუთარ განცხადებებზეც კარგავს კონტროლს.*

*ნათელაშვილმა, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, აშშ-ს ხელისუფლებაში ჩაბუდებულ მაღალჩინოსნებთანაც გადაწყვიტა შერკინება. საამისოდ ნათელაშვილს თავისი უცხოელი თანამოძმე-ოპოზიციონერების იმედი აქვს, მათი, ვისაც ჯორჯ ბუშის მიერ გატარებული ეკონომიკური თუ საგარეო პოლიტიკა არ მოსწონს.*

ჯორჯ სოროსს და საქართველოში აშშ-ს ყოფილ ელჩს კენეტ იალოვეცს კი შალვა ნათელაშვილმა ბრალდებად ახალ ხელისუფლებასთან "ლეიბორისტების" წინააღმდეგ ალიანსის შეკვრა წაუყენა. ამ და კიდევ სხვა ამერიკელი ჩინოსნების მიერ "ლეიბორისტული" პარტიისათვის მიყენებული ზარალი ნათელაშვილმა "მოკრძალებულად", სულ რაღაც, 100 მილიონ დოლარად შეაფასა(!). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებისადმი გაგზავნილი წერილით, ნათელაშვილი აშშ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კომპენსაციის სახით, ამ თანხის გამოყოფას ითხოვს. ლეიბორისტთა ბელადი ამასაც არ სჯერდება და მოითხოვს სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის შექმნას, რომელიც საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან ამერიკელ მაღალჩინოსანთა კავშირს შეისწავლის, რასაკვირველია, შემდგომში დამნაშავის შესაბამისი დასჯის პერსპექტივით.... თავად ნათელაშვილის გამოკვლევის შედეგებით კი დასასჯელი, **"ვარდების რევოლუციის" დამფინანსებელ ჯორჯ სოროსის გარდა, ამ გადატრიალების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი - აშშ-ს უშიშროების საბჭოა."** კონგრესმენებისადმი წერილში ნათელაშვილს არც იმის მოხსენიება დავიწყნია, რომ **"ახალმა პრეზიდენტმა, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ღირსეული მემკვიდრეა, უკანონოდ გარეკა ახლადარჩეული პარლამენტი და ძველი მოწვევის პარლამენტი ძალადობით აღადგინა."**

ყველაზე მეტად ნათელაშვილს ის აღიზიანებს, რომ ახალი ხელისუფლების ხელში "ლეიბორისტულ პარტიას", უკვე მესამედ, პარლამენტს გარეთ დარჩენის პერსპექტივა აქვს. ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიები კი, "ლეიბორისტული პარტიის" წევრებისადმი სადამსჯელო ღონისძიებებში და დაპატიმრების სურვილშიც გამოიხატება. "ლეიბორისტთა" ლიდერი აშკარად ფრიდონ ინჯიას წინააღმდეგ უშიშროების საბჭოში გაკეთებულ განცხადებებს გულისხმობდა, მაგრამ კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის დასაცავად მას გუშინ თავი დიდად არ გამოუდვია. მხოლოდ ის თქვა, რომ **"ახლანდელ გენერალურ პროკურორს, რომელმაც თავის დროზე "ჯეოსელი", ჭიათურ-მანგანუმი, კვარციტი და ა.შ. გაყიდა, თავად აქვს საციხოდ საქმე."**

ლეიბორისტებს საარჩევნოდ კვლავ მარტო ყოფნა აქვთ გადაწყვეტილი. "ლეიბორისტების" ამ საყოველთაოდ ცნობილი პოზიციის კიდევ ერთხელ დადასტურება გუშინ "სოციალისტების" მხრიდან გაჩენილი წინადადების გამო გახდა საჭირო. **"პარტნიორობა ბლოკის გარეშე,"** - ამგვარ პასუხს აძლევს "სოციალისტებს" შალვა ნათელაშვილი.

*ლელა მჭედლიძე*

## აქცია უზენაეს სასამართლოსთან



*"მრავალეროვანი საქართველოს" და "სრულიად საქართველოს ოსთა კავშირის" წევრთა საპროტესტო აქცია.*

უზენაესი სასამართლოს შენობასთან გუშინ მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველოს" და "სრულიად საქართველოს ოსთა კავშირის" წევრთა საპროტესტო აქცია გაიმართა. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები იცავდნენ ოსთა კავშირის წევრის, აზა კუდუხოვას უფლებებს, რომლის სარჩელს ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს. "მრავალეროვანი საქართველოს" თავმჯდომარის არნოლდ სტეფანიანის განცხადებით, 14 წლის წინათ, სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების დროს ერთ-ერთმა ქართველმა გვარდიელმა აზა კუდუხოვას თბილისში საცხოვრებელი ბინა ძალის გამოყენებით წაართვა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რამდენიმე სასამართლო პროცესი გაიმართა. რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელე მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა და საქმე კუდუხოვას სასარგებლოდ გადაწყვიტა, თუმცა საოლქო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა. სტეფანიანის განცხადებით, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება არაობიექტური და უსამართლოა. "აქციაზე შეკრებილი არაქართველი მოსახლეობა საქმის ობიექტურ და ზუსტ გამოძიებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება ეროვნული უმცირესობების უფლებების დარღვევა და აღნიშნულ ფაქტს ევროსაბჭოში გავასაჩივრებთ," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

## პროვოკაციული პრესკონფერენცია

ორი დღის წინ, ბაქოს პრეს-კლუბში პრესკონფერენცია გამართა საქართველოში, კერძოდ კი, ქვემო ქართლში გამომავალი ორენოვანი გაზეთის "ენი დუშენჯეს" ("ახალი აზროვნება") რედაქტორმა ნ. ჰუსეინოვმა, რომელმაც აზერბაიჯანელი ჟურნალისტების წინაშე მისი და მისი ოჯახის წინააღმდეგ მიზანმიმართულ დევნაზე ისაუბრა და ცალსახად განაცხადა, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები დამნაშავეების წინააღმდეგ არანაირ ზომებს არ იღებენ.

როგორც ჰუსეინოვი ამტკიცებს, ბოლო თავდასხმა მის ოჯახზე 21 იანვარს მოხდა. **"რამდენიმე ადამიანი შემოვარდა ბინაში და სასტიკად სცემეს ჩემს ძმას და დედას. ისინი ყვიროდნენ: "აზერბაიჯანელებო, გაეთრიეთ საქართველოდან",** - განუცხადა მან ჟურნალისტებს.

გაზეთის რედაქტორი ამტკიცებს, რომ თავდამსხმელთა ვინაობა მისთვის ცნობილია, თუმცა სამართალდამცავი სტრუქტურები არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ისინი დააკავონ. **"ეს კი საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო, რომ ბანდიტების უკან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან. ასე იყო ძველი ხელისუფლების დროს, ასე ხდება ახლაც",** - შესჩივლა კოლეგამ კოლეგებს. ერთი სიტყვით, საქართველოს მოქალაქე ჰუსეინოვი სამართალს აზერბაიჯანში ეძებს და აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, იგი საცხოვრებლად ბაქოში გადასახლდეს, რაც სავსებით აშიშვლებს ამ პროვოკაციის ნამდვილ მიზანს. *24 საათი*

## მეტალურგიული კომბინატის იტალიელ ინვესტორს სასამართლომ წილი გაუუქმა

პირველი გვერდიდან

ეს სარჩელი რუსთავის სასამართლოში გასული წლის მაისში შევიდა, თუმცა დღემდე მისი განხილვის დაწყებაც კი ვერ მოხერხდა. მოსარჩელეს წარმომადგენელი, ადვოკატი კახა შარაბიძე დავის გაჭიანურების მიზეზად სასამართლოზე ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ასახელებს.

მოსამართლე სოსო მუმლაძის გუშინდელი განჩინებით, "კილიგარდის" სარჩელი მთლიანად დაკმაყოფილდა - გააუქმა ამავე სასამართლოს მიერ გასული წლის 11 ნოემბრის დადგენილება შპს "რამკ"-ის რეგისტრაციის შესახებ და დაადგინა, რომ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს უკან უნდა დაუბრუნდეს იტალიელებისათვის გადაცემული ქონება, რომლის ღირებულებაა 77 მილიონი დოლარი.

**"ეს გადაწყვეტილება ძალაში შევა, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, როცა გასაჩივრების სამი ინსტანცია იქნება გავლილი. ამიტომ გადაწყვეტილების კანონიერება-არაკანონიერებაზე საუბარი ნაადრევია. სასამართლოსადმი პროცესუალურად შენიშვნა არ გვაქვს, მაგრამ რამდენად დასაბუთებული იქნება ეს გადაწყვეტილება, ამას ერთი თვის განმავლობაში შევაფასებთ,"** - განაცხადა "არესის" ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა, რომელიც ერთ-ერთ მოპასუხედ იყო წარმოდგენილი.

**"ამ გადაწყვეტილების მიღებას ერთი წელი ველოდებოდით. ამ ხნის მანძილზე სასამართლოზე ხელოვნური ზეწოლით მრავალი ბარიერი იქმნებოდა. ამ ინვესტორებს საკმაოდ სერიოზული მფარველები გააჩნდათ საქართველოს ყოფილ ხელისუფლებაში და დავის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ,"** - განაცხადა "კილიგარდის" ადვოკატმა კახა შარაბიძემ.

რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლას შემდგომი ინსტანციების გავლა სჭირდება. ჯერჯერობით, უცნობია, ინვესტორი გააგრძელებს თავის საქმიანობას კომბინატში თუ არა.

**"შემდგომი ფინანსირების გაგრძელების შემთხვევაში რისკი სერიოზული იქნება. ამიტომ თუ ინვესტორი საქმიანობას ძველებურად გააგრძელებს, ეს საკმაოდ არაბუნებრივი ქცევა იქნება,"** - ვარაუდობს პირველ ინსტანციაში გამარჯვებული მხარე.

მეტალურგიული კომბინატის და ინვესტორის მხარე კი, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ. გუშინ მთელი დღის განმავლობაში დაკეტილი იყო კომბინატის ადმინისტრაციული შენობა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ამჟამად შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ჟორდანიამ თანამდებობა დატოვა. "24 საათთან" საუბარში მან ეს დაადასტურა. ცნობილია, რომ ჟორდანია იყო ის ადამიანი, რომელმაც მოიძია და მოიწვია იტალიელი ინვესტორი. ასევე ქართული მხარის საქმის მთელ წარმოებას სწორედ ის ხელმძღვანელობდა, თუმცა სასამართლოში გასაჩივრებულ ხელშეკრულებაზე და არც სხვა დოკუმენტებზე მისი ხელმოწერები არ არსებობს.

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატსა და ინვესტორს შორის გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში წერია, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა რუსთავის და იტალიის ქალაქ ბერგამოს (სადაც იტალიური "არესია" რეგისტრირებული) სასამართლოებმა უნდა მოაგვარონ, ხოლო შემდეგ საქმე ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა განიხილოს, სადაც საქართველოს დიდი თანხის გაღება მოუწევს. როგორც ადვოკატი კახა შარაბიძე განმარტავს, ეს საფრთხე ქართულ მხარეს საერთოდ არ ეხება. **"საარბიტრაჟო შეთანხმება დათქმულია მეტალურგიული კომბინატის მმართველსა და იტალიურ კომპანიას შორის, მოცემული დავა კი ეხება ქართული იურიდიული პირის რეგისტრაციის კანონიერებას, რაზეც ვრცელდება ქართული კანონმდებლობის განსაკუთრებული იურისდიქცია და ის მხოლოდ საქართველოს ფარგლებში წყდება,"** - აცხადებს ის.

გაასაჩივრებს თუ არა იტალიელი ინვესტორი რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ორ კვირაში გახდება ცნობილი.

## რუსეთის ენერგოკომპანია უკრაინიდან გააძევეს

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ქვეყნის ენერგობაზარი დაუკეტა რუსულ ენერგოკომპანია "რაო ეეს როსიის". უკრაინის მთავრობის ამ ნაბიჯს უძღოდა ლეონიდ კუჩმას ბრძანებულება "რაოს" ინტერესის სფეროში შემავალი ყველა უკრაინული ენერგოაქტივის პრივატიზების დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ. პარალელურად, უკრაინის სახელმწიფო ქონების ფონდს დაევალა ახალი ენერგოჰოლდინგის "უკრაინის ენერგოკომპანიის" შექმნა, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას აქციათა ასი პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაში დატოვოს. გავრცელებული ინფორმაციით, ახლად შექმნილ ენერგოგიგანტს უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი ოლეგ დუბინა ჩაუდგება სათავეში. **24 საათი**

## საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარეს პროკურატურაში უჩივიან

"მადნეულის" ძველი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პოზიციების დათმობას არ აპირებენ. აქციონერთა კრების მიერ ამ ორი დღის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას ისინი სასამართლოში ასაჩივრებენ და საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის ერეკლე ქიქოძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ. ისინი ქიქოძეს თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. ამ დღეებში "მადნეულის" ადვოკატი შალვა შავგულიძე მსგავსი მოთხოვნით მიმართავს გენერალურ პროკურატურას. შეგახსენებთ, რომ 27 იანვარს "მადნეულის" აქციონერთა კრებამ სამეთვალყურეო საბჭო გამოიწვია და იმ დღესვე ახალი წევრები აირჩია. აქციონერებმა მსგავსი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც სამეთვალყურეო საბჭომ "მადნეულის" გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებაზე ორჯერ უარი განაცხადა. **24 საათი**

## ნინო ბურჯანაძე 18 თებერვალს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე გაემგზავრება

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 18 თებერვალს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე დასასწრებად ავსტრიაში გაემგზავრება. ტრადიციულად, პარლამენტის თავმჯდომარე ასამბლეაზე, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, ეუთო-ს სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგების მოსმენას მოითხოვს და საკუთარ გამოსვლაში საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე გაამახვილებს ყურადღებას. **ინტერ-პრესი**

## დაუსაბუთებელი ქონება, შესაძლოა, ახალ მინისტრებსაც ჰქონდეთ

"ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი მიესალმება დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ პარლამენტისთვის წარდგენილ ახალ კანონპროექტს. ჩინოვნიკი, რომელსაც ოფიციალური ხელფასი 100 ლარი აქვს, ძვირადღირებული ავტომობილით არ უნდა დადიოდეს, – ამბობს ასათიანი. "ტრადიციონალისტთა" ლიდერის თქმით, ამ ხელისუფლებაშიც არის ბევრი მინისტრი, რომლებსაც, შეიძლება, დაუსაბუთებელი ქონება ჰქონდეთ. **მედია-ნიუსი**

## ციხის საავადმყოფოდან გაწერილი პატიმრები პროტესტს გამოთქვამენ

გუშინწინ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩატარებული შემოწმების შედეგად გატარებულ მკაცრ ზომებს არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე გამოეხმაურა.

როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტრომ შემოწმებისას ციხის საავადმყოფოში მყოფი 117 პატიმრიდან 57 ჯანმრთელი აღმოჩნდა და ხელმძღვანელობამ ისინი საავადმყოფოდან გაწერა. ნანა კაკაბაძის თქმით, საავადმყოფოდან გაწერილი პატიმრები პროტესტს გამოთქვამენ.

კერძოდ, პატიმრები აცხადებენ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ისე გაწერეს საავადმყოფოდან, რომ ავადმყოფობის ისტორიებიც კი არ შეუმოწმებიათ. ამის მიზეზად კი დაასახელეს ის ფაქტი, რომ თითქოს ამ პატიმრებს ციხის საავადმყოფოში გადაყვანისთვის ფული ჰქონდათ გადახდილი.

აღნიშნული ფაქტი არ დაადასტურა იუსტიციის სამინისტრომ. როგორც სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ადგილი ჰქონდა კორუფციულ გარიგებებს, რის გამოც თავის დროზე სამსახურიდან დაითხოვეს ციხის საავადმყოფოს უფროსი ნავულის ქობალია, გუშინწინ კი - ინფექციური განყოფილების უფროსი ელზა ლომაია, თერაპიული განყოფილების უფროსი პეტრე ზვიადაძე და ქირურგიული განყოფილების უფროსი არტემ ბალაშვილი.

## შესაძლოა, გია ჯოხთაბერიძე ისევ დაკითხონ

საქართველოს გენერალური პროკურატურა "მაგთიკომში" საბუღალტრო ჩანაწერებს ამოწმებს. შემოწმება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, თვით "მაგთიკომის" პრეზიდენტმა, საქართველოს ექსპრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიძემ გია ჯოხთაბერიძემ ორიოდე დღის წინ, 5- საათიანი დაკითხვისას, პროკურატურის გამომძიებლებს მოწმის სახით ჩვენება მისცა.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის გიორგი ლაცაბიძის თქმით, გამორიცხული არ არის, რომ საჭირო გახდეს მოწმე ჯოხთაბერიძის კიდევ ერთხელ დაკითხვა. მისივე თქმით, შესაძლოა, მოწმის სახელით ნებისმიერი ადამიანის დაკითხვა გახდეს საჭირო.

როგორც "მაგთიკომში" აცხადებენ, საბუღალტრო ჩანაწერების შემოწმება უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს და იგი ყველანაირი კანონის დაცვით ხორციელდება.

როგორც ჯოხთაბერიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, პროკურატურაში საუბარი "კომუნიკაციებთან დაკავშირებით" შედგა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა "21-ე საუკუნის" ყოფილი წევრი, დეპუტატი ჯემალ გამახარია ექსპრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლის ლოთი ქობალიას გათავისუფლებას მოითხოვს. "თუ ქობალიას ჟურნალისტ დათო ბოლქვაძის მკვლელობა დაუმტკიცდა, მაშინ დავდოთ იმ პერიოდში დაღუპულ გამსახურდიას მომხრეთა 5000-კაციანი სია, რომელთა მკვლელები არ არიან ნაპოვნი, თუმცა მათი ახლობლები ჩუმად არიან. თუ ამ გზით ვივლით, ეროვნულ თანხმობას ვერასოდეს მივაღწევთ", - აღნიშნა გამახარიამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მოქალაქეთა კავშირის" აჭარის რეგიონალურმა ორგანიზაციამ და სახალხო მოძრაობა "ჩვენმა აჭარამ" ოფიციალურად მიიღეს გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ. როგორც "მოქალაქეთა კავშირის" აჭარის ორგანიზაციის ლიდერმა აზიზ ახვლედიანმა განაცხადა, იგი უკვე დიდი ხანია იბრძვის რეგიონში დემოკრატიული პროცესების დაწყებისთვის, იმისათვის, რომ "საგნებს თავისი სახელი დაერქვას". როგორც "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთმა ლიდერმა თამაზ დიასამიძემ განაცხადა, "მოქალაქეთა კავშირი" თავისი რესურსებით შემოვიდა სახალხო მოძრაობაში. თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, ავტონომიაში პარტიათა უმრავლესობა "ჩვენს აჭარაშია" გაერთიანებული. მისი თქმით, სახალხო მოძრაობაში უკვე, დაახლოებით, 80 ათასი ადამიანია გაწევრიანებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სოციალისტური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" ერთ პარტიად გაერთიანება მათთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის შექმნას ემსახურება. როგორც ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, ერთიანი პარტიის შექმნა იმისათვის ხდება, რომ "საზოგადოებამ იფიქროს, ვითომ კვოტები მათთვის აღარ არსებობს და აღნიშნული სახელისუფლებო გუნდი ერთსულოვანია". "სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ თავისთვის სწორი ნაბიჯი გადადგა, რათა არ გამოჩნდეს, თუ რა წილი აქვს მას და მის გუნდს საარჩევნო სიაში. იქნება ერთი პარტია და, აქედან გამომდინარე, აღარ მოხდება ამ ორი პოლიტიკური ძალის დიფერენციაცია", - თქვა მან. ამასთან, "სოციალისტების" წარმომადგენელი ამ გაერთიანებას ძველი "მოქალაქეთა კავშირის" აღდგენას უწოდებს. **პრაიმ-ნიუსი**

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 4 თებერვალს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 3 000 000 (სამი მილიონი ) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 25.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 13 ოქტომბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 4 თებერვლის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ქართველები აფხაზეთის კონფლიქტის გასაღებს ჩრდილოეთ ირლანდიაშიც ეძებენ

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს ახალი ხელისუფლების განცხადებით, მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევას მმართველი ძალა მშვიდობიანი მეთოდებით აპირებს. ამიტომ, როდესაც აფხაზურ მხარესთან შეთანხმების მიღწევაზეა საუბარი, დიდ მნიშვნელობას იძენს სახალხო დიპლომატია, არაფორმალური შეხვედრები და იმ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, რომელიც კონფლიქტების მოგვარების კუთხით არსებობს.*


ირლანდიური გამოცდილებით დატვირთული ვახტანგ ყოლბაია და პაატა ზაქარეიშვილი.

ქართველებსა და აფხაზებს შორის კონტაქტების გაღრმავებაზე საკმაოდ აქტიურად მუშაობს ინგლისური არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსები", რომლის ინიციატივითა და დაფინანსებით, სისტემატურად იმართება დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენელი პოლიტიკოსების, ოფიციალური პირებისა და სამოქალაქო აქტივისტების შეხვედრები. მისი მონაწილეები ეცნობიან, თუ როგორ გვარდება კონფლიქტური სიტუაციები ამა თუ იმ რეგიონში და, ამავე დროს, აფხაზეთის კონფლიქტის გაანალიზების საშუალება ეძლევათ.

ქართული და აფხაზური მხარეების მონაწილეობით უკვე ხუთი ასეთი შეხვედრა გაიმართა. ბოლო ღონისძიება 14-21 იანვარს დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მოეწყო. მასზე ქართული მხარე აფხაზეთიდან დევნილი პოლიტიკოსებით იყო წარმოდგენილი. დელეგაციაში ვახტანგ ყოლბაია, ზურაბ ერქვანია, ლონდერ ცაავა, გივი ლომინაძე და ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი შედიოდნენ. ვიზიტის დროს გაიმართა შეხვედრები ჩრდილოეთ ირლანდიაში დაპირისპირებული კათოლიკური და პროტესტანტული ბანაკების ხელმძღვანელებთან, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

თუმცა, ვიდრე უშუალოდ აფხაზებთან დიალოგს დაიწყებენ, ალბათ, უკეთესი იქნება, თუ ქართველები ჯერ ერთმანეთთან მოაგვარებენ ურთიერთობებს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთში მიწვეული იყო, აგრეთვე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, მაგრამ მან, საქართველოში არსებული რთული სიტუაციის საბაბით, გამგზავრებაზე უარი თქვა, მოგვიანებით კი ქართული დელეგაციის წევრები დაადანაშაულა, თითქოს მათი ვიზიტი დევნილების სახსრებით განხორციელდა.

**"ნადარეიშვილს ორი კვირის მანძილზე წინ ედო მოსაწვევი, რომელშიც გარკვევით ეწერა, რომ ღონისძიების ხარჯებს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია ფარავდა. არ ვიცი, ეს ბრალდება საიდან მოიტანა ",** - გაოცებულია პაატა ზაქარეიშვილი.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, მასზე ქართულმა მხარემ შეისწავლა ე.წ "ბელფასტის დოკუმენტი", რომელსაც დიდი ბრიტანეთის სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 1998 წელს მოაწერეს ხელი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ოლსტერის კონფლიქტის მონაწილე მხარეები ერთიანი ბრიტანული სახელმწიფოს ფარგლებში გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ.

ქართული დელეგაციის წევრებს "ბელფასტის დოკუმენტი" მოსწონთ და მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია მისი ზოგიერთი დებულების აფხაზეთის კონფლიქტთან მისადაგება. თუმცა, განმასხვავებელ გარემოებებზეც იქვე მიუთითებენ. კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ირლანდიაში დაპირისპირება პერმანენტულად მიმდინარეობს და, ამდენად, იგი გაყინულ კონფლიქტად არ მიიჩნევა. გარდა ამისა, ბრიტანეთში არ არსებობს დევნილების პრობლემა ისევე, როგორც ქართველებსა და აფხაზებს შორის - რელიგიური შუღლის პრობლემა.

აღნიშნული განსხვავებები გუშინდელ პრესკონფერენციაზე დამსწრე პარლამენტარ ჯემალ გამახარიას აფიქრებინებს, რომ "ბელფასტის დოკუმენტი" საქართველოს რეალობას არ შეესაბამება.

მიუხედავად ამისა, დელეგაციის წევრებსა და ექსპერტებს განზრახული აქვთ, უახლოეს მომავალში დოკუმენტი განსახილველად ქართულ საზოგადოებას შესთავაზონ.

# პოლიტიკას კულუარებში გადანაცვლება ემუქრება

პირველი გვერდიდან

რაში დასჭირდა ხელისუფლებას ისეთი კონსტიტუციური მოდელი, რომელიც თვისობრივად ჩამოჰგავს რუსულ მოდელს და, პარლამენტის დასუსტების ხარჯზე, პრეზიდენტს განუსაზღვრელ უფლებებს აძლევს?

ოფიციალური ვერსიით, რომელზეც ხელისუფლება აპელირებს, საკონსტიტუციო ცვლილებები რეფორმების გასატარებლად უფრო მოქნილი მოდელის ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო.

თუმცა, არსებობს არაოფიციალური ვერსიებიც, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს ცალკეულ პოლიტიკოსთა პირადი ინტერესებით ხსნის.

ცვლილებები, ბუნებრივია, კარგად ერგება ახალი პრეზიდენტის ინტერესებს. ახალი მოდელი მიხეილ სააკაშვილს გაზრდილ უფლებებს, მინიმალურ ინსტიტუციონალურ კონტროლს და ნაკლებ პასუხისმგებლობას ჰპირდება.

სააკაშვილი, რომელიც მთელი თავისი არსებით ასისტემური ტიპია, სავარაუდოა, რომ საკმაოდ შეშინებულია ახალი ფუნქციით და ზურაბ ჟვანიას იმედი აქვს. ეკონომიკურ პრობლემებზე პასუხისმგებლობას ის მთლიანად ჟვანიას დაავალებს და შესაბამისად, მოუგვარებელ პრობლემებზე საჭირო დროს პასუხს სწორედ მას მოსთხოვს.

ხოლო თუ პოპულარობის შენარჩუნება ამას მოითხოვს, მას შეუძლია, ნებისმიერ დროს უმოტივაციოდ დაითხოვოს პრემიერ-მინისტრი და ამით მოსახლეობის წინაშე პირნათელი გამოვიდეს. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, დასუსტებული პარლამენტის თავმჯდომარეობა, მას, როგორც პოლიტიკურ ფიგურას, გაანეიტრალებს.

ყველა გათვლით, ბურჯანაძე არ უნდა იყოს აღფრთოვანებული ახალი მოდელით, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობა საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ, ჯერჯერობით, საჯაროდ არ გამოუხატავს. ამას რაციონალური ახსნა შეიძლება ადვილად მოეძებნოს. პარლამენტის თავმჯდომარემ კარგად იცის, რომ ჟვანიას უფრო მეტი ამბიცია აქვს, ვიდრე სახელმწიფო მინისტრობაა. ბურჯანაძემ ისიც კარგად იცის, რომ მასზე ბევრად არაპოპულარული ჟვანია კულუარული ინტრიგების დიდოსტატია და პარტიის შიგნით მასზე გაცილებით დიდი გავლენა აქვს. ასე რომ, სურვილის შემთხვევაში, ახლანდელ სახელმწიფო მინისტრს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე სერიოზული შანსები აქვს.

მაგრამ ყველაზე საინტერესოა - რატომ უნდა ასე ძალიან ჟვანიას ისეთი პრემიერ-მინისტრობა, რომლის დათხოვნის უფლება პრეზიდენტს, ანუ სააკაშვილს ნებისმიერ მომენტში უმოტივაციოდ შეუძლია?

ზურაბ ჟვანია ერთი შეხედვითაც კი არ ჰგავს ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც ასე დაუცველ მდგომარეობაში თავს საკმარისი მიზეზებისა და მოტივაციის გარეშე აყენებდეს.

ცხადია, რომ მას ასეთი მოტივაცია გააჩნია და ეს საკუთარ ხელში ძალაუფლების და გავლენის მაქსიმალური კონცენტრაციაა. საამისოდ ბერკეტებს კი ახალ მოდელში პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ნამდვილად იძლევა.

ამ კონტექსტში კარგად ჯდება რამდენიმე დღის წინ ორი პარტიის გაერთიანების შესახებ გაკეთებული განცხადებაც.

ნაციონალური მოძრაობის ძალიან ბევრი წევრი თუ ბლოკის სუბიექტი დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ჟვანიასთან ახლო პარტიულ კონტაქტებს. შესაბამისად, სააკაშვილს მუდმივად უხდებოდა არჩევანის გაკეთება თავის ძველ თანაგუნდელსა და ახალ თანაგუნდელებს შორის.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა არჩევანი საბოლოოდ მაინც ჟვანიას სასარგებლოდ გააკეთა, რითიც პარტიული თანაგუნდელები აშკარად გაანაწყენა.

გაერთიანებული პარტიის თავმჯდომარე, ალბათ, პრეზიდენტი იქნება, თუმცა ალბათობა იმისა, რომ ჟვანია თავის ხელში აიღებს მართვის ბერკეტებს და პოზიციის განმტკიცებას პარტიულ დონეზეც შეეცდება, დიდია.

იმის ალბათობაც დიდია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყება და ამ ბრძოლას უფრო კულუარული ხასიათი ექნება, ვიდრე საჯარო.

# არაპოპულარული პრობლემა - მესხეთელი თურქები

პირველი გვერდიდან

ექსპერტთა აზრით, ახალი ხელისუფლებისთვის "თურქი მესხების" ურთულესი პრობლემის გადაჭრით მოღვაწეობის დაწყება შეიძლება იმდენად არამომგებიანი აღმოჩნდეს, რომ მის მაღალ რეიტინგზეც იმოქმედოს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება რეალობას ვერ გაექცევა და იგი ყველა შემთხვევაში იძულებული და ვალდებული იქნება, პირველი ნაბიჯები გადადგას, - შენიშნავენ ექსპერტები.

**"მთავარი სირთულე ამ საკითხისა მომდინარეობს იქიდან, რომ საზოგადოებას პრობლემის არსი არ ესმის. თუკი ახალი ხელისუფლება ამ გადაწყვეტილების მისაღებად მზად არის, მან პრობლემის გადასაჭრელად, საზოგადოებრივი აზრის თანდათანობით ფორმირება უნდა დაიწყოს. ამაში განსაკუთრებული როლი მასმედიამ უნდა ითამაშოს,** - ეთნიკურ და კონფესიურ ურთიერთობათა ცენტრის ხელმძღვანელი ლელა ჯეჯელავა, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ჯგუფს ხელმძღვანელობდა და, სახელდობრ, მესხების პრობლემაზეც მუშაობდა, მიიჩნევს, რომ საქართველომ საგარეო ფაქტორიც უნდა გაითვალისწინოს, - **შეერთებულმა შტატებმა კეთილი ნება გამოიჩინა და თურქი მესხების მიღება დაიწყო. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსეთმაც დაიწყო თურქი მესხებისთვის მოქალაქეობის მიცემა."**

თავისთავად, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ნება მაშინ გაცხადდა, როცა ქართული მხარე ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, ლელა ჯეჯელავას აზრით, ახალმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ იგი აღადგენს ისტორიულ სამართლიანობას და მესხებს თავის სამშობლოში დააბრუნებს.

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ამ გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმების შემუშავებას. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ, მეცნიერულად უნდა იყოს გათვლილი ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება თან სდევდეს ამ პროცესს და ჩვენს სახელმწიფოს სერიოზული პრობლემები შეუქმნას. საკანონმდებლო ბაზის მომზადების გარდა (მიუხედავად რამდენიმე კანონპროექტის არსებობისა, დეპორტირებული მოსახლეობის შესახებ კანონის მიღება დღემდე ვერ მოხერხდა), შესამუშავებელია კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მესხების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება მოხდება. **"ეს არის ჩაკეტილი სოციალური ჯგუფი, რომელიც ნაკლებ ადაპტირებულია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია ქართულ სინამდვილეში. თუ მათ კომპაქტურად ჩავასახლებთ, ბუნებრივია, კვლავ ჩაკეტილ სოციალურ ჯგუფად დარჩებიან და ქართულ საზოგადოებაში თურქი მესხების ინტეგრირება არ მოხდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ წინასწარ უნდა გავიაზროთ, მიწის რა რესურსი გვაქვს, რომელ საზღვრებში შეიძლება მაჰმადიანი მესხების განსახლება. რამდენად მიზანშეწონილია მათი დაბრუნება მესხეთის ტერიტორიაზე, რასაც ისინი თავის ისტორიულ სამშობლოდ მიიჩნევენ,"** – ლელა ჯეჯელავას აზრით, აუცილებელია მეცნიერული მუშაობის დაწყება, ტერიტორიების შერჩევა სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით.

მესხების საკითხზე საუბრისას ჯეჯელავა კიდევ ერთ მტკივნეულ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს არის მუსულმანი სომხების ანუ "ჰემშინების" თემა. **"წინა საუკუნის ორმოციან წლებში მესხებთან ერთად საქართველოდან, ძირითადად - აჭარის და აფხაზეთის ტერიტორიიდან, "ჰემშინების"ეთნოკონფესიური ჯგუფი გაასახლეს. ისინიც საქართველოში დაბრუნებას მოითხოვენ. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს საერთოდ არ მსმენია პასუხი, როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა. იმედია, ახალი ხელისუფლება თავის დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებითაც გამოთქვამს."**

თუკი ახალი ხელისუფლება აღიარებს, რომ იგი ვალდებულია, მესხების პრობლემა გადაჭრას, ყველაზე უკეთეს ვარიანტში, საკითხი უნდა გადავადდეს: ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც თან უნდა სდევდეს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, იმდენად შრომატევადი საქმეა, რომ მას კიდევ თორმეტი წელი ნამდვილად არ ეყოფა. შეგახსენებთ, რომ თურქი მესხების დაბრუნება, ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების მიხედვით, 12 წელიწადში უნდა მომხდარიყო.

როდესაც ევროსაბჭოს ეს რეკომენდაციები მუშავდებოდა, ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული მიხეილ სააკაშვილი. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტს ყველა ხსენებული პრობლემა გააზრებული ჰქონდა და დღეს იგი, როგორც სახელმწიფოს პირველი პირი, წარმატებულად გაართმევს თავს საქართველოს ისტორიისთვის ამ მეტად ურთულესი საკითხის გადაწყვეტას.

# აჭარაში არეულობების საფრთხე რეალური ხდება

პირველი გვერდიდან

**"სწორედ ამიტომ არ გამოვრიცხავ აჭარაში გარკვეულ ექსცესებს. აუცილებელია, გამოსავალი მოიძებნოს. ასლან აბაშიძე არ არის ედუარდ შევარდნაძე და იგი, შესაძლოა, უკიდურეს ღონისძიებებზე წავიდეს ხელისუფლების შესანარჩუნებლად,"** - განაცხადა არეშიძემ. ექსპერტს მიაჩნია, რომ უნდა შეწყდეს თბილისიდან ზემოქმედება აჭარის ხელისუფლებაზე, რადგან ამან, შესაძლოა, რეგიონში ვითარება მკვეთრად დაძაბოს. გარდა ამისა, მისი თქმით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აჭარაშიც რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს.

ამ აზრს იზიარებს იურისტი დავით უსუფაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების პირობებში რეგიონის მეთაური ასლან აბაშიძე და მისი პარტია "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" წარმატებას ვერ მოიპოვებს. უსუფაშვილი ფიქრობს, რომ აჭარაში არსებული მდგომარეობის დარეგულირების ერთადერთი გზა მოსახლეობისათვის კონსტიტუციური უფლებების მინიჭებაა.

**"თუ მოსახლეობას არ ექნა კონსტიტუციური უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, მაშინ ეს დაპირისპირება ყოველთვის იარსებებს. მე მინდა, მოვუწოდო ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს, ორმაგი სტანდარტებით თამაშს თავი დაანებონ და საკუთარ თავთან და ხალხთან მართალნი იყვნენ,"** - განაცხადა უსუფაშვილმა და აღნიშნა, რომ მას არც ერთ მხარეს არ ეგულება პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც აჭარაში დაძაბულობის შეტანა სურდეს.

აჭარის წარმომადგენელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ თბილისში გარკვეული ორგანიზაციების შექმნას და მძაფრ განცხადებებს, შესაძლოა, უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვეს. **"არის საშიშროება, რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდეს და ამიტომ ფრთხილი მოქმედებაა საჭირო,"** – აცხადებს ჭიპაშვილი

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ აჭარაშიც იგივე განმეორდება, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მსჯელობა იმაზე, ვინ იყო დამნაშავე, უკვე გვიანი იქნება.

ჭიპაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს აჭარაში მოსახლეობას იარაღი დაურიგეს. **„დაველოდოთ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს, მოგვიანებით კი, აჭარაში ადგილობრივი არჩევნების ჩატარებაზე ვიმსჯელოთ,"** – დასძინა მან.

*24 საათი*







სს "საქართველოს ელექტროკავშირის" საბურთალოს, დიდუბისა და დიღმის მასივის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

გაუწყებთ, რომ დამთავრდა განბლოკებისა და მოქმედი სატელეფონო სადგურებიდან ახალ ციფრულ სადგურზე ტელეფონების გადასართავად მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ მოგეცემათ შესაძლებლობა, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ისარგებლოთ ყველა სახის საკომუნიკაციო მომსახურებით.

მოქმედი სადგურებიდან ახალ სადგურზე ტელეფონების გადართვის პროცესში მოსალოდნელია ასს-51-სა და 3-იანი ინდექსის ტელეფონების ხარვეზებითა და წუნით მუშაობა; არ არის გამორიცხული მათი 2-3 დღის განმავლობაში გამორთვაც, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით სს "საქართველოს ელექტროკავშირის" ადმინისტრაცია

მოკლედ

## "დემოკრატებზე" განაწყენებულმა პარლამენტარმა შოთა სანდუხაძემ "სოციალისტში" გადაინაცვლა

"დემოკრატებზე" და "ნაციონალებზე" განაწყენებულმა პარლამენტარმა შოთა სანდუხაძემ საპარლამენტო ფრაქცია "სოციალისტში" გადაინაცვლა, რითაც ამ ოპოზიციური ფრაქციის აღდგენას შეუწყო ხელი. 1999 წლის მოწვევის პარლამენტში ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი შოთა სანდუხაძე "დემოკრატებთან" დაახლოებულ პირთა რიგებში მოიაზრებოდა. თავად სანდუხაძე ამ გადაწყვეტილების საფუძვლად პარლამენტში ოპოზიციური ფრაქციის არსებობის აუცილებლობას ასახელებს. "ამით ფრაქცია "სოციალისტის" აღდგენას ხელი შევუწყვე. მქონდა სხვა წინადადებებიც, თუმცა ასე გადავწყვიტე," - განაცხადა სანდუხაძემ. მისივე თქმით, გარკვეულწილად, ეს ნაბიჯი სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის, "ნაციონალ" ლადო ჭიპაშვილის განცხადებებს უკავშირდება იმის შესახებ, რომ სანდუხაძემ უმწეოთა დახმარების პროგრამის ფარგლებში საფრანგეთში ოპერაცია გაიკეთა. სანდუხაძე ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, ნაწყენია და თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. "საფრანგეთში ხელზე ორი ურთულესი ოპერაცია გავიკეთე და ამპუტაციას გადავურჩი. მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ და 40-ზე მეტმა დეპუტატმა ჯანდაცვის მინისტრს დახმარების თხოვნით მიმართეს. თუმცა, რა პროგრამით მოხდა ოპერაციის დაფინანსება, ჩემთვის უცნობია," - აღნიშნა დეპუტატმა, რომლის შეფასებით, ჭიპაშვილმა "დიდი შეცდომა დაუშვა", როცა აღნიშნული განცხადებები საკითხის დეტალური შესწავლის გარეშე გააკეთა. **ინტერ-პრესი**

## კონსტანტინე გამსახურდია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟიშვილი კონსტანტინე გამსახურდია 28 მარტისთვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების" სიით აპირებს.

როგორც ამ მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა დავით ბარდაველიძემ აღნიშნა, მათ პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" სახელით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადი უკვე შეიტანეს. „მიმდინარეობს 50 ათასი ხელმოწერის შეგროვება და 4 თებერვლის შემდეგ დაგეგმილ საგანგებო პრესკონფერენციაზე პოლიტიკური განცხადებით კონსტანტინე გამსახურდია გამოვა", — თქვა ბარდაველიძემ. „თავისუფლება" არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს, თუმცა ამ მოძრაობის წევრები თავს იკავებენ პროგნოზისგან, გადალახავენ თუ არა 7-პროცენტიან საარჩევნო ბარიერს. „მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე გამსახურდია 14 წელია შვეიცარიაში ცხოვრობს, ვფიქრობ, რომ მას არჩევნებში მონაწილეობაზე პრობლემები არ შეექმნება", — ამბობს ბარდაველიძე. **მედია-ნიუსი**

# "თელასმა" საუბრის ტონი გაამკაცრა

## "თელასის" მენეჯერები საბითუმო ბაზრის მხრიდან თბილისის "რეკორდულ" შეზღუდვაზე ალაპარაკდნენ

*დღის განმავლობაში დედაქალაქის რაიონების მნიშვნელოვან ნაწილს ელექტროენერგია კვლავ არ მიეწოდება. დღისით იზღუდება თბილისის თითქმის ყველა განაპირა რაიონი. "თელასის" მენეჯერები აცხადებენ, რომ კომპანიას ლიმიტით დადგენილზე გაცილებით მეტი დენი აკლდება, რაც დედაქალაქში მწვავე ენერგოდეფიციტს ქმნის. ისინი ამ შეზღუდვას უკანონოდ მიიჩნევენ და საპასუხო დარტყმებზე გადადიან.*

მაია ურუშაძე

მართალია, სომხეთიდან საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის საფასური აღარ გაიზრდება, მაგრამ "თელასი" დენს აღარც სომხეთიდან შემოიტანს და აღარც მეცხრე ბლოკის გამომუშავებას გაზრდის. გადაწყვეტილება პრინციპულია და ის "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკოლაიუნასმა "კომპანიის მიმართ განხორციელებული უსამართლო პოლიტიკის" გამო მიიღო. "თელასის" "რაოელი" მენეჯერები მიიჩნევენ, რომ ამ პოლიტიკის შედეგად კომპანიას ზედმეტი და ეკონომიკურად სრულიად უსაფუძვლო ხარჯების გაღება მოუწევს.

რაც შეეხება კომპანიის შემოსავლებს, "თელასი" თავისას ითხოვს და 31 იანვრიდან არგადამხდელ საბიუჯეტო ორგანიზაციათა მიმართ ეკონომიკური სანქციების ამოქმედებას გეგმავს. კომპანიაში აცხადებენ, რომ საბიუჯეტო დაწესებულებათა დავალიანება, მხოლოდ გასული 4 თვის მონაცემებით, 7 მილიონ ლარს აღემატება. "თელასის" ყველაზე მსხვილი დებიტორები არიან თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და სხვა სამთავრობო უწყებები. სანქციათა ამოქმედება "თელასმა" ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გადაწყვიტა, თუმცა მაშინ ფინანსთა სამინისტროსგან დავალიანების გასტუმრების პირობა მიიღო და არგადამხდელი მომხმარებლების გამორთვა იანვრის ბოლომდე გადაავადა. **"დაპირებული თანხა "თელასის" საბანკო ანგარიშზე მაინც არ ჩაირიცხა,** - აცხადებენ "თელასში", – **ამიტომ ამ ორგანიზაციებს ელექტროკვება შეუწყდება."**

გარდა ამისა, "თელასის" "რაოელ" მენეჯერებს უკმაყოფილების სხვა საბაბიც აქვთ. კომპანიაში აცხადებენ, რომ "თელასის" უკანონო შეზღუდვას საბითუმო ბაზარი არათუ აგრძელებს, არამედ ამკაცრებს კიდეც და ამას "სახელმწიფო ელექტროსისტემის" დისპეტჩერთა არაპროფესიონალიზმით ხსნიან. "თელასის" გენერალური დირექტორის დანგირას მიკოლაიუნასის განცხადებით, მან წერილობით უკვე ორჯერ მიმართა სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას.



დანგირას მიკოლაიუნასის გადაწყვეტილება პრინციპულია.

**"ბოლო დროს "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" თბილისისთვის დაწესებული შეზღუდვა გააორმაგა. "თელასი" აპროტესტებს საბითუმო ბაზრის მიერ კომპანიისთვის დადგენილ ლიმიტს, რომელიც კომპანიის ოფიციალური განაცხადის უგულებელყოფით დაწესდა. "თელასი" ამტკიცებს, რომ დენის სამართლიანი განაწილების პირობებში "სახელმწიფო ელექტროსისტემას" თბილისის, როგორც ელექტროენერგიის 100 პროცენტიანი გადამხდელის, უწყვეტად მომარაგების საშუალება აქვს. თბილისის მოსახლეობა იზღუდება მხოლოდ იმიტომ, რომ "ელექტროსისტემა" და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ვერ აკონტროლებენ რეგიონებს, რომლებიც "თელასის" კუთვნილი ელექტროენერგიის ხარჯზე საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილ ლიმიტს 3-4 ჯერ აჭარბებს,"** – აცხადებენ "თელასში" და სომხეთიდან დენის იმპორტსა თუ მეცხრე ბლოკზე ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდას აღარ აპირებენ **" იმისდა მიუხედავად, რომ "თელასმა" ელექტროენერგიის შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებზე წარმატებით აწარმოა მოლაპარაკებები სომხეთის მხარესთან, რომელიც მანამდე ექსპორტირებულ ენერგიაზე ანგარიშსწორებას მომატებული განაკვეთით ითხოვდა,"** – დასძენენ კომპანიაში.

"თელასის" ბრალდებების მორიგმა კასკადმა "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ირლანდიელ მენეჯერებს გარკვეული ეჭვები გაუჩინა. კერძოდ, ისინი უკვე აღარ მალავენ, რომ "თელასის" "ამდენი უსაფუძვლო ბრალდების მიღმა" ფარულ მოტივაციას ხედავენ. **"ამ კომპანიამ თავის დროზე თავს იდო თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა, რაც ვერ განახორციელა. ახლა მას სჭირდება იმის განმარტება, თუ რატომ ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, ის ჩვენ გვადანაშაულებს, რადგან არავის დადანაშაულება არ შეუძლია,"** – აცხადებენ ირლანდიელები და მიანიშნებენ, რომ შექმნილი ენერგოკრიზისის პირობებში "თელასის" მოთხოვნები მხოლოდ მაშინ დამაყოფილდება, თუ მეცხრე ენერგობლოკი დენს 260 მეგავატი სიმძლავრით გამოიმუშავებს...

"ელექტროსისტემის" პოზიციას იზიარებს საბითუმო ბაზარიც. მან "თელასს" თბილსრესზე სწორედ 260 მეგავატის გამომუშავება მოსთხოვა. მიუხედავად ამისა, ამჟამად თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკი მხოლოდ 200-220 მეგავატით იტვირთება, რასაც "თელასში" აგრეგატის უსაფრთხოებიდან გამომდინარე მოსაზრებებით ხსნიან.

"თელასი" კი საბითუმო ბაზრის ამ გადაწყვეტილებასაც აპროტესტებს: **"ბაზარში გვიცხადებენ, რომ თბილისს სწორედ იმდენი ენერგია აკლდება, რამდენსაც ბლოკი აკლებს ენერგოსისტემას. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ მიაქვთ მთელი 40 მეგავატი? საბითუმო ბაზართან შეთანხმებით, ჩვენ მეცხრე ბლოკის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მხოლოდ მესამედს მოვიხმართ."**

საბითუმო ბაზარში აკონკრეტებენ, რომ "თელასი" მეცხრე ბლოკის გამომუშავებული ენერგიის მესამედს პირდაპირი ხელშეკრულებით ყიდულობს, ხოლო დანარჩენს – საბითუმო ბაზრიდან. აქ ვარაუდობენ, რომ "რაო ეეს როსიი" მეცხრე ბლოკის გამომუშავების გაზრდას ფინანსური მოსაზრებებიდან გამომდინარე ვერ ახერხებს და აქ ტექნიკური უსაფრთხოება არაფერ შუაშია. **"ტესტირებისას ბლოკი 270 მეგავატზე მუშაობდა. ეს ნიშნავს, რომ მას 260 მეგავატზე მუშაობა შეუძლია. თუ არა – მაშინ ბლოკის კურატორებმა უნდა დაასაბუთონ, რომ აგრეგატს აღარ შეუძლია ამ სიმძლავრეზე მუშაობა და ლიცენზია უნდა შეცვალოს. თუ ეს ყველაფერი ფინანსების დაზოგვის მიზნით ხდება, მაშინ იმასაც უნდა შეეგუონ, რომ ნაკლებ ენერგიას მიიღებენ. ეს სადისპეტჩერო დისციპლინაა, რასაც ყველა ენერგოსუბიექტი უნდა დაემორჩილოს,"** – აცხადებენ ბაზარში.

# წელს ნავთობზე ფასების დაცემას არ ველით

ადამ მჭედლიძე

მიმდინარე წელს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფება არ მოხდება. ასეთი დასკვნა გააკეთა საფრანგეთის სანავთობო ინსტიტუტმა. ამ ინსტიტუტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბარელი გადაუმუშავებელი "შავი ოქროს" ფასი ისევ 30 დოლარის ფარგლებში დაფიქსირდება. ეს უპირველესად იმას ნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში კვლავ დიდი ოდენობით შევა ვალუტა და მოსკოვს არამცთუ ბიუჯეტის შესრულების მხრივ არ ექნება პრობლემები, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში ექსპანსიის პოლიტიკის გატარებისთვისაც გამოძებნის გარკვეულ რესურსებს.

ფრანგი სპეციალისტების განცხადებით, ამჟამად ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები უპირველესად იმით არიან დაინტერესებული, მათი შემოსავალი არ დაეცეს. აქედან გამომდინარე, იგივე ოპეკი, ალბათ, არ გაზრდის ნავთობმოპოვებას, რომელიც ახლა დღეში 24,4 მილიონ ბარელს შეადგენს. ეს ვარაუდი რეალობასთან ახლოა, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სინამდვილეში ოპეკის წევრი ქვეყნები ამ კვოტას ისედაც საგრძნობლად აჭარბებენ. თუმცა, ოპეკის ხელმძღვანელობის სხდომა 10 თებერვალსაა დანიშნული და მალე ყველაფერი გაირკვევა.

მაგრამ რაც არ უნდა გადაწყვიტოს ოპეკმა და რაც არ უნდა მოხდეს ერაყში (რომელმაც წელს უნდა აამუშაოს საკუთარი ნავთობმრეწველობა), ფასების დაწევას მაინც არ უნდა ველოდოთ იმის გამო, რომ საწვავზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდაა მოსალოდნელი. ეს უპირველესად ჩინეთის ხარჯზე მოხდება. ეს ქვეყანა ჯერ კიდევ 1992 წელს ნავთობის ექსპორტიორი იყო, მაგრამ იქიდან მოყოლებული ჩინეთის ეკონომიკა იმდენად განვითარდა და იქ საწვავზე მოთხოვნილებაც იმდენად გაიზარდა, რომ ქვეყანა ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია. გასულ წელს ჩინეთში ნავთობის მოხმარებამ დღეში 5,8 მილიონი დოლარი შეადგინა. წელს ეს მაჩვენებელი 11,5 პროცენტით გაიზრდება. როგორც ვარაუდობენ, 2020 წელს ჩინეთი მსოფლიოში მეორე უმსხვილესი ნავთობის მომხმარებელი იქნება აშშ-ის შემდეგ.

# სააქციო საზოგადოება „ტელენეტში" უთანხმოებაა

*სააქციო საზოგადოება "ტელენეტი" ყოფილი ცენტრალური ტელეგრაფის სამართალმემკვიდრეა. 1993 წლიდან მოყოლებული მან რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება. 2002 წლის 28 იანვარს შპს "ინფოკომი" სააქციო საზოგადოება "ტელენეტად" გარდაიქმნა. ამავე წელს სააქციო საზოგადოება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ წამგებიანად აღიარა, გადაწყდა ობიექტის პრივატიზაცია და გამოცხადდა ტენდერი, რომლის შედეგად "ტელენეტი" "ცენტრინვესტ"-მა 350 690 აშშ დოლარად შეიძინა.*

დიანა ჩაჩუა

ამჟამად, "ტელენეტის" გაყიდვიდან ერთი წლის შემდეგ, სააქციო საზოგადოების თანამშრომელთა გარკვეულ ნაწილსა და ხელმძღვანელობას შორის უთანხმოებაა. "ტელენეტის" თანამშრომლები "ცენტრინვესტის" ხელმძღვანელობისგან საინვესტიციო პირობების შესრულებას მოითხოვენ.

ეს დაპირისპირება დღეს არ გაჩენილა. თანამშრომლები ჯერ კიდევ ერთი წლის წინ აპროტესტებდნენ "ტელენეტის" პრივატიზაციასა და კომპანიაში ახალი ინვესტორის შემოსვლას. ისინი თავისი უკმაყოფილების მიზეზად უკანონო პრივატიზაციას ასახელებდნენ. საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს წინ, თუმცა ამას მოვლენათა განვითარებაში არანაირი ცვლილებები არ შეუტანია.

**"მესაკუთრის მოსვლის დღიდან იყო დაპირებები, რომ არ მოხდებოდა თანამშრომელთა შემცირება, გაუმჯობესდებოდა მათი სოციალურ-ეკონომიური პირობები, კომპანიაში ჩაიდებოდა ინვესტიციები და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდებოდა თანამშრომლების გადამზადება. მიუხედავად ამისა, ობიექტის პრივატიზებიდან ერთი წლის შემდეგ დაიწყო ზეწოლა თანამშრომლებზე,"** - ვკითხულობთ მიმართვაში, რომელიც მიხეილ სააკაშვილის, ნინო ბურჯანაძის, ზურაბ ჟვანიასა და გიორგი ბარამიძის სახელზეა დაწერილი. მიმართვაში თანამშრომლები თხოვნით მიმართავენ საქართველოს მთავრობის უმაღლეს პირებს, რათა მათ "სათანადო ზომები მიიღონ სააქციო საზოგადოება "ტელენეტში" მიმდინარე დარღვევებთან დაკავშირებით."

როგორც "ტელენეტის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი რუხაძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, მისთვის თანამშრომლების მხრიდან ამგვარი პროტესტი მოულოდნელი იყო. მისივე განცხადებით "ტელენეტში" თანამშრომლებზე არანაირი ზეწოლა არ ხდება. **"პირიქით - არსებობს მასტიმულირებელი სისტემა, რომელიც პრემიებით გამოიხატება** (იგულისხმება პრემიალური 80-პროცენტიანი დანამატი ხელფასზე). **მე "ტელენეტის" გენერალური დირექტორი ვარ და უფლება მაქვს, გავათავისუფლო ან პრემია მოვუხსნა ნებისმიერ თანამშრომელს, თუმცა ეს ყოველთვის კანონის ფარგლებში ხდება და ამას ყოველთვის გააჩნია საფუძველი,"** - აცხადებს იგი. თანამშრომლების განცხადებით, გათავისუფლებულია 17 თანამშრომელი, რომელთაც წასვლაზე პირადი განცხადება იძულებით დააწერინეს. ამ ნაბიჯისთვის მათ 600 ლარი მისცეს. იმ თანამშრომლებს კი, რომლებმაც არ დაწერეს განცხადება, მოუხსნეს ხელფასის ყოველთვიური 80 პროცენტი დანამატი პრემიის სახით. ამას რუხაძე უარყოფს და აცხადებს, რომ ამჟამად არ არსებობს თანამშრომლების გათავისუფლების არანაირი საფუძველი, **"პირიქით, ხელმძღვანელობა ცდილობს, შეინარჩუნოს ისინი და ამავე დროს ახალი კადრებით შეავსოს."** მისი განცხადებით, ექვსივე (!!!) გათავისუფლებული თანამშრომელი თავისი სურვილით წავიდა: **"ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ სამსახურიდან წასვლის მსურველებს მიეცემოდათ საუკეთესო პირობები. თუ სხვა კომპანიები ამ შემთხვევაში 3 თვის ხელფასებს იძლეოდნენ, ჩვენ მათ შევთავაზეთ ორჯერ მეტი თანხა, პლუს პრემია. ჩემთვის ძალიან გასაკვირია თანამშრომლების უკმაყოფილება,"** - აცხადებს დირექტორი.

მომჩივანი მხარე ასევე საუბრობს ადამიანის უფლებების დარღვევებზე: **"არ ხდება ცვლაში მომუშავე თანამშრომლებისთვის ღამის საათებისა და სადღესასწაულო დღეების ანაზღაურება. ვინც საკუთარი უფლებების დაცვა დააპირა, ადმინისტრაცია პასუხობს, რომ მის უკან გავლენიანი ადამიანები დგანან."**

ირაკლი რუხაძეს უკვირს თანამშრომლების მიერ ხელფასების სიმცირეზე წამოწყებული ლაპარაკი, რადგან, მისი თქმით, კომპანიის პრივატიზაციამდე არსებული ხელფასები მართლაც მწირი იყო ახლანდელთან შედარებით. **"ტელენეტის" პრივატიზებამდე 130 თანამშრომელი იყო, დღეს კი 124-ია. პრივატიზაციამდე სახელფასო ფონდი არსებულთან შედარებით 250 პროცენტით გაიზარდა. აქედან გამომდინარე, თანამშრომელთა ხელფასები ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საშუალოდ ორნახევარჯერ გაიზარდა,"** - აცხადებს რუხაძე.

როგორც "ტელენეტის" განერალურმა დირექტორმა "24 საათთან" საუბრის ბოლოს აღნიშნა, იგი შეხვდება მომჩივან თანამშრომლებს, ოღონდ არა იმიტომ, რომ გაათავისუფლოს, არამედ იმისთვის, რომ მსგავსი რამ სააქციო საზოგადოება "ტელენეტში" აღარ განმეორდეს.


# საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

კომპანია **"ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების** ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს (CLO) დაევალება დახმარების გაწევა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში ზედამხედველისათვის სოციალურ და საზოგადებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხების მენეჯმენტში, **საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედებაზე განსაკუთრებული აქცენტით.** მას, უპირველეს ყოვლისა, კოორდინირებულად ურთიერთქმედება მოუწევს:

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის (SCP) მილსადენის მარშრუტის გასწვრივ განლაგებული დასახლებული პუნქტების მოსახლეობასთან.
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის სამშენებლო ბრიგადებთან.
- მშენებლობის კონტრაქტორის CLO-ს ჯგუფთან.
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ საზოგადოების ინვესტირების პროგრამას (CIP).

**იგი უნდა ეცადოს, პოზიტიური ურთიერთობები დაამყაროს მილსადენის გასწვრივ განლაგებული დასახლებული პუნქტების მაცხოვრებლებსა და BTC/SCP-ს შორის.** ამისათვის საჭირო იქნება ამ საზოგადოებრივი ჯგუფების წევრთა პრობლემების მოსმენა, ამ პრობლემათა შესახებ სათანადო ანგარიშების მომზადება და წარდგენა და შემდგომი ღონისძიებების მიღების უზრუნველყოფა. სააზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი საკუთარი დროის უმეტეს ნაწილს გაატარებს საველე პირობებში - სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში.

**მოვალეობები:**

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- უზრუნველყოფა იმისა, რომ BTC/SCP მილსადენის მარშრუტის გასწვრივ განლაგებული დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი, მათთვის მიწოდებული ინფორმაცია პროექტის თაობაზე რეგულარულად განახლდეს ხოლმე და მათთან ჩატარდეს კონსულტაციები მათი პრობლემებისა თუ პრეტენზიების შესახებ. საკითხები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია რეგულარულად უნდა განახლდეს ხოლმე, არის ტრანსპორტის მოძრაობა, უსაფრთხოება, ხმაური, მტვერი, მუშები და ა.შ.
- მოსახლეობისათვის შემაწუხებელ ან მავნე სამუშაოებთან დაკავშირებული ზომების მიღების უზრუნველყოფის საკითხების მართვა და იმის გარანტირება, რომ ხსენებული ზომები მისაღებია დასახლებათა მცხოვრებთათვის.
- უზრუნველყოფა იმისა, რომ დასახლებული პუნქტების მცხოვრებთ შეეძლოთ პროექტისთვის საკუთარი საჩივრების გადაცემა თითოეულ დასახლებულ პუნქტში მომუშავე საზოგადოებასთან კავშირის ნებისმიერი ჯგუფის მეშვეობით.
- ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რაიონში მოქმედ მშენელობის კონტრაქტორის CLO-ებს, CIP-ს ჯგუფისა და შესაბამისი გეოდეზიური ჯგუფის წევრებს შორის საზოგადოებრივ საკითხებთან/პროექტებთან დაკავშირებული მუშაობის კოორდინაციისათვის ხელის შეწყობა.
- სოციალურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ მენეჯმენტის გეგმებში არსებული დარღვევების გამოვლენა და მაკორექტირებელ ღონისძიებათა რეკომენდირება.
- წამოჭრილი დავების გადაჭრისათვის ხელის შეწყობა ადამიანებთან კავშირის დამყარების უნარის გამოყენებით.

**სპეციფიკური საქმიანობა:**

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის საქმიანობა:
- ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა, რომლებშიც განსაზღვრული იქნება ძირითადი საკითხები და ღონისძიებები.
- რეგულარული დასწრება CIP-ს შეკრებებზე.
- უსაფრთხოების საკითხების თაობაზე ბრიფინგების მოწყობა სკოლებში.
- პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან გამართული ფორმალური და არაფორმალური შეხვედრების მეშვეობით.
- BTC/SCP-ს მიერ ჩატარებული საჯარო კრებების დოკუმენტირება.
- დახმარების გაწევა წამოჭრილ დავათა დეტალების დოკუმენტირებაში.
- რეგულარული დასწრება მშენებლობის კონტრაქტორის მიერ ორგანიზებულ საზოგადოების საინფორმაციო ბრიფინგებზე.
- საპროექტო მასალების მიწოდება CIP-ს ოფისებისათვის.
- რეგულარული შეხვედრები მშენებლობის კონტრაქტორის CLO-ებთან, CIP-ს ჯგუფთან და შესაბამისი გეოდეზიური ჯგუფის წევრებთან მათი საქმიანობის კოორდინირების მიზნით.
- BTC/SCP-ს მიერ შემუშავებული საჩივრების შეტანისა და განხილვის პროცედურის მეშვეობით საჩივრების მიღება და მათთვის თვალყურის მიდევნება, შემდეგ კი შესაბამისი დამატებითი ღონისძიებების გატარება საჩივრების მოგვარების უზრუნველსაყოფად.

**მოთხოვნები:**

- საჯარო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების უნარი.
- დიდი მოცულობის ინფორმაციის ორგანიზაციისა და დოკუმენტირების უნარი.
- კონფლიქტების მოგვარების გამოცდილება.
- ქართული და რუსული ენების თავისუფლად ფლობა; ინგლისურის კარგი პრაქტიკული ცოდნა; აზერბაიჯანულის ცოდნა პლუსად ჩაითვლება.
- ძლიერი დაინტერესება სოციოლოგიითა და საზოგადოებრივი საკითხებით.
- საკონსულტაციო პროცედურების არსის კარგი გაგება.
- პროგრამების: MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook კარგად ფლობა.
- კარგი თანამოსაუბრე, გუნდური სულისკვეთების, თვითმოტივირებული, ტაქტიანი და ავტორიტეტული.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 9 თებერვალი, ორშაბათი, საღამოს 18:00 საათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
**AGT მილსადენების პროექტი**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# აფეთქება იერუსალიმში



ისრაელი თვლის, რომ ამ აქტზე პასუხისმგებლობა, ტერორისტებთან ერთად, არაფატის მთავრობასაც ეკისრება.

REUTERS

გუშინ პალესტინელმა კამიკაძემ იერუსალიმის ცენტრში ავტობუსი ააფეთქა, რის შედეგადაც 10 ადამიანი დაიღუპა და ორმოცზე მეტი დაიჭრა. ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა მოგვიანებით პალესტინურმა რადიკალურმა დაჯგუფებამ "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადებმა" აიღო თავის თავზე, მათი განცხადება კი ბეირუთის ტელევიზიით გადაიცა. ტერორისტული ორგანიზაცია აცხადებს, რომ ისრაელის დასამარცხებლად ბოლომდე იბრძოლებს.

იერუსალიმის ცენტრში აფეთქება იმ მომენტში განხორციელდა, როდესაც ავტობუსი ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის რეზიდენციას რამდენიმე ათეულ მეტრზე მიუახლოვდა. ისრაელის მთავრობა იუწყება, რომ ამ დროს თავად არიელ შარონი შენობაში არ იმყოფებოდა. ოფიციალურმა თელ-ავივმა განაცხადა, რომ ეს აფეთქება პალესტინური ორგანიზაციების შეურიგებლობას კიდევ ერთხელ ადასტურებს, ხოლო თავად პალესტინის ადმინისტრაცია კი ტერორიზმთან ბრძოლაში უძლურია. ამდენად, ისრაელი თვლის, რომ ამ აქტზე პასუხისმგებლობა, ტერორისტებთან ერთად, არაფატის მთავრობასაც ეკისრება. თუმცა, პალესტინის ადმინისტრაციის წევრმა და მინისტრმა ისრაელთან მოლაპარაკებების საკითხებში საებ ერექათმა მთავრობის სახელით დაგმო ტერაქტი და განაცხადა, რომ მის ორგანიზატორებს სამშვიდობო პროცესის ჩაშლა აქვთ გამიზნული.

აფეთქებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ისრაელის მთავრობამ იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში 400-მდე პალესტინელი პატიმარი გაათავისუფლა. ამავე დროს, ისრაელმა ლიბანის ტერიტორიაზე ბაზირებულ ტერორისტულ დაჯგუფება "ჰეზბოლას" 59 ლიბანელი მებრძოლის ცხედრები გადასცა. მებრძოლები სამხრეთ ლიბანში ისრაელის 22-წლიანი ოკუპაცის დროს დაიღუპნენ.

# „ბიბისის" გენერალური დირექტორი გადადგა

პირველი გვერდიდან

**"ვიმედოვნებ, რომ ჩემი გადადგომით მთელ ამ ისტორიას წერტილი დაესმება,"** - განაცხადა გრეგ დაიკმა. ამჟამად, კორპორაციის ხელმძღვანელის ფუნქციას დროებით გრეგ დაიკის მოადგილე მარკ ბაიფორდი შეასრულებს.

ჰატონის საგამოძიებო დასკვნის თანახმად, პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს ყველა ბრალდება მოხსნილი აქვს, ხოლო საინფორმაციო სააგენტო "ბიბისი" კი მთელ რიგ დარღვევებშია დადანაშაულებული.

გუშინწინ, შუადღისას გამოქვეყნებული ჰატონის დასკვნა მთავრობის ყველა წარმომადგენელს, სააგენტო "ბიბისის" და გარდაცვლილი დოქტორ კელის ოჯახს დაეგზავნა.

როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ექსპერტმა დევიდ კელიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მას შემდეგ, რაც საქვეყნოდ ცნობილი გახდა, რომ ის "ბიბისის" ჟურნალისტის ენდრიუ გილიგანის ანონიმი წყარო იყო. ჟურნალისტმა გილიგანმა რეპორტაჟი სწორედ დოქტორ კელისთან საუბარზე დაყრდნობით მოამზადა და განაცხადა, რომ ტონი ბლერის "ერაყის დოსიეში" ფაქტები სადამის საფრთხის შესახებ გადაჭარბებული და დამახინჯებული იყო. მოგვიანებით, ენდრიუ გილიგანმა ამ რეპორტაჟის გამო სახალხოდ მოიხადა ბოდიში და განაცხადა, რომ თავისივე სიტყვები დოქტორ კელის უნებლიეთ მიაწერა. თუმცა, გილიგანის სინანულმა კელის ვერაფერი უშველა – ის უკვე გარდაცვლილი იყო.

ჰატონის კომისია ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს სკანდალის კიდევ ერთ გმირს – ბრიტანეთის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს ალისტერ კემპბელს. როგორც დასკვნაშია ნათქვამი, მას ამ მოვლენებში ერთი შეცდომაც კი არ დაუშვია.

ასე და ამგვარად დამარცხდა გავლენიანი საინფორმაცი კორპორაცია "ბიბისი" ბრიტანეთის ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

# აჰმედ ზაკაევი ბერლინს ეწვია

ჩეჩნეთის ამბოხებული პრეზიდენტის ასლან მასხადოვის წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი გერმანელი დეპუტატების მიწვევით ბერლინში ჩავიდა. ამასთან დაკავშირებით, მოსკოვმა უკვე გამოთქვა უკმაყოფილება. თუმცა, ამჯერად მოსკოვი ზაკაევის გადაცემას გერმანიას ვეღარ მოსთხოვს. მასხადოვის ემისარს ხომ რამდენიმე დღის წინ დიდმა ბრიტანეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

როგორც ცნობილი გახდა, ზაკაევს უსაფრთხოების გარანტია ამ ვიზიტის დროს თავად გერმანიის ხელისუფლებამ მისცა. მასხადოვის ემისარმა სააგენტო "ფრანს პრესთან" საუბარში განაცხადა, რომ გერმანელ კანონმდებლებთან და პოლიტიკოსებთან გამართული შეხვედრებით კმაყოფილია.

**"მე მათ განვუცხადე: ევროკავშირმა და ევროპის სხვა ქვეყნებმა არა მხოლოდ ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ჩეჩენ ხალხს, არამედ რუსეთის და ჩეჩნეთის პრეზიდენტები უნდა აიძულონ, რომ მათ ამ სისხლიან კონფლიქტს წერტილი დაუსვან,"** - განაცხადა აჰმედ ზაკაევმა. ის ჩეჩნეთის პრეზიდენტად კვლავ ასლან მასხადოვს აღიარებს, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს, მოსკოვის დახმარებით, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში "კრემლის კაცად" აღიარებულმა აჰმედ კადიროვმა "გაიმარჯვა."

**"ევროპის ლიდერებს ჩვენი დახმარება გულწრფელად სურთ, თუმცა ამას ოფიციალურად ვერ აცხადებენ. მიუხედავად ამისა, ისინი საბოლოოდ მაინც ჩაერევიან ამ კონფლიქტის დარეგულირების საქმეში,"** - ამბობს ბერლინში მყოფი ზაკაევი.

მასხადოვის ემისარის ვიზიტს რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევი გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ ამ ვიზიტის ოფიციალური ფორმატი ვერ გაიგო. მისი თქმით, ბუნდესტაგის დეპუტატებს სრული უფლება აქვთ, ვინც უნდათ, ის დაპატიჟონ, **"მაგრამ, ამჯერად საკითხი საკმაოდ სერიოზულია."** მან გამოთქვა მზადყოფნა, რომ ჩეჩნეთში გერმანელი დეპუტატების ვიზიტს თავად გაუწევს ორგანიზებას, რათა ბუნდესტაგის წევრებმა ვითარებაში გარკვევა ადგილზე შეძლონ.



აჰმედ ზაკაევი თავს უკვე უსაფრთხოდ გრძნობს.


# ტექმომსახურების მგეგმავი

**კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს ტექმომსახურების მგეგმავის თანამდებობის დასაკავებლად. ტექმომსახურების მგეგმავი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.**

**სამუშაოს აღწერა:**
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ტექმომსახურების მგეგმავი ანგარიშვალდებულია ექსპლოატაციის მთავარი მგეგმავის წინაშე. პროექტის მიმდინარეობასთან ერთად ფუნქციები გაფართოვდება და შესაფერისი პირებისათვის მოსალოდნელია შეიქმნას თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობები. პროექტის წინასაექსპლოატაციო ფაზიდან ექსპლოატაციის ფაზაზე გადასვლასთან ერთად შეიცვლება მოვალეობებიც.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
ტექმომსახურების მგეგმავის ზოგად მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

**წინასაექსპლოატაციო ფაზაზე:**
- ერთობლივი მუშაობა მთავარ მგეგმავთან ტექმომსახურების მენეჯმენტის ახალი სისტემის დანერგვის სფეროში.
- კოორდინირებული მუშაობა ტექმომსახურების კონსულტანტებთან - მიმდინარე პროფილაქტიკური ტეომომსახურების, სამუშაოს გეგმების და ინსპექტირების ღონისძიებების შემუშავების სფეროში.
- მონაწილეობა ტექმომსახურების და ინსპექტირების გრაფიკების შემუშავების და საწყისი ოპტიმიზაციის პროცესში, რათა ისინი მზადყოფნაში იყოს ექსპლოატაციის დაწყების მომენტისათვის აზერბაიჯანსა და საქართველოში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად, საინჟინრო და ტექმომსახურების ჯგუფის ექსპლოატაციისათვის მზადყოფნის გაკონტროლება და დოკუმენტური აღრიცხვა.
- მთავარ მგეგმავთან ერთად ოპტიმალური პრაქტიკის დანერგვა მთელი სტრუქტურის მასშტაბით, ტექმომსახურების დაგეგმვის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მზადების სფეროში, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ძირითადი ინდიკატორების შემუშავება (შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები/საშუალებები).

**ექსპლოატაციის ფაზაზე:**
- მჭიდროდ ითანამშრომლებს მთავარ მგეგმავთან, რათა დახვეწოს და დანერგოს ტექმომსახურების დაგეგმვის საუკეთესო პრაქტიკა ტექმომსახურების და ექსპლოატაციის ბრიგადებში. აქვე იგულისხმება ყოველდღიური/ყოველკვირეული დაგეგმვა და საკოორდინაციო შეხვედრები.
- იმუშავებს ტექმომსახურების და ექსპლოატაციის კონსულტანტებთან, რათა ყოველგვარი სამუშაო წარიმართოს ექსპლოატაციის კრიტიკული რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად, ეფექტურად და უსაფრთხოების პირობებში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად შეიმუშავებს და აწარმოებს გრძელვადიან, საშუალო (12 კვირა) და მოკლევადიან სამუშაო გრაფიკებს, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ტექმომსახურების, ექსპლოატაციის და საპროექტო ღონისძიებები, აგრეთვე ნებისმიერ მესამე მხარესთან და მასალების მარაგებთან დაკავშირებული საკითხები.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების შესრულების ანგარიშების და შესრულების ძირითადი ინდიკატორების ოპერატიულად მოწოდებას და ანგარიშგებას, აგრეთვე სუსტი სფეროების დროულად გამოვლენას, რომელიც გაუმჯობესებას მოითხოვს, და ადეკვატური ზომების გატარებას.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების დაგეგმვის ცენტრალურ სისტემაში დაცული მონაცემების თანმიმდევრულობას.
- მოამზადებს დიდი მოცულობის სამუშაო პაკეტის დეტალურ გეგმებს, გააკონტროლებს სამუშაოს მიმდინარეობას და გასცემს სათანადო მაკორექტირებელი ზომების რეკომენდაციებს, გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში.
- უზრუნველყოფს ექსპერტიზას ტექნიკური დაგეგმარების საკითხებში.

**მოთხოვნები**:
- კანდიდატებს მოეთხოვებათ შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- წარსული გამოცდილება ტექმომსახურების სფეროში (საუკეთესო შემთხვევაში, 3 წლის განმავლობაში).
- სწავლების და კომუნიკაციის კარგი უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის კარგი უნარი (Microsoft Office, ტექმომსახურების სისტემის სერვის-პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება).
- გუნდის წევრად მუშაობის სურვილი.
- სასურველია ტექმომსახურების დაგეგმვის სისტემის, სერვის-პროგრამის ან MS Project-ის ცოდნა, თუმცა გათვალისწინებულია ტრენინგი ამ სფეროში.
- განათლების დიპლომი, სასურველია ტექნიკურ დარგში.
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების თავისუფლად ფლობა (წერილობითი და ზეპირი).
- საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განაცხადის შემოტანის წესი/დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობების დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 3 თებერვალი, სამშაბათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP-საქართველო**
**საქართველო, თბილისი**
**საბურთალოს ქუჩა N38**


# ევროსაბჭო სომხეთს მკაცრად აკრიტიკებს

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ხუთშაბათს გამოქვეყნებულ მოხსენებაში სინანულს გამოთქვამს სომხეთში დემოკრატიზაციის თვალსაზრისით არსებული მცირე პროგრესის გამო. ევროსაბჭო იწონებს სომხეთის ხელისუფლების "კონსოლიდირებულ მცდელობას", რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულოს.

ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული შარშან საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გაყალბება, სომხეთის ხელისუფლების მიერ ქვეყანაში მედიის პლურალიზმისა და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი გარემოს არშექმნა, აგრეთვე, არატრადიციული რელიგიური ჯგუფების ლეგალიზებაზე უარის თქმა.

თუმცა, ოფიციალური ერევნისათვის ყველაზე დიდი დარტყმა ის იყო, რომ სტრასბურგმა მთიან ყარაბაღს ხაზგასმით "აზერბაიჯანის ნაწილი" უწოდა. ევროსაბჭომ მხარი არ დაუჭირა ოპოზიციური სომხური პარტიების ინიციატივასაც, რომ სომხეთში რობერტ კოჩარიანის ნდობის რეფერენდუმი ჩატარდეს.

"2003 წელი სომხეთისათვის საარჩევნო წელი იყო და, ამის გამო, რეფორმები არ გაგრძელებულა, - წერია მოხსენებაში, - თუმცა, 2003 წლის სექტემბრის შემდეგ, სომხეთის მცდელობა ცხადყოფს, რომ მას აღებული ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულება სურს."

აღნიშნული რეზოლუციის ყველაზე კრიტიკული ნაწილი კი მაინც 2003 წლის არჩევნებს შეეხება. "ასამბლეას არ შეუძლია, თავისი იმედგაცრუება არ გამოხატოს ჩატარებული არჩევნების გამო... რომელიც სერიოზული დარღვევებითა და გაყალბებით ჩატარდა," - ნათქვამია დოკუმენტში. იქვე აღნიშნულია, რომ სომხეთი ევროსაბჭოს მუდმივი მონიტორინგის რეჟიმის ქვეშ უნდა დარჩეს მანამ, სანამ ის არჩევნებს "საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად არ ჩაატარებს."

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა აცხადებს, რომ საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას ოპოზიციის ასეულობით მხარდამჭერის დაჭერით "შოკირებულია". ასამბლეა დაჟინებით მოითხოვს ხელისუფლებისაგან საბჭოთა კავშირის დროინდელი იმ კანონების გაუქმებას, რომლის თანახმად, ამ ადამიანების დროებით დაკავება შესაძლებელი გახდა.

ადრე სომხეთი ამ რეკომენდაციას არ ითვალისწინებდა. ახლა კი პირობა დადო, რომ მომავალი წლის აპრილამდე საარჩევნო კოდექსში შესწორებას შეიტანს.

მოხსენებაში 2002 წლის აპრილში დამოუკიდებელი ტელეკომპანიიის A1+-ის დახურვა გაკრიტიკებულია. თუმცა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ამ ტელეკომპანიის გახსნას არ მოითხოვს. დოკუმენტში მხოლოდ აღნიშნულია, რომ საჭიროა ტელემაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა.

ევროსაბჭო გმობს სომხეთში პატიმრების ცუდად მოპყრობას და კოჩარიანის ადმინისტრაციას კორუფციასთან არასათანადო ბრძოლაში ადანაშაულებს, რომელმაც "დაუშვებელ დონეს" მიაღწია. ამავდროულად, საბჭო ახალხან გამოქვეყნებულ ანტიკორუფციულ სტრატეგიას იწონებს.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სომხეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ტიგრან ტოროსიანი შეეცადა, მიღწევებზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ რეზოლუციის მიღებამდე რამდენიმე წუთით ადრე მისი ძალისხმევით ტექსტიდან ამოიღეს შემდეგი ფრაზა: "კონფლიქტი მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის სხვა ოკუპირებული ტერიტორიების გამო."

სომხეთის დელეგაციამ გააპროტესტა სიტყვა "სხვა", რადგან ეს კონფლიქტის აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყვეტას გულისხმობს. სომეხ პარლამენტართა მოსაზრებები იტალიელ პარლამენტართა მოულოდნელი მხარდაჭერის შემდეგ გაიზიარეს.

ევროსაბჭოს საბოლოო განცხადებაში წერია, რომ "მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებში პროგრესი არ შეიმჩნევა."

ტოროსიანმა, რეზოლუციის ნეგატიური ტონის გამო, სომეხი დიპლომატები დაადანაშაულა, რომელთა გვარები არ დაუსახელებია. მისი თქმით, დიპლომატები მას არწმუნებდნენ, რომ რეზოლუცია მკაცრი არ იქნებოდა. ახლა, სომეხი პარლამენტარი იმითღა ინუგეშებს თავს, რომ საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია აზერბაიჯანის შესახებ კიდევ უფრო მკაცრია და მომავალ ივნისამდე ბაქოს ადამიანის უფლებების მდგომარეობის გამოსწორებას სთხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზერბაიჯანს პოლიტიკური სანქციები არ ასცდება.

# "მრცხვენია, რომ მრავალშვილიანი ვარ"

*საბჭოთა პერიოდში ოთხზე მეტი შვილის გაჩენა ყოველთვიურად თითო შვილზე 100 მანეთს, კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლებასა და უამრავ ჰუმანიტარულ დახმარებას ნიშნავდა, 10 შვილის ყოლა კი - ოქროს მედალს, გმირი დედის წოდებასა და ბინით, მანქანით უზრუნველყოფას. ამის გარდა, გმირი დედისთვის ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის, მატარებლითა და თვითმფრინავით) მგზავრობა უფასო იყო. დღეს კი...*

ნანა ქადაგიშვილი

8 შვილის დედა, არასამთავრობო ორგანიზაცია "მრავალთ იმედის" დამფუძნებელი, ელმირა მზარეულაშვილი: **"10 შვილი გავაჩინე, ორი გარდამეცვალა. 5 შვილი არასრულწლოვანი მყავს. ხმამაღლა იმისი თქმისაც მრცხვენია, რომ მრავალშვილიანი ვარ. ქუჩაში რამდენს უთქვამს, - გააჭირეს ამ მრავალშვილიანებმა საქმე, სულ მერიისა და გამგეობების წინ დგანანო."**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1995 წელს, პრეზიდენტის განკარგულებით, მრავალშვილიანად სამშვილიანი ოჯახი გამოცხადდა და 2000 წელს მათთვის გარკვეული შეღავათები დაწესდა - წყალზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე, ბუნებრივ აირსა (40 კუბური მეტრი) და 2001 წლიდან ელექტროენერგიაზე. გასულ წლამდე ფედერალური ბიუჯეტიდან სისტემატურ ფულად დახმარებას (35 ლარს, საოჯახო დახმარების სახით) მხოლოდ შვიდი და მეტშვილიანი ოჯახები იღებდნენ. შარშან თბილისის საკრებულომ, მრავალშვილიანი დედების დახმარების პროგრამით, თითო ბავშვზე ყოველთვიურად 5 ლარი დააწესა. მოქმედებს ახალშობილთა მუნიციპალური პროგრამაც, რომელიც მეოთხე შვილის დაბადებისას 200 ლარის, ხოლო მეხუთე და მეტი შვილის დაბადებისას 500 ლარის დახმარებას ითვალისწინებს. ამის გარდა, 1998 წლის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს ერთჯერადი დახმარებების მიღების უფლებაც აქვთ, რისთვისაც ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში 1 200 000 ლარია გათვალისწინებული.

ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს სჭირდებათ. თუმცა, უმრავლესობა ამ დახმარებასაც ვერ იღებს. საკრებულო უკვე დაუფარავად საუბრობს იმაზე, რომ ერთჯერადი ფულადი დახმარებებით, გაჭირვებული ოჯახების ნაცვლად, ჩინოვნიკები სარგებლობენ. **"უმწეოთა პროგრამები კორუფციის წყაროდ იქცა. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ შემწეობები რამდენიმე უწყებიდან - მერიიდან, გამგეობებიდან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გაიცემა,"** – აცხადებს საკრებულოს წევრი ლევან მეტრეველი. ამ საკითხებში ყველაზე უკეთ თვითონ მრავალშვილიანები არიან გარკვეულები.

ელმირა მზარეულაშვილი: **"2-3 განსაკუთრებულად აქტიური ჯგუფია შექმნილი (ლია მირიანაშვილის, ლეილა ქონიაშვილისა და ასმათ ხუციშვილის თაოსნობით) და ერთმანეთთან შეთანხმებითა და ჩინოვნიკების დახმარებით, ერთჯერად დახმარებას წელიწადში რამდენჯერმე იღებენ 200-200 ლარის ოდენობით. ჩინოვნიკები მრავალშვილიანების აქტიურ ჯგუფს აკმაყოფილებენ, სამაგიეროდ, თვითონაც წილში არიან. ვინც ჩუმადაა, ის მშრალზე რჩება. კიდევ კარგი, გამგეობებში პროგრამით გათვალისწინებულ 5 ლარს მაინც აძლევენ, თუმცა პრობლემები აქაც იქმნება. ამ ფულის მისაღებად მრავალშვილიანმა გამგეობაში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიაროს, ამისთვის კი სახლმმართველობიდან თუ პოლიკლინიკიდან საჭირო საბუთების მოგროვება იმდენი ჯდება, რასაც მრავალშვილიანებს, დახმარების პროგრამით, ერთ ბავშვზე აძლევენ."**

არასამთავრობო ორგანიზაცია "ფონდი პროგრესის" ხელმძღვანელი, 3 შვილის დედა, ლეილა ქონიაშვილი: **"გამიკვირდა, რომ აქტივისტებს შორის მეც დამასახელეს. ალბათ, იმიტომ, რომ შარშან ქალაქის ჯანდაცვის სამსახურის მიერ შექმნილი კომისიის წევრი ვიყავი. ამ კომისიას სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების შემოწმება ევალებოდა. რაც შეეხება ლია მირიანაშვილს, მას ასეთი დევიზი აქვს, - რასაც მომცემენ, ყოველთვის ავიღებო. როცა ქალს შვილი მშიერი ჰყავს, ქუჩაში რომ გამოვიდეს, ამაში გასაკვირი არაფერია."**

არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯაჭვის" ხელმძღვანელი ხათუნა ტაბატაძე: **"მრავალშვილიანი არ ვარ, მაგრამ მათ პრობლემებს კარგად ვიცნობ და ვცდილობ, დავეხმარო. 2000 წლის 4 მაისის შემდეგ, როცა მრავალშვილიანების მერიის წინ მოწყობილი აქცია დაარბიეს (მეც ამ აქციის მონაწილე ვარ), ვანო ზოდელავა ღამის 4 საათზე მოდიოდა ჩვენთან და გვთხოვდა, პროკურატურიდან საქმე გამოგვეტანა. სამაგიეროდ, ამ აქციის ზოგიერთ მონაწილეს, მაგალითად, ლია მირიანაშვილს ბინა მისცა. მირიანაშვილი მრავალშვილიანების ყველაზე აქტიური ჯგუფის ლიდერად სწორედ ზოდელავამ გახადა. ვერ ვიტყვი, რომ ზოდელავა მათთან წილშია, მაგრამ მათგან მხარდამჭრები რომ ჰყავს, ფაქტია. ეს ჯგუფი ფულის მისაღებად ყველაფერზე მიდის. გზებს კეტავენ, ჩინოვნიკებს კაბინეტებში უცვივდებიან და ფანჯრის მინებს უმტვრევენ. დანარჩენ მრავალშვილიანებს ატყუებენ, - ესა თუ ის ჩინოვნიკი ფულის მოცემას შეგვპირდა, ოღონდ 50 ლარი მას უნდა მივცეთო. სინამდვილეში კი ამ 50 ლარს თვითონ იღებენ. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, მერიიდან კონვერტებში ჩაწყობილი ფული რომ ჩამოჰქონდათ მათთვის. სამაგიეროდ, რამდენი შემთხვევა ვიცი, მრავალშვილიანი დედა დახმარების მისაღებად მერიაში რომ მივიდა და მისი წილი ფული გატანილი დახვდა - დოკუმენტზე ხელი მის ნაცვლად მოეწერათ."**


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ასე იწყებოდა მრავალშვილიანი დედების აქციები ფინანსთა სამინისტროსთან.*

6 შვილის დედა ნატო კუბლაშვილი: **"არასრულწლოვანი მხოლოდ ერთი მყავს, მაგრამ ერთ-ერთი ცერებრალური დამბლით არის დაავადებული და 19 წლის გოგო 1-2 წლის ბავშვს ჰგავს. რადგან სრულწლოვანი გახდა, ინვალიდობის პენსია შეუწყვიტეს. ოჯახში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს. არანაირი დახმარება არ გვაქვს. გამგეობაში რამდენჯერმე მივედი, მაგრამ ერთჯერადი დახმარება არ მომცეს, - ფული არ გვაქვსო, - მითხრეს. არადა, ვინც აქტიურობს, იმათთვის ფული ყოველთვის არის."**

გამგეობები და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხელს მერიას ახოცავენ და აცხადებენ, რომ მრავალშვილიან დედებზე ერთჯერად დახმარებას, უკვე, ძირითადად, მერია გასცემს. **"ჩვენ მრავალშვილიანებს მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებულ 5 ლარს ვაძლევთ, ერთჯერად დახმარებებს ისინი უკვე მერიიდან იღებენ,"** – განმარტავს ისანი-სამგორის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ვასიკო წამალაშვილი. ქალაქის მერი კი მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს: **"ვინც ბევრს ყვირის, ის ქალბატონი ყველაზე უარესია. იმდენი გახარება მე, რაც ამ ქალმა მერიიდან დახმარებები მიიღო. ბინები და ფულადი დახმარება ვისაც ეკუთვნოდა, იმას მისცეს. ამას სპეციალური კომისია წყვეტს და არა ზოდელავა. უფრო კონკრეტული კომენტარისთვის მერიის საფინანსო სამმართველოსა და ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს მიმართეთ."** საფინანსო სამმართველო კი ჯანდაცვის საქალაქო სამსახურისკენ გვითითებს: **"ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, ერთჯერადი დახმარება ვისზე რა რაოდენობით გაიცა, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს აქვს,"** – აცხადებს სამმართველოს უფროსი ამირან ძებისაშვილი. თუმცა, არც ჯანდაცვის საქალაქო სამსახური იბნევა. **"2002 წლიდან ერთჯერადი დახმარებების გაცემა გამგეობებს გადავაბარეთ. ბოლო 2 წლის მანძილზე, ერთჯერადი დახმარების სახით, მხოლოდ სასექტემბრო და თბილისობის დღესასწაულის აღსანიშნავი დახმარება - 30-30 ლარი გავეცით. ლია მირიანაშვილს ჩვენგან ამ 60 ლარის მეტი არ მიუღია,"** – გვარწმუნებს სამსახურის უფროსის მოადგილე ციცო გუგავა.

საკრებულო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გამოსავალს დახმარებების გაცემის სისტემის მოწესრიგებაში ხედავენ. **"უნდა შეიქმნას კომპიუტერული ბაზა, რათა ვიცოდეთ, ვინ რა მიიღო; დახმარებები ერთი უწყებიდან გაიცეს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდეს,"** – აცხადებს სამინისტრო.

# დასაქმება ჯერ პრიორიტეტული არ არის

*"ასე იწყებენ ხალხზე ზრუნვას?" "ეს არის ახალი საქართველოს პირველი ნაბიჯები?" "რისი იმედი უნდა გვქონდეს აწი?" – ახალი ხელისუფლებისადმი განკუთვნილი მსგავსი სიტყვებით "24 საათს" ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე რამდენიმე უმუშევარმა მიმართა. მათი ინფორმაციით, ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ დასაქმების პროგრამა დახურა. ეს აზრი ამ ადამიანებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც გაიგეს, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი პროგრამას აღარ აფინანსებს.*

მაკა ჯაიანი

დასაქმების სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებას აქამდეც ჰქონია პრობლემები. როცა ბიუჯეტი მუდმივად ვერ სრულდება, მეტიც, ლამის დამტკიცებისთანავე მის სეკვესტრზე იწყება ლაპარაკი, პრობლემები ნებისმიერი სახელმწიფო პროგრამას შეიძლება შეექმნას. ამ თვალსაზრისით, არც უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების პროგრამები ყოფილა გამონაკლისი. გასული წლის მაგალითზე, ბიუჯეტის კანონთან მიმართებაში (2003 წლის ბიუჯეტის სეკვესტრი პარლამენტს არ დაუკანონებია), ისინი მხოლოდ 56,8 პროცენტით შესრულდა. აქედან, ყველაზე კარგად უმუშევართა შემწეობისა და უმუშევართა დროებითი დასაქმების პროგრამები დაფინანსდა; ეს უკანასკნელი – 77,1 პროცენტით. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ უმუშევართა დროებითი დასაქმების პროგრამაზე, რომელიც, როგორც წესი, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს მოიცავს, ფული ყველაზე კარგად "კეთდება". რაც შეეხება უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების სხვა პროგრამებს: პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, ისევ – ბიუჯეტის კანონთან მიმართებაში, სულ 19,4 პროცენტით დაფინანსდა, უმუშევართა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა კი – 36,9 პროცენტით.

აღშფოთებული უმუშევრები, რომელთაც საკუთარი ვინაობა, როგორც გვითხრეს, გართულებების თავიდან ასაცილებლად არ დაასახელეს, უმუშევართა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის მონაწილენი არიან. 2002 წელს ამ პროგრამამ საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობა მისცა 58 უმუშევარს. თავის მხრივ, მათ, სულ ცოტა, ხუთ-ხუთი უმუშევარი დაასაქმეს. 212 უმუშევარი დასაქმდა პროგრამის, ე.წ. "მეწარმეთა ნაწილშიც". გასულ წელს ეს პროგრამა გაცილებით უკეთესი "მოსავლის აღებას" აპირებდა. ამის წინაპირობა გახლავთ ისიც, რომ მარტო "უმუშევართა ნაწილში" უკვე დამტკიცებულია 71 პროგრამა. პრობლემას ქმნის ის, რომ მათგან 29 ჯერ კიდევ დასაფინანსებელია. დაფინანსებას ელოდება, ასევე, მეწარმეთა რვა პროგრამა (30 დაფინანსებულია). როგორც ამბობენ, დაფინანსებაში შექმნილი პრობლემების გამო, ბევრმა მეწარმემ უარიც კი თქვა პროგრამაში მონაწილეობის გაგრძელებაზე, არადა, აღებული ვალდებულების მიხედვით, ისინიც, სულ მცირე, ხუთ-ხუთ უმუშევარს ასაქმებდნენ. იგივე მიზეზით გამოეყო პროგრამას კიდევ ერთი მეწარმე, რომელიც 25 მრავალშვილიანს ასაქმებდა. დაფინანსებას ჯერ ისევ ელის მეწარმე, რომელმაც 36 პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდი უნდა დაასაქმოს. ამ პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა ხელფასი 100 ლარზე ნაკლები არ არის.

ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, ეს არის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) ყველაზე ქმედითი პროგრამა, რომელიც პოსტსაბჭოურ საქართველოში უმუშევართა დასაქმების კუთხით განხორციელებულა. შექმნილი ვითარება კი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მის განხორციელებაზე ახალ საქართველოში, მართლაც, უარს ამბობენ. ეს "უარი", თუ შეიძლება ასე ითქვას, უცნაურად გამოიყურება. საქმე ის გახლავთ, რომ, გასული წლის 31 დეკემბრის №639 ბრძანებით, ფინანსთა ახალმა მინისტრმა დაამტკიცა 2004 წლის იანვრის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები, მათ შორის - უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები. ჩამონათვალში, რომელიც ამ ბრძანებას ახლავს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამისთვის დაფინანსების ზუსტად ერთი მეთორმეტედია გათვალისწინებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ფული ამ პროგრამებისთვის არსებობს, მაგრამ არ გასცემენ. ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო შარშანდელი პროგრამის დასრულების, წლევანდელი პროგრამის დაწყების საშუალებასაც სპობს. აქედან გამომდინარე, შეშფოთებულნი არიან არა მარტო უმუშევრები, უმუშევართა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ავტორებიცა და მისი განმახორციელებლებიც.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ლადო ჭიპაშვილი განმარტავს, რომ პროგრამის დაფინანსება ერთი მარტივი მიზეზის გამოა შეჩერებული – სათანადო თანხები ფინანსთა სამინისტროს ჯერ არ ჩაურიცხავს. **"როგორც კი ფინანსთა სამინისტრო საჭირო ტრანსფერს გადმორიცხავს, პროგრამა მაშინვე დაფინანსდება,** - განაცხადა მან "24 საათთან" საუბარში, - **იანვრის თვის პენსიის დასარიგებლად ფონდს საჭირო რაოდენობით თანხებიც არ მიუღია - ორი მილიონი გვაკლია. პენსიებისა და ჯანდაცვის დაფინანსებაზე მთელი საკუთარი შემოსავლებია მიმართული. ამ პირობებში დასაქმების პროგრამები შედარებით ნაკლებად პრიორიტეტული აღმოჩნდა."** ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ამ ინფორმაციას ადასტურებს. **"დასაქმების პროგრამების თანხები ჯერ არ გადარიცხულა,** - განგვიცხადა მან, - **ჯერ ორიენტაცია პენსიების დაფინანსებაზე გვაქვს აღებული. ვერც იმას გეტყვით, იანვრის ბოლომდე ამ პროგრამისთვის თანხების გადარიცხვას მოვახერხებთ თუ არა."** ეჭვები იმის თაობაზე, რომ, პარტიული ნიშნით, "ნაციონალები" და "დემოკრატები" მთავრობაში შეთანხმებულად არ მუშაობენ, ამჯერად არ გამართლდა. თუმცა, უმუშევრებისთვის ეს ვერაფერი ნუგეშია.

# პედაგოგები გაფიცვისთვის ემზადებიან

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ქუთაისში პედაგოგები დეკემბრის ხელფასის "გაყინვას" აპროტესტებენ. ამასთან, მასწავლებლებს კუთვნილ ანაზღაურებაზე 20-პროცენტიანი დანამატიც მოუხსენს, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ერთი წლის წინ მათ დიდი ზარ-ზეიმით დაუწესა. აღნიშნულის გამო პედაგოგებმა ქუთაისის მერიის წინ მცირერიცხოვანი საპროტესტო აქცია მოაწყვეს და უფრო ფართომასშტაბიანი გაფიცვისთვის მზადებას შეუდგნენ, რომელიც, მათივე განმარტებით, უახლოეს დღეებში დაიწყება.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხელისუფლებისგან ასეთ ქმედებას ქუთაისელი მასწავლებლები ვერაფრით ხსნიან. **"მთავრობისგან ხელფასის მომატებას ველოდით, მათ კი ერთი თვის ხელფასი გაგვიყინეს და 20-პროცენტიანი დანამატიც მოგვიხსნეს,"** - აცხადებენ ისინი. პედაგოგთა ხელფასებს 70 პროცენტით ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, ხოლო 30 პროცენტით ცენრალური ტრანსფერი. ამავე დროს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ პედაგოგებს ერთი წლის წინ ხელფასი 20 პროცენტით მოუმატა, ხოლო დირექტორებს კი - გაუორმაგა. მასწავლებლების განსაკუთრებული აღშფოთება სწორედ ამ დანამატის გაუქმებამ გამოიწვია. **"ორი დღის წინ განათლების განყოფილებამ სკოლების ბუღალტრები და დირექტორები შეკრიბა. მათ უთხრეს, რომ ხელფასის 20 პროცენტიანი დანამატი მოგეხსნებათ, ხოლო დეკემბრის ხელფასი საერთოდ არ მოგეცემათო. მოკლედ, რაც გინდათ, ის ქენითო... ამის გამო ქუთაისის მერს ნუგზარ ფალიანს დავუკავშირდი. მან მითხრა, რომ მასწავლებლები ხელფასს ჩვეულებრივ მიიღებდნენ. ეს ამბავი პედაგოგებთან გადავამოწმე, ჩემმა კოლეგებმა კი მოკლედ მომიგეს, ფალიანმა რა იცის, ქუთაისში რა ხდებაო და მართალნიც აღმოჩნდნენ,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირების - "სოლიდარობის" ლიდერმა მანანა ღურჭუმელიძემ. ქალაქის მერის დაპირების მიუხედავად, პედაგოგებს იანვრის თვის სახელფასო უწყისები დანამატის გარეშე გაუფორმდათ. ხელფასების არგაცემის ძირითად მიზეზი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის შეუვსებლობაა. ამჟამად ქალაქის მთავრობა დათხოვილია, თუმცა ქუთაისის შემთხვევაში ვიცე-მერები მხოლოდ იმიტომ დაითხოვეს, რომ რევოლუცია ცვლილებებს მოითხოვდა. შეუსრულებელი ბიუჯეტის გამო მათზე პასუხისმგებლობის დაკისრება კი აზრადაც არავის მოსვლია. **"ვთქვათ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ჩვენი ხელფასებისთვის თავისი წილი არ გადმორიცხა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კუთვნილი დანარჩენი 70 პროცენტი სად არის?"** - კითხულობენ პედაგოგები. ქუთაისის მერია კი დეკემბრის თვის ხელფასის დარიგებას მარტში ან აპრილში აპირებს, მაგრამ პედაგოგებს მერიის დაპირებებისა აღარ სჯერათ და საყოველთაო გაფიცვისთვის ემზადებიან. "სოლიდარობის" ბაზაზე საგაფიცვო კომიტეტი უკვე შექმნილია. მიტინგის ჩატარების შესახებ კი მასწავლებლებმა თვითმმართველობას წერილობით მიმართეს. **"ხელისუფლება ჩვენ ასე არ უნდა გვექცეოდეს. შესაძლოა მთავრობას აქვს რაიმე პრობლემები, მაგრამ იმისათვის არსებობს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, რომ ასეთი შემთხვევების თოაბაზე მოსახლეობას აცნობონ... ორი კვირის წინ შეგვხვდა ბატონი დავით მუმლაძე. მან გვითხრა, რომ მასწავლებლების ხელფასები 26 იანვრისთვის დარიგდებოდა, სამწუხაროდ ასე არ მოხდა. ამიტომაც დავგეგმეთ გაფიცვა და მერიის წინ აქციასაც ჩავატარებთ. "ვარდების რევოლუციის" დროს ახლანდელმა ხელისუფლებამ მოსახლეობას თავიანთი ხმების დაცვა ასწავლა. ახლა კი ეს ხალხი თავიანთ უფლებებს დაიცავს,"** - განაცხადა მანანა ღურჭუმელიძემ. ორშაბათს ქუთაისში პედაგოგთა მასშტაბურ აქციას ელიან. იმასაც ვარაუდობენ, რომ ხელისუფლება მასწავლებლებთან დიალოგზე წავა და ორშაბათამდე შეთანხმებასაც მიაღწევს. თავის მხრივ მასწავლებლებიც მზად არიან კომპრომისისთვის. **"თუკი ხელისუფლება წერილობით დაგვპირდება, რომ ხელფასს არ მოგვიკლებს, გაფიცვას აღარ მოვაწყობთ,"** - აცხადებენ ისინი. დღეს კი მასწავლებელთა პრობლემების განხილვას ქუთაისის საკრებულოს სხდომაზე აპირებენ.

# „დედა ზოიას" ამბავი


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*"დედა ზოია" მაინც შენდება.*

ზაზა ფაჩუაშვილი

დედაქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები – მთავარი არქიტექტორი და არქმშენინსპექციის უფროსი გუშინ რიყეზე მდებარე რესტორან "დედა ზოიას" რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ფრიად უღონო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი სასოწარკვეთა გამოიწვია რესტორნის მესვეურთა თვითნებობამ, რაც ქალაქში მშენებლობის წარმოების კანონის, წესისა და რიგის უგულებელყოფით გამოიხატა. დედაქალაქის ისტორიულ უბანში რეკონსტრუქცია-გაფართოება შესაბამის სამსახურებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე დაიწყო.

არქმშენინსპექცია საქმეში მაშინვე ჩართულა და პროცესი, თითქოს, შეუჩერებია, მაგრამ გათენებამდე ერთი კედელი მაინც წამოუჭიმიათ.

ფხიზელ თვალს რა გამოლევსო, და მეორე დღეს მშენებლებს არქმშენინსპექციასთან ერთად მთავარი არქიტექტორიც დასცემია.

კანონის უგულებელმყოფელთა ერთსაათიანი მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ ქალაქის ხელისუფლების გაოგნებული წარმომადგენლები საინფორმაციო საშუალებებს დაუკავშირდნენ, - უკანონო მშენებლობას თავზე დავადექით და თავისას მაინც არ იშლიანო.

როდესაც ადგილზე მივედით, მშენებლობა შეჩერებული იყო; მუშები ჯიბეებში ხელებჩაწყობილები დადიოდნენ, ტროტუარზე კი რესტორნის გულშემატკივარი ხალხი იდგა.

გავიგეთ, აქ მთავარი არქიტექტორი ყოფილა, რაში იყო საქმე? – ვკითხეთ "დედა ზოიას" წარმომადგენლებს

**"არფერი ძამა, ჩვენთან კი არ ყოფილან, აგერ იყვენ, ა. ვიღაცას, თურმე, მოედანზე რეკლამის დადგმა უნდებიენ და არ დაადგმევიენ. წევიდენ ახლა ყველა,"** - გვითხრა ერთმა ენამოსწრებულმა და რიყის ცენტრში მდებარე მრგვალი გაზონისკენ მიგვითითა.

სიმართლე რომ ეთქვათ იმ დალოცვილებს, შევიდოდა კაცი მათ მდგომარეობაში და იფიქრებდა, - რა ქნას ამ ხალხმა, წარმოების გაფართოება თუ უნდებიენო, - მაგრამ... ეს ვინ გათქმევინა?

ახლა არქმშენინსპექციის უფროსი სოსო ვაშაკიძე ამბობს, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და რიყეზე უკანონო მშენებლობას არ დაუშვებს.

# გარე მოვაჭრეთა ბედი გადაწყდა

*ორდღიანი აქციის მიუხედავად, გარე მოვაჭრეებმა საკრებულო ვერ დაიყოლიეს. ქალაქის ხელმძღვანელობამ მათი ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა და სპეციალური კომისიაც შექმნა. "გარე ვაჭრობა ეტაპობრივად, მაგრამ სწრაფად და აუცილებლად მოისპობა, უკან არავითარ შემთხვევაში არ დავიხევთ და არც გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს მივცემთ უფლებას, რომ საქმე გააფუჭონ," – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ გუშინდელ კოლეგიაზე.*

ნანა ქადაგიშვილი

მერიის შენობის ცენტრალური შესასვლელი გარე მოვაჭრეებმა დილიდანვე დაიკავეს და საკრებულოს თავმჯდომარესთან - ზაზა ბეგაშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ. **"გუშინაც მთელი დღე ვიდექით და გარეთ ცხვირი არავის გამოუყვია. ერთი წელი მაინც გვაცალონ, სანამ ფაბრიკა-ქარხნები ამოქმედდება და სამუშაო ადგილები გაჩნდება. ჩემს ადგილში 12 ათასი ლარი მაქვს გადახდილი; სანამ ჩვენგან ფულებს ხაპავდნენ, კარგად ვჭირდებოდით - დღეში 7 ლარს გვახდევინებდნენ; ბაზარში არ შევალთ, ყველაზე ვიწრო და მიუდგომელი დახლები შემოგვთავაზეს. თანაც, ბაზრის მუდმივ მოვაჭრეებს ჩვენ კონკურენციას ვერ გავუწევთ,"** – აყალ-მაყალმა და რეპლიკებმა განსაკუთრებით ზაზა ბეგაშვილის მოადგილის ზურაბ ჭავჭანიძის გამოჩენის შემდეგ იმატა. მოვაჭრეებმა მას საკრებულოს თავმჯდომარისთვის განკუთვნილი განცხადება გადასცეს. თუმცა, კოლეგიაზე, სადაც მოვაჭრეთა საკითხი საგანგებოდ განიხილეს, მათი მოთხოვნები არ გაუთვალისწინებიათ. **"ჩვენ შევარდნაძის დამბლადაცემული ხელისუფლება არ ვართ, საითაც ქარი დაუბერავს, იქით წავიდეთ. ვთქვით, - გარე ვაჭრობა აიკრძალებაო, - და შევასრულებთ კიდეც; ოღონდ, ისე, რომ არც მომხმარებლის ინტერესები დაირღვევა და არც მოვაჭრის. უკვე შემუშავებულია გარე მოვაჭრეების აღრიცხვის ფორმა, სადაც მოვაჭრის ვინაობასა და მისი პროდუქციის რაგვარობასთან ერთად მისთვის შეთავაზებული წინადადებებიც იქნება მითითებული. მოვაჭრეს ერთ კი არა, 2-3 ადგილს შევთავაზებთ და რომელიც მოეწონება, ის აირჩიოს. ხოლო თუკი რომელიმე ბაზრის დირექტორი 3 თვის განმავლობაში მათ გადასახადს მაინც მოსთხოვს, დირექტორს პასუხს ვაგებინებთ,"** – განაცხადა ბეგაშვილმა.

აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად საკრებულომ შექმნა სპეციალური კომისია, სადაც ყოველი ფრაქციიდან თითო წევრი შევიდა. კომისიას გარე მოვაჭრეების აღრიცხვისა და მათი და ბაზრის დირექტორების ურთიერთობის კონტროლი ევალება. **"კომისიაში მოვაჭრეთა გარკვეული ჯგუფიც ითანამშრომლებს, რათა მათ უნდობლობის საფუძველი მოვუსპოთ,"** – აცხადებს "დემოკრატი" დავით ხუციშვილი.

საკრებულოს წევრებს უყურადღებოდ არც "ლეიბორისტების" გუშინდელი საქციელი დაუტოვებიათ და სოციალურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი, ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი კოლექტიურად გაკიცხეს. **"გუშინ სოსო შატბერაშვილი გარე მოვაჭრეებს ვაჭრობის ვადის 2 წლით გაგრძელებას შეჰპირდა. შემდეგ კი მერიისკენ გამოუძღვა. არ დავუშვებთ, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ეს ხალხი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ და ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრონ. ვინც უნდა იყოს, მისი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთ,"** – "ნაციონალი" ვახო გოძიაშვილის ეს წინადადება მისმა თანაფრაქციელებმა - ჟანრი კალანდაძემ, კობა ბექაურმა და "დემოკრატმა" დათო ხუციშვილმაც აიტაცეს. გაკიცხულმა შატბერაშვილმა გარე ვაჭრობა მაშინვე დაგმო.

ამასობაში გარე მოვაჭრეებმა მერიიდან კანცელარიის შენობისკენ გადაინაცვლეს და ბედი ახლა იქ სცადეს, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა - საკრებულო საკუთარ გადაწყვეტილებაზე მტკიცედ დგას.

# კორუმპირებული მოხელეები დაუსწრებლად გასამართლდებიან და მოპარული ქონება ჩამოერთმევათ

### შესაძლოა, „გარიგებითი მართლმსაჯულების" მეთოდი აკაკი ჩხაიძის მიმართ გამოიყენონ

*უშიშროების საბჭოს ახალმა მდივანმა, გენერალურმა პროკურორმა და იუსტიციის მინისტრმა გუშინ ახალი საკანონმდებლო პაკეტის - "ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შესახებ" კანონპროექტის პრეზენტაცია გამართეს და პარლამენტს, სადაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოწონებული კანონპროექტი განსახილველად ორი დღის წინ შევიდა, მისი დაჩქარებული წესით მიღება სთხოვეს.*

ინგა ალავიძე

კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებები შევა სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ასევე საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში, სამოქალაქო კანონმდებლობაში, საგადასახადო კანონში, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, ზოგადადმინისტრაციულ კოდექსსა და პროკურატურის შესახებ კანონში.

კანონპროექტი კორუმპირებული მოხელის დაუსწრებლად გასამართლებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ავადმყოფობის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით თავს არიდებს გამოძიებას. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორს სათანადო მტკიცებულება მოეპოვება, რომ თანამდებობის პირმა სახელმწიფო ქონება მიითვისა, პროკურორი ვალდებულია, სამოქალაქო სარჩელი აღძრას და ქონების კონფისკაცია მოითხოვოს.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგაც (იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი ლმობიერია) გენერალურ პროკურორს მისი დამძიმების მოთხოვნის უფლება ეძლევა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც სასამართლო მიიღებს. დღეს მოქმედი კანონით, მოსამართლეს არ აქვს უფლება, განსასჯელს დაუნიშნოს იმაზე მძიმე სასჯელი, როგორსაც პროკურორი მოითხოვს. ახალი მექანიზმით კი განაჩენის სიმკაცრე მხოლოდ ერთ პროკურორზე არ იქნება დამოკიდებული.

ამავე პროექტის მიხედვით, იმუნიტეტი მოეხსნებათ პროკურატურის კოლეგიის წევრებსა და გამომძიებლებს, რითაც გაადვილდება მათი პასუხისგებაში მიცემა.

იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის თქმით, შესაძლებელი გახდება პროკურატურამ თანამდებობის პირების მიმართ აღძრას სამოქალაქო სარჩელი, დაიწყოს უკანონოდ მითვისებული ქონების ჩამორთმევა და მისი სახელმწიფო ხაზინაში დაბრუნება.

სამართალწარმოებაში ახალი ინსტიტუტი - გარიგებითი მართლმსაჯულების სისტემა შემოდის და ის პროკურატურას ბრალდებულთან ან ეჭვმიტანილთან გარიგების წარმოების უფლებას აძლევს. პროკურორს უფლება ექნება, რომ გაურიგდეს ბრალდებულს სასჯელის შემსუბუქების ან პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების თაობაზე, თუ იგი კორუმპირებულ ჩინოვნიკებს დაასახელებს ან მათ შესახებ გამოძიებას მნიშვნელოვან ფაქტებს მოაწოდებს. გენერალური პროკურორი ირაკლი



ბესო გულაშვილის ფოტო

ახალ პროკურორს გარიგების ინსტიტუტის შემოღება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნია.

ოქრუაშვილი დასავლური სტანდარტების გარიგების ინსტიტუტის შემოღებას ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევს და აცხადებს, რომ **"კორუფციის ბრალდებით ბოლო დროს დაკავებული მაღალჩინოსნები ძალიან მალე ნებაყოფლობით დაუბრუნებენ სახელმწიფოს ნაძარცვ ქონებას".** გენერალური პროკურორი არ გამორიცხავს, რომ „საქართველოს რკინიგზის" ექსშეფის აკაკი ჩხაიძის მიმართ პროკურატურა „გარიგებითი მართლმსაჯულების" მეთოდს გამოიყენებს. **„თუ აკაკი ჩხაიძე დაგვთანხმდება, ჩვენ მზად ვართ, მის მიმართ ეს ხერხი გამოვიყენოთ",** - აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი.

გენერალური პროკურორის ინფორმაციით, პროკურატურა უბრუნდება "გაურკვეველი მიზეზებით" შეჩერებულ საქმეებს, საუბარია, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრების - თემურ გიორგაძისა და დავით ზუბიტაშვილის, ასევე კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ფრიდონ ინჯიას მიმართ აღძრულ საქმეებზე. **"ყველა ეს საქმე განახლდება და პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მარტო მინისტრებს, არამედ მათ ხელქვეითებსაც,"** – განაცხადა გენერალურმა პროკურორმა.

ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, ფრიდონ ინჯია გენერალურ პროკურატურაში დღეს საკუთარი ნებით გამოცხადდეს და გამოძიებას ჩვენება მისცეს. ამის შესახებ კავშირგაბმულობის ყოფილმა მინისტრმა გენერალურ პროკურორს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, რომელშიც განაცხადა, რომ მზად არის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის გარეშე გენერალურ პროკურატურას ჩვენებები ნებისმიერ საკითხზე მისცეს.

# საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ძველი ცოდვები გაუხსენეს

პირველი გვერდიდან

მისი განცხადებით, ჩახნაშვილის მიმართ საქმე გასულ წლებშია აღძრული, როდესაც იგი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელი იყო. ეს კი ის პერიოდია, როცა საგადასახადო და შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე საპარლამენტო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი მუშაობდა.

**"წარმოდგენა არა მაქვს, პროკურატურა ჩახნაშვილს რას ედავება. იმედი მაქვს, გენერალური პროკურორი ამის თაობაზე ახსნა-განმარტებას გააკეთებს",** - განაცხადა ყოფილმა მინისტრმა მაჭავარიანმა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ჩახნაშვილი ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე დააკავა. ჩვენი ინფორმაციით, მსხვილგადამხდელთა ინსპექცია კარგად ჩამოყალიბებული კორუფციული სქემით მოქმედებდა. საქმე ისაა, რომ მსხვილგადამხდელთა ინსპექციის თავკაცები საპენსიო ფონდს ყალბ შეტყობინებას უგზავნიდნენ, რომლის საფუძველზეც, საპენსიო ფონდს საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ვითომდა, არასწორად, ზედმეტად ჩარიცხული სოცანარიცხების უკან დაბრუნებას სთხოვდნენ. ამ ყალბი წერილებითა და თაღლითური ოპერაციებით, ეროვნულ ბანკში ფიქტიურად შექმნილ ანგარიშებზე და დღგ-ს ყალბი აქტივების საფუძველზე, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ საპენსიო ფონდს სოლიდური თანხები ჩამოაწერა. ანტიკორუფციული საბჭოს მიერ ჩატარებული მოკვლევა ადასტურებს, რომ ამგვარი ყალბი ოპერაციებით ბიუჯეტმა პენსიონერთა კუთვნილი 5 მილიონი ლარი დაკარგა.

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ ასეთი ფინანსური აფიორა 2001 წლის 21 იანვარს გააკეთა და საპენსიო ფონდს, თითქოსდა თბილისის აეროპორტის დავალიანება - 165 ათასი ლარი უკან დააბრუნებინა - წაართვა.

2002 წლის 22 იანვარს ასე დააბრუნებინა საპენსიო ფონდს "საქაერონავიგაციის" მიერ "შეცდომით, ზედმეტად გადარიცხული" დავალიანება - 150 ათასი ლარი. სხვათა შორის, ანტიკორუფციულმა საბჭომ ყველა ის საბიუჯეტო ორგანიზაცია შეამოწმა, რომლებიც მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელთა წერილებში იყვნენ დასახელებულნი და აღმოჩნდა, რომ საპენსიო ფონდიდან უკან გამოთხოვილი თანხები არც ერთ მათგანს არ ჩაბარებია. არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველთა რისხვა ეროვნული ბანკის იმ თანამშრომლებსაც დაატყდებათ, რომლებიც ამ ყალბ ოპერაციებში იყვნენ ჩართულნი. სხვათა შორის, საპენსიო ფონდისთვის გაგზავნილ წერილებს ხელს აწერს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მოადგილე ჩხარტიშვილი, რომელიც ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, "გაერთიანებული ქართული ბანკის" თანათავმჯდომარის, მეანაბრეთა თანხების მითვისებაში დადანაშაულებული ვანო ჩხარტიშვილის ძმაა. შ. ჩხარტიშვილის მიერ ხელმოწერილი წერილების საფუძველზე საპენსიო ფონდს მილიონ 150 ათასი ლარი წაართვეს.

საპენსიო ფონდის საქმე ანუ პენსიონერთა კუთვნილი თანხების მითვისების თაობაზე მოკვლეული დოკუმენტები ანტიკორუფციულმა საბჭომ გენერალურ პროკურატურას კარგა ხნის წინ გადასცა, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მაშინ ეს მასალები ყოფილი გენერალური პროკურორის ერთ-ერთი მოადგილის მფარველობით დაიბლოკა და საქმე დროებით ჩაიფარცხა.

ერთი სიტყვით, წლების წინ აღძრული და დაარქივებული საქმის გამოძიება რამდენიმე დღის წინ განახლდა და 26 იანვარს ჩახნაშვილის ეპიზოდზე სისხლის სამართლის ახალი საქმეც აღიძრა. მსხვილ გადამხდელთა ყოფილ ხელმძღვანელს გამოძიება ამ ეტაპზე 500 ათას ლარს ედავება. **"ამ საქმეში მარტო ჩახნაშვილი არ არის ბრალდებული. ეს არის ერთიანი ჯაჭვი, სადაც ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული. ჩვენ კი არავის დანდობას არ ვაპირებთ, უახლოეს მომავალში მათ მიმართაც შესაბამისი ზომები იქნება გატარებული,"** – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

გუშინ დაკავებულ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც პროკურატურაში მიყვანისას მოწმის სტატუსიც არ ჰქონდა, გამოძიება თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედავება. რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ვახტანგ ჩახნაშვილი ეჭვმიტანილად სცნეს და წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

**"ჩახნაშვილი ეჭვმიტანილია სოციალური ფონდიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების გადაქაჩვაში. მან, ფიქტიური წერილების გამოყენებით, ბიუჯეტი შესრულებულად აჩვენა",** - განაცხადა ჩვენთან საუბარში გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ ზაზა ქაჩიბაიამ.

**"ჩახნაშვილი ამ ეტაპზე დუმილის უფლებით სარგებლობს. უახლოეს მომავალში საქმის გაცნობის საშუალება გვექნება და ამის შემდეგ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გამოძიებას ჩვენებასაც მისცემს. იგი არ ეთანხმება პროკურატურის ბრალდებას და დარწმუნებულია, რომ მალე საკუთარი სიმართლის დამტკიცებას შეძლებს",** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ვახტანგ ჩახნაშვილის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა, რომელიც ამ ეტაპზე გამოძიების მხრიდან დაშვებულ რამე უკანონობაზე არ საუბრობს.

თუმცა, ვიდრე ჩახნაშვილი საკუთარი სიმართლის დამტკიცებას შეძლებს, მანამდე გამოძიება მისთვის ბრალის წარდგენას და სასამართლოში სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნას აპირებს. ამ სამართლებრივ პროცედურებს გენერალური პროკურატურა დღეს ჩაატარებს.

# საგზაო პოლიციელებს მოულოდნელი გამოცდა ჩაუტარეს

*ჩემი რა გითხრათ, საჭესთან სიცოცხლეში არ ვმჯდარვარ და, შესაბამისად, საგზაო პოლიციაზე ჩემი რეაქცია, ძირითადად, მძღოლის გვერდით ჯდომისას ყურებზე ხელის აფარებით გამოიხატება – ინსპექტორების მისამართით ნასროლი "ფრთიანი" გამონათქვამები რომ არ მოვისმინო. ამდენად, მე არა, მაგრამ ჩვენმა ფოტორეპორტიორმა კი ძალიან ისიამოვნა, საგზაო წესების ირგვლივ გუშინ ჩატარებული გამოცდისას ბილეთებში თავჩარგულ, აწითლებულ "გაიშნიკებს" რომ უყურებდა – ნახონ ერთი, როგორია, მოსახვევში რომ ჩასაფრდებიან ხოლმეო.*

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში საგზაო პოლიციის მე-2 და მე-6 განყოფილებების ოცეულებს, გარკვეული გაგებით, მართლაც ჩაუსაფრდნენ. ეგ კი არა, იქ მისული ჟურნალისტები მთელი ნახევარი საათი ისე ველოდით "რაღაც" ღონისძიების დაწყებას, არავინ გვიმხელდა, რატომ გვთხოვეს მისვლა. ბოლოს კი საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს სააქტო დარბაზში შემოსულ ორმოც ინსპექტორს საგზაო პოლიციის უფროსი შალვა ობგაიძე შემოჰყვა და გასაიდუმლოებული სიურპრიზიც გაგვანდო; თუმცა ეს სიურპრიზი (თანაც, საკმაოდ არასასიამოვნო) თავად საგზაო პოლიციელთათვის უფრო მოულოდნელი გახლდათ.

**"საგზაო პოლიციის მიმართ ბოლო ხანებში გამოთქმული საქებარი სიტყვების მიუხედავად, მაინც მოგვდის ინფორმაცია დედაქალაქსა და ცალკეულ ტრასებზე კონკრეტული პოლიციელების ქმედების, რბილად რომ ვთქვათ, იმ სტანდარტებთან შეუსაბამობის შესახებ, რაც მათ პირდაპირ ვალდებულებებში შედის. ამიტომ გადავწყვიტეთ, ერთგვარი პასუხი გავცეთ საზოგადოების მიერ დასმულ შეკითხვას იმის თაობაზე, როგორ აკმაყოფილებს საგზაო პოლიციელების ცოდნა იმ მინიმალურ პაკეტს, რაც მათ კანონით მოეთხოვებათ. მხედველობაში მაქვს საგზაო პოლიციის შესახებ კანონისა და საგზაო მოძრაობის წესების ცოდნა. დამეთანხმებით, ადამიანი, რომელიც ზედამხედველობას უწევს და აკონტროლებს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ზედმიწევნით, ერთი თანრიგით უკეთ უნდა ფლობდეს საგზაო მოძრაობის წესებს, ვიდრე მოძრაობის მონაწილე პირი – მძღოლი თუ ფეხით მოსიარულე"**, – შალვა ობგაიძის



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გამოცდა-სიურპრიზი საგზაო პოლიციის ოფიცრებს.

ამ სიტყვების შემდეგ 45 საგზაო პოლიციელს ის საგამოცდო ბილეთები დაურიგეს, რომლებზეც პასუხის გაცემის გამოცდილება ყველა იმ ადამიანს აქვს, ვისაც კი ოდესმე მართვის მოწმობის აღება უცდია.

გამოცდა ორ ტურად ჩატარდა. გამოსაცდელ ინსპექტორებს 10 საკითხიდან 9-ზე სწორი პასუხი უნდა გაეცათ, რაც, საბოლოო ჯამში, 45-დან 37-მა შეძლო. რვა ჩაჭრილიდან სამნი გუშინვე გათავისუფლდნენ სამსახურებიდან – მათ პასუხი არც ერთ საკითხზე არ აღმოაჩნდათ. დანარჩენ ხუთს კი, რომლებმაც სულ ორ შეკითხვას ვერ გასცეს სწორი პასუხი, გარკვეული დროის შემდეგ კიდევ შეამოწმებენ.

შალვა ობგაიძის თქმით, ასეთი მოულოდნელი გამოცდები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და მას ყველა საგზაო პოლიციელი გაივლის. რაც შეეხება ახალი თანამშრომლების მიღებას, საგზაო პოლიციის შეფის დაპირებით, ეს საკითხი აღარ გადაწყდება კაბინეტებში და ვისიმე პროტექციით. გარდა ამისა, შალვა ობგაიძეს იმედი აქვს, რომ საგზაო პოლიციელთა ხელფასი, რომელიც ამჟამად 70-დან 150 ლარამდე მერყეობს, უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუმცა მანამდე იგი არ დაუშვებს დაბალი ხელფასების არგუმენტით კორუფციის ფაქტების გამართლებას.

# მექრთამეობაში ბრალდებულ მაიორს 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება

სამართალდამცველთა მიერ დაწყებული ანტიკორუფციული შეტევა, რომელიც ლამის სანახაობად იქცა, კვლავ გრძელდება.

შსს-ს გაძლიერებული სპეცრაზმის მიერ ფულის გამოძალვის მცდელობის ფაქტზე დაკავებული შინაგანი ჯარების პირველი ოპერატიული ბრიგადის მეთაურის მოადგილე, მაიორი აბესალომ უთმელიძე ახლა მთავარი სამხედრო პროკურატურის გადაწყვეტილების საფუძველზე ჰაუპტვახტში იმყოფება და დღეს ისანი-სამგორის სასამართლო მისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებაზე იმსჯელებს. უფრო ზუსტად, პროცესი, რომელიც გუშინ უნდა ჩატარებულიყო, მაიორ უთმელიძის ადვოკატის თეო კობიაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ დღეისთვის გადადო.

საქმე ისაა, რომ ქრთამის აღებასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული მაიორის ადვოკატს გამოძიებამ დაცვის განხორციელება ფაქტობრივად შეუზღუდა და მხოლოდ თეო კობიაშვილის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გახდა შესაძლებელი ადვოკატისა და ბრალდებულის შეხვედრა, ადვოკატისთვის საქმის მასალების გაცნობა.

**"სამწუხაროდ, ბარიერები შემიქმნეს, უთმელიძეს არ მახვედრებდნენ. სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი მეუბნებოდა, ჰაუპტვახტში ბრალდებულთან შეხვედრა არ შეიძლება, დახურული სტრუქტურაა და ამიტომაც ვერ შეგიშვებო. ეს არგუმენტი სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ უთმელიძე მაიორია, ამ შემთხვევაშიც საერთო კანონმდებლობა მოქმედებს, ამიტომაც ჩემი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ჩვენი შეხვედრა შედგა. გარდა ამისა, მასალების გაცნობის საშუალებაც დაგვიანებით მომცეს და თანაც აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოში შეტანის თაობაზე ინფორმაცია 20 წუთით ადრე მომაწოდეს. აქედან გამომდინარე, მოსამართლეს მივმართე შუამდგომლობით, რომ პროცესი გადადებულიყო.**

**მასალებს გავეცანი და თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ საქმეში, ფაქტობრივად, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ერთადერთი მოწმის ჩვენებას. ის, რომ ბრალი არ არის დასაბუთებული მტკიცებულებებით, მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ გამოძიებამ უთმელიძეს ბრალდება ხელოვნურად დაუმძიმა,"** – აცხადებს ადვოკატი თეო კობიაშვილი, რომელიც ისანი-სამგორის სასამართლოს დღეს კიდევ ერთი შუამდგომლობით მიმართავს და აბესალომ უთმელიძის გათავისუფლებას მოითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მოთხოვნას ისანი-სამგორის სასამართლო არ დააკმაყოფილებს, თეო კობიაშვილი სარჩელს საოლქო სასამართლოში შეიტანს და ისანი-სამგორის სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

გუშინწინ შინაგანი ჯარის ბრიგადის უფროსის მოადგილე, მაიორი უთმელიძე საკუთარ ბრიგადაში საკმაოდ ხმაურიანად - გია გულუას სახელობის სპეცრაზმის მონაწილეობითა და ჟურნალისტების თანდასწრებით დააკავეს. იგი სამხედრო ნაწილიდან კერძო და იურიდიული პირებისთვის ელექტროსადენების უკანონო გაყვანაში დაადანაშაულეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, უთმელიძე უკანონოდ გაყვანილი სადენების საფასურად სამას ლარს იღებდა. იმ შემთხვევაში თუ უთმელიძისთვის წაყენებული ბრალდება დადასტურდება, ქრთამის აღებასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ მაიორს ექვსიდან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა გასული წლის 10 სექტემბერს რუსთავის მეორე კოლონიიდან გაქცეული კიდევ ერთი პატიმარი - 37 წლის კახა კერვალიშვილი დააკავეს. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, კერვალიშვილი 2000 წლის 6 აპრილს იყო გასამართლებული და მას მკვლელობის მცდელობის, ადამიანის გატაცებისა და იარაღის უკანონო შენახვისათვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. რუსთავის მეორე კოლონიიდან გაქცეული 129 პატიმრიდან ამჟამად უკვე 99-ია დაკავებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ყაჩაღური ჯგუფის ოთხი წევრი დააკავეს; მათ შორის - 42 წლის გურამ გოგიაშვილი, რომელსაც „ნაგანის" სისტემის პისტოლეტი აღმოაჩნდა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, 40 წლის პაატა ნადარეიშვილი, ნასამართლევი 27 წლის ირაკლი ნადირაშვილი (მეტსახელად, "გლახო") და მისი ძმა, 29 წლის დავით ნადირაშვილი.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, დაკავებულებმა 25 იანვარს მოქალაქე პანკრატიანს "მერსედესის" მარკის მიკროავტობუსი იარაღის მუქარით წაართვეს, ხოლო შემდეგ დაუკავშირდნენ და ავტომანქანის დასაბრუნებლად 6 ათასი ამერიკული დოლარი მოსთხოვეს. პოლიციელებმა დაკავებულებს მათი კუთვნილი ავტომანქანა "ფოლკსვაგენი" ჩამოართვეს. მათვე აღმოაჩნდათ პანკრატიანის ავტომანქანის გასაღებიც, რომელიც ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისის შს მთავარი სამმართველოს საგზაო პოლიციის უფროსი ინსპექტორი, თბილისში მცხოვრები, 34 წლის ივანე ყვავიაშვილი და რუსთავში მცხოვრები, რუსთავის შს სამმართველოს საგუშაგო-საპატრულო სამსახურის თანამშრომელი, პოლიციის რიგითი, 27 წლის დავით ბაქრაძე. შსს მთავარი სამმართველოს ცნობით, აღნიშნული პირები ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. **მედია-ნიუსი**




# აქედან წიგნის დაწვამდე ერთი ნაბიჯია

## ცენზურა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ანუ საბაყოდან განათლების სისტემამდე

*თურმე ამასწინათ ჯ.კ. როულინგს ჰოგვორტსის ტყეში მთელი მსოფლიოდან "ჰარი პოტერის" მთარგმნელები შეუკრებია. წერილები ბუებს დაურიგებიათ. მათში, თურმე, ეწერა - მთვარის დაბნელებისას უახლოეს ტყის პირას გადით, ციდან "ნიმბუს 2004" ჩამოვარდება, ზედ მოაჯექით და სულ ჩრდილოეთისაკენ იფრინეთო. მთარგმნელებიც ასე მოქცეულან. უამრავი ადამიანი შეკრებილა. როულინგს მათთვის 346 ოკულისტური ტერმინის თარგმნის შესახებ ინსტრუქტაჟი ჩაუტარებია, შემდეგ კი სტუმრებს ბერტი-ბოტის კამფეტებითა და ასფოდელოსის ჩაით გამასპინძლებია. როგორც "დილის მისანი" გვატყობინებს, ამ გასაიდუმლოებული აქციის მიზანი მსოფლიო ბავშვების საერთაშორისო მასონურ ორგანიზაციაში ჩართვა ყოფილა.*







ნინო ცინცაძე

ახლა ერთი ქართული ხალხური ზღაპარი მინდა გიამბოთ: მიდის უფლისწული გზაზე და ქალი შემოხვდება, სახელად ანანა. მოეწონება. ჰკითხავს, შენ ვინა ხარო. ქალი პასუხობს: დედა კამაა ჩემი, მამა ოხრახუში, წელზე კი პრასის სარტყელი მარტყიაო. არ მოეწონება უფლისწულს ქალის წარმომავლობა და განაგრძობს გზას. გავა ხანი და უფლისწული ცოლს შეირთავს. ერთ დღესაც მისი ცოლი ბანზე დაჯდება ძაფის დასართავად. მოპირდაპირე სახლის ბანზე ანანა შემოჯდება და ისიც ძაფის რთვას იწყებს. უცებ დედოფალს ბანიდან თითის ტარი ჩაუვარდება. თითისტარს ანანაც ჩააგდებს, მერე კი ცხვირს მოიჭრის და ეუბნება – ცხვირო, აბა ერთი, ჩადი, თითისტარი ამომიტანეო. ცხვირიც ასე მოიქცევა. მოეწონება უფლისწულის ცოლს ეს ამბავი, მოიჭრის ცხვირს თავადაც და სისხლისგან დაიცლება. გავა ხანი. ისევ შეხვდება უფლისწულს ანანა, ისევ იგივეს ეტყვიან ერთმანეთს. უფლისწული ახლა მეორე ცოლს შეირთავს. ანანა ციურ ფურებს უხმობს, უფლისწულის ცოლის თვალწინ მათ რძეს აადუღებს და იბანავებს. ამოვა იქიდან ათჯერ უფრო გალამაზებული. მოეწონება ეს ამბავი უფლისწულის ცოლს. მოწველის ჩვეულებრივ ძროხებს, აადუღებს რძეს, შიგ ჩახტება და მოიხარშება. გობის ზედაპირზე თმებიღა ამოტივტივდება. ძალიან დაღონდება უფლისწული. თავს სისხლში მოითხვრის და კამისა და ოხრახუშის კვალში ჩაწვება. გამოივლის ანანა და ხედავს, მკვდარია მისი უფლისწული. თავზარდაცემული თავის მშობლებს, მზესა და მთვარეს და თავის დაძმებს, ვარსკვლავებს უხმობს – ჩამოდით, ნახეთ, საყვარელი მომიკვდაო. წამოდგება მაშინ უფლისწული: ანანა, ასეთი წარმომავლობის თუ იყავი, დროზე ვერ მითხარიო? შეირთავს ცოლად და ცხოვრობენ დიდხანს და ბედნიერად.

არა, როგორია, ჰა? ეს კიდევ არაფერი, მსგავსი, და უფრო ძვირფასი, მარგალიტებით (მაგალითად დევებთან საყვარლობისთვის შვილების მოხარშვა და ა.შ.) სავსეა ქართული და მსოფლიო ხალხური ზღაპარი. მაგრამ, იგი არასდროს არავის აუკრძალავს. და კარგიც უქნიათ. ტყუილია, რომ ყველა ზღაპარი აუცილებლად კეთილის ბოროტზე გამარჯვებით მთავრდება. ამგვარი პარადიგმატული სახე ზღაპართა ერთმა დიდმა ნაწილმა უფრო მოგვიანებით მიიღო. თანამედროვეობაში ეს ზღაპრები ახალ ლიტერატურულ ჟანრად გადაიქცა და მას Fantasy ჰქვია (ფანტასტიკაში არ უნდა აგვერიოს).

"Fantasy"-ის წყარო ძალიან მდიდარი ევროპული ფოლკლორია თავისი ჯადოქრებით, ელფებით, ჯუჯებით, ტროლებით, გობლინებით, აჩრდილებითა და პოლტერგეისტებით. ამ ჟანრის მუშაობის პრინციპი მარტივია - ძველი გადმოცემებიდან იღებ ამბებს და სახეებს, შემდეგ კი მათ თავიდან ათამაშებ. მართალია, არ არის აუცილებელი, ყველა გმირი თავისი პროტოტიპის ზუსტი ასლი იყოს - მაგალითად, შეიძლება რომელიმე დევი უცებ კეთილ, გულჩვილ არსებად იქცეს - თუმცა, აუცილებელია, ნებისმიერი ამბავი კეთილისა და ბოროტის მარადიულ ბრძოლას ეხებოდეს და წიგნი საბოლოოდ კეთილის გამარჯვებით მთავრდებოდეს. მოკლედ, კაცმა რომ თქვას, ეს ჟანრი ბევრად უფრო ჰუმანური მოვლენაა, ვიდრე ძველი ხალხური ზღაპარი. ამ ჟანრის ნაწილია "ჰარი პოტერიც."

მისი ასეთი პოპულარულობა, ჩემი აზრით, ხუთი ელემენტის თანხვედრამ განაპირობა. ამ ჟანრში მომუშავე მწერლები, საერთოდ, ჯადოსნური გარემოს დახატვასა და ქმედებათა განვითარებას (action) უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე მოქმედ გმირთა სახეებს. ბევრს ასეთ წიგნში მთავარი მოქმედი გმირის სახეც კი, შესაძლოა, ისეთივე განუვითარებელი დარჩეს, როგორც ეს თავის დროზე ზღაპარში ხდებოდა. როულინგის წიგნებში კი არაჩვეულებრივად მიგნებულ ჯადოსნურ გარემოში, ქმედებებიც ძალიან დაძაბულად და საინტერესოდ ვითარდება და ნებისმიერი გმირის სახეც ბოლომდე იშლება. ამას თუ დავუმატებთ იუმორს, ბუნებრივ ნიჭიერებას და, რაც მთავარია, იმ სითბოს, რომელიც მხოლოდ ქალის მიერ ბავშვებისათვის დაწერილ წიგნში შეიძლება აღმოაჩინო, "ჰარი პოტერის" პოპულარობა გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ მისი გამოსვლა დაემთხვა დროს, როდესაც წიგნების გამოცემის, თარგმნისა და გავრცელების სისწრაფემ თავის პიკს მიაღწია.

ისევე, როგორც ყველაფერს პოპულარულს, თავისი მოწინააღმდეგეები ამ ზღაპარსაც გამოუჩნდა, თანაც რელიგიურ ამბავში. ყველაზე მეტად ამერიკული რელიგიური დაჯგუფებები და მართლმადიდებლები აქტიურობენ. ევროპამ თავისი ინკვიზიტორული ჟინი, როგორც ჩანს, უკვე მოიკლა. განსაკუთრებული მონდომებით ამ საქმეს რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ეკიდება, მას ფეხდაფეხ მიჰყვება ქართულიც. "ჰარი პოტერის" მეორე წიგნი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული, რომ ქართულ ენაზე, ბორჯომ-ბაკურიანის მთავარეპისკოპოსის სერაფიმეს კურთხევით დაიბეჭდა რუსულიდან თარგმნილი ბროშურა, რომელიც ქართულ *სახელმწიფო* სკოლებში ორ-ორ ლარად გაიყიდა. თავი დავანებოთ იმას, რომ ბროშურა ყოველგვარი საავტორო უფლებების დარღვევითაა დაბეჭდილი, თავი დავანებოთ იმასაც, რომ განათლების სამინისტროს ბრძანებით, სკოლებში არანაირი ლიტერატურის გაყიდვა არ შეიძლება და დავსვათ კითხვა: რატომ უნდა ახვევდნენ ბავშვებს თავს რუსული, ფანატიკური იდეოლოგიით დატვირთულ მდარე ხარისხის ტექსტს, სადაც ტყუილების მეტი არაფერი წერია? მაგალითად, ამერიკაში ვიღაც გოგონას პოტერის გავლენით ჯადოქრობა მონდომებია, მაგიდაზე ასულა, იქიდან გადმომხტარა და საავადმყოფოში საშინელი დაზიანებებით მიუყვანიათ. ეტყობა, ამერიკაში, 1,8-იანი სიმაღლის მაგიდებია მოდაში. ბროშურაში ისიც წერია, რომ ჯადოქართა ერთ-ერთი მასწავლებლის სახელი ზლატოპუსტ ლოკინსია და რომ ეს წმ. იოანე ოქროპირზეა პაროდია. სხვათაშორის, ამ მასწავლებელს, ინგლისურ (ასევე ქართულ) ვერსიაში, გილდეროი ლოკჰარტი ჰქვია. იგი საოცრად მკვეხარა პერსონაჟია. ალბათ, ამის გამო, ვიღაც რუსმა მთარგმნელმა მას სახელად ზლატოპუსტი მოუგონა, ეკლესიამ კი როულინგს სასწრაფოდ იოანე ოქროპირის გაშარჟება დააბრალა. რატომ უნდა იყიდებოდეს სკოლებში რუსეთიდან შემოსული ეს პარანოიდული ნაბოდვარი? სკოლებში გაწეულმა პროპაგანდამ ერთი მხრივ ის გამოიწვია, რომ ბავშვები მშობლებისგან წიგნების დაწვას ითხოვენ, მოზრდილები კი წიგნების გამყიდველებთან მიდიან და ეუბნებიან, როგორ არ გრცხვენიათ, ამ სატანისტურ ლიტერატურას რომ ყიდითო. მეორე მხრივ კი, წიგნის პოპულარობა ერთი ორად იზრდება.

საეკლესიო ცენზურას, მართალია არაოფიციალურად, მაგრამ, ფესვები საკმაოდ ფართოდ აქვს გაშლილი. როდესაც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას სასკოლო თვალსაჩინოებათა გამოფენაზე "ჰარი პოტერის" წარდგენა სურდა, სამინისტროს წარმომადგენლებმა შინაურულად სთხოვეს, ამ წიგნს ნუ გამოიტანთ, ეკლესიასთან პრობლემები რომ არ შეგვექმნასო. ბაკურ სულაკაურს ცოტა ხნის წინ საბაყოდანაც დაურეკეს, აქ თქვენი წიგნები, "ბიბლიის ატლასი" შემოვიდა და მის გამოტარებაზე საპატრიარქოს ნებართვა თუ არსებობსო! ფილარმონიაში მიშა ანთაძის მიერ დადგმულ საახალწლო ზღაპრის წარმოდგენაზე, რომელშიც სხვა ზღაპრის გმირებთან ერთად ჰარი პოტერიც მონაწილეობდა, ვიღაც ადამიანები გამოჩნდნენ და ბავშვებს პოტერის საწინააღმდეგო ბროშურებს ურიგებდნენ. ვითომ, იელოველები არ გვაკლდნენ ბროშურების დამრიგებლებად!

ცნობილი ამბავია, რომ საერო წიგნებთან მიმართებაში ეკლესიის აზრი, რბილად რომ ვთქვათ, მთლად კომპეტენტური ვერ არის ხოლმე. იყო დრო, როდესაც არქიმანდრიტი ტიმოთე გაბაშვილი თავის "მიმოსვლანში" რუსთაველზე წერდა: "შოთა მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმაც ასწავა ქართველთა სიწმინდის წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა". იყო დრო, როდესაც ქართულ საზოგადოებაში ეკლესიიდან გამოსული 100 წიგნის სია დადიოდა, რომლის წაკითხვაც მართლმადიდებლის სულს საფრთხეს შეუქმნიდა, ამ სიაში მესამე ადგილი, მაგალითად, აკაკი ბაქრაძეს ეკავა. იყო დრო, როდესაც საქართველოში ახლად დაბეჭდილ პასტერნაკისა და ახმატოვას ტომებზე მოძღვრები მრევლს ურჩევდნენ, არ წაიკითხოთო. ზოგიერთი არქიმანდრიტი, ინტერნეტის საშუალებით, ახლაც აუწყებს თავის მრევლს, რომ გოეთე და ბაირონი ძვალ-რბილამდე გარყვნილი ადამიანები არიან. თუმცა, დღემდე წიგნის მიმართ ამგვარი ანტიპროპაგანდა საერო განათლების სისტემის მეშვეობით არასოდეს გავრცელებულა. რა შეიცვალა დღეს? უკვე მართლმადიდებლურ სახელმწიფოდ გამოვცხადდით და მე გამომრჩა?

P.S. რადგან ამ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ინტერესი ძალიან დიდია, უახლოეს დღეებში ჩვენს გაზეთში შემოგთავაზებთ დისკუსიას, რომელშიც სხვა საინტერესო ადამიანებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს საპატრიარქოს თანამშრომელი ნანა ბოკუჩავა, რომელმაც "საპატრიარქოს უწყებანში" ჰარი პოტერის თემას ექვსი სტატია მიუძღვნა სათაურით - ცოცხზე ამხედრებული ბიჭუნა ჰარი პოტერი ანუ ჰოპლა... ჯოჯოხეთში.



www.24hours.ge 24 B

მერიდიანი

# ჯემი ჯონსონი - საკუთარი კლასის მოღალატე

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ზოგიერთები თვლიან, რომ ჯემი ჯონსონის ღალატი იგივეა, რაც კემბრიჯის კურსდამთავრებულთა ცნობილი ღალატის ამბავი, რომლებიც საბჭოთა ჯაშუშები გახდნენ. ეს, ცხადია, მეტისმეტად ხმამაღალი ნათქვამია. ჯემი ჯაშუში არაა, და აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს. მიუხედავად ამისა, ის მაინც თავისი კლასის – ამერიკელ ოლიგარქთა უმაღლესი ფენის მოღალატეა.

ვინ არის ჯემი ჯონსონი და რაში მდგომარეობს მისი ღალატი? ჯემი ფარმაცევტული კონცერნის "ჯონსონ ენდ ჯონსონის" მემკვიდრეა. ღალატი მდგომარეობს დოკუმენტურ ფილმში "მდიდრად დაბადებული" (Born Rich), რომელშიც ის თავის და სხვა დიდი ქონების მემკვიდრეების შესახებ ჰყვება.

იმის შემდეგ, რაც ჯემიმ თავისი ფილმი გადაიღო, მისი კლასი მას უმალვე შემოსწყრა – თეთრ ყვავებს ვერ იტანენ. "მე აღარავინ მიგზავნის მოვარაყებულ მოსაწვევებს დებიუტანტი გოგონების მეჯლისებზე, რომლებსაც ხუთ-ხუთი სახელი აქვთ. თუმცა, ჩემი აზრით, ძალიან სასურველი საქმრო ვარ," – ამბობს ჯემი. "გასულ ზაფხულში, საუტჰემპტონში გამართულ წვეულებაზე, ბანკირი ბიჭები შემომეხვივნენ, ხვიარას ლიგიდან (ჰარვარდის, იელის და პრინსტონის უნივერსიტეტები – მ.ს.). მათ "იდიოტი" და "საკუთარი კლასის მოღალატე" მიძახეს. მთვრალები იყვნენ და არ მეშვებოდნენ. ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდება, როცა მათ წვეულებებზე ან ღამის ცხოვრების დროს ვხვდები".

ამჟამად ჯემი, რომელსაც ნებისმიერ სასახლეში ცხოვრების საშუალება აქვს, ნიუ იორკის ისტ ვილიჯში, ხმაურიან მეორე ავენიუზე, პირველ სართულზე მდებარე ერთ ოთახიან ბინაშია შეყუჟული. ზოგიერთები მას კემბრიჯელ საბჭოთა ჯაშუშს კი არა, მწერალ ტრუმენ კეპოტეს ადარებენ, რომელმაც ბოროტად ისარგებლა ნიუ იორკის 60-70 წლების მაღალი საზოგადოების ნდობით და მისი აღწერა გაბედა – ყველა ჭორს მოჰყვა, რომელსაც კი "ლა კოტ ბასკში", ძვირფას რესტორანში მოჰკრა ყური. ამას საშინელი სკანდალი მოჰყვა. მაგრამ ეს არაზუსტი შედარებაა. ჯერ ერთი, ჯემი ყურს არავის უგდებდა, ღიად მოქმედებდა. მეორე ისაა, რომ ის ჭორებზე ბევრად უფრო დელიკატურ თემას შეეხო - ფულს.

დოკუმენტურ ფილმს "მდიდრად დაბადებული" ჯემი ორი წლის განმავლობაში იღებდა. მის შესახებ მანამდეც ალაპარაკდნენ, სანამ გასული წლის იანვარში, სანდანსის კინოფესტივალზე მისი პრემიერა შედგებოდა. ფილმში გადმოცემულია ავტორის განცდები სრულწლოვანების მიღწევამდე (აშშ-ში ეს 21 წელია – მ.ს.), რის შემდეგაც ის "ჯონსონ ენდ ჯონსონის" უზარმაზარი ქონების მფლობელი გახდებოდა; მასში აღწერილია, თუ როგორ ცდილობდა ის "ოქროს ახალგაზრდობის" ხვედრის თავიდან აცილებას - იმ ახალგაზრდობისა, რომელიც დოლარებს უაზროდ ფლანგავს და ცხოვრებაში არავითარი მიზანი არ გააჩნია. ახალგაზრდა ავტორს ცუდი მაგალითები ჰქონდა თვალწინ: მამა, ჯეიმს ლორინგ ჯონსონი (ის ფილმშიც ნაჩვენებია), უიღბლო მხატვარი და განდეგილი, და ბაბუა – სიუორდ ჯონსონ-უმცროსი, მოქანდაკე, ასევე წარუმატებელი. ჯემის მამამაც და ბაბუამაც თავიანთი ხელოვნება მემკვიდრეობისთვის თავგანწირულ და ბინძურ ბრძოლას შესწირეს, რომელმაც მათი ოჯახური ცხოვრებაც წაახდინა.

ფილმში თხრობა თერთმეტი ინტერვიუს ფორმით ხდება – ჯემის მსგავს, უზრმაზარი ქონების მემკვიდრეებთან (კადრს მიღმა ტექსტს თავად ავტორი კითხულობს). ჯემის აინტერესებს, თუ როგორ ახერხებენ მისნაირი "უბედურები" "თავის დაღწევას სიმდიდრის წყევლისაგან, იმ ფულისგან, რომელსაც ნორმალური ადამიანები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერც გააკეთებენ და ვერც დახარჯავენ, და რომელიც მათ მფლობელებს ბედოვლათებად, "შოპინგჰოლიკებად" და სნობებად აქცევს".

ფილმის ავტორისთვის ყველა კარი ღია იყო. მისმა სახელმა და ქონებამ მილიარდერების მემკვიდრეები აალაპარაკა, მათ შორის ტრამპის, ნიუჰაუზის, ბლუმბერგის (ნიუ იორკის მერისა – მ.ს.), რომლებიც ხალხის გასაგონად თითქმის არასოდეს ლაპარაკობენ და მით უმეტეს, ფულის თემას არ ეხებიან. ჟურნალისტ ჯულია ჩაპლინის თქმით, ეს თემა "ამერიკულ ცხოვრებაში უკანასკნელ საიდუმლო ზონად რჩება". ჩაპლინი სავსებით მართალია. აქ სრულიად უცნობმა ადამიანმა შეიძლება გიამბოს, რომ ცოლი ღალატობს, მაგრამ თავის ხელფასსა და შემოსავალს ყველაზე ახლობელიც კი დაგიმალავს. თავად ჯემი ამბობს: "სიმდიდრის თაობაზე მდუმარების აღთქმა არსებობს, და მისი დარღვევა არ შეიძლება. მდიდარ ოჯახებს სწორედ ეს აღთქმა ადუღაბებს. მაგრამ ამავდროულად ის მათ დისფუნქციურად აქცევს. აი, რატომ ვუძღვენი ამ თემას ჩემი ფილმი".

თავად ჯემი, ისევე, როგორც მისი და-ძმა, ნიუ ჯერსიში, მდიდრულ მამულში იზრდებოდა, "ცხენებისა და მსახურების გარემოცვაში". მისი თქმით, იმის შესახებ, რომ მდიდარია, მან მხოლოდ ათი წლის ასაკში შეიტყო, როცა ერთმა სკოლის ამხანაგმა ჟურნალი "ფორბსი" აჩვენა, სადაც რუბრიკაში "400 ყველაზე მდიდარი ამერიკელი", მამამისის გვარიც იყო ნახსენები. "მე მასწავლეს, რომ ფულზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ეს ჩვენს წრეში უზრდელობად ითვლებოდა," აღნიშნავს ჯემი. ფილმში ჯემი თავის "წინაპრებს" არ ინდობს. ის ირონიით აჩვენებს, რამდენად არიან ისინი ცხოვრებას მოწყვეტილნი. ერთ-ერთ ეპიზოდში ის მამას ეკითხება, როგორ წარმართოს თავისი მომავალი. აშკარად დაბნეული მამა ისტორიული საბუთებისა და ქაღალდების კოლექციონირებას სთავაზობს. ჯემი თავს იკატუნებს, თითქოს მამის რჩევა ყურად იღო, და ძველი გეოგრაფიული რუკების შემგროვებელთან მიდის. ეს ეპიზოდი პირველის უტოპიზმს, მის არარეალობას უსვამს ხაზს.

დოკუმენტური ფილმის გადაღება ჯემიმ მაშინ გადაწყვიტა, როცა 20 წლისა იყო. იმხანად ის ნიუ იორკის უნივერსიტეტში შუა საუკუნეების ისტორიას სწავლობდა. "მდიდრად დაბადებულის" შექმნაზე მას ბიძასთან, დირკ ვიტენბორნთან საუბარმა უბიძგა - ის სცენარისტია და მწერალი. ჯემი თავის სურათს, ცოტა მიამიტურად, "ბედისწერის აცრას" უწოდებს, იმ ბედისწერის საწინააღმდეგოს, რომელიც მრავალ მდიდარ ადამიანს სდევს თან. "მრავალი, მათ შორის ოჯახური ისტორიებიც მსმენია იმის თაობაზე, რომ ჩვენი წრის ადამიანები ნარკომანები ხდებოდნენ და ნარკოტიკებზე ხარჯავდნენ მთელ ქონებას. რა უპასუხისმგებლო ცხოვრების წესია - მე ასე ვფიქრობდი," - ჰყვება ჯემი.

ფილმის შექმნა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამერიკის ქონებრივი ელიტის ორმოცდაათზე მეტმა ახალგაზრდა წარმომადგენელმა კინოკამერის წინ ჯემის კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა. მაგრამ თერთმეტი ადამიანი მაინც დასთანხმდა. ერთ-ერთი მათგანი, კემპბელების ცნობილი "სუპების იმპერიის" მემკვიდრე, ჯერ დასთანხმდა, მაგრამ მერე, როცა მშობლებმა შავი დღე დააწიეს, თავის სიტყვები უკან წაიღო. ფილმის სხვა მონაწილეები ძალიან ნანობენ, რომ ოჯახის ჭუჭყიანი თეთრეული საყოველთაოდ გამოამზეურეს. ერთ-ერთი ასეთი "მომნანიებელი" 22 წლის ლიუკ უელია, ლორნ უელის ვაჟი. მამა-უელი "სეინტიფიკ გეიმს კორპორეიშნის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა, რომელსაც "აუტოტოტი", კომპანია-ტოტალიზატორი ეკუთვნის. ფილმში ლიუკი ჰყვება, რომ სკოლის მეექვსე და მეშვიდე კლასებში ლსდ-ს აყოლებდა გულს, და "ნაადრევად" შეეჩვია ნარკოტიკებს. ის ტრაბახობს, რომ ბრაუნ კოლეჯში, სადაც სწავლობდა, ყველაფრის ნებას რთავდნენ, რადგან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასეთი უზარმაზარი ქონების მემკვიდრის გაგდებას ვერ ბედავდა. "სწავლის პირველი წლის განმავლობაში დაახლოებით რვა მეცადინეობას თუ დავესწარი," აღიარებს ახალგაზრდა. როცა ფილმი უკვე მზად იყო, უელმა ჯემის სასამართლოში უჩივლა და ფილმიდან თავის ინტერვიუს ამოღება მოითხოვა. ჯემიმ ფილმში ეს სასამართლო პროცესიც ჩართო, როგორც დასტური იმისა, რა ემართებათ მდიდარ ადამიანებს, როცა ფულის შესახებ გულახდილ საუბარს იწყებენ (გასული წლის შემოდგომაზე ნიუ იორკის შტატის უზენაესმა სასამართლომ საქმე ჯემის სასარგებლოდ გადაწყვიტა).

ჯონსონს კარლო ფონ ცეიტშელიც სასამართლოთი ემუქრებოდა. ეს გრძელთმიანი ახალგაზრდა გერმანიის უკანასკნელი იმპერატორის, ვილჰელმ II-ის შვილთაშვილია. ის ფილმში სიგარეტს აბოლებს და ჰყვება, როგორ აპირებს საქორწილო კონტრაქტების დადებით ქალების გაბითურებას. ჯემიმ აღიარა, რომ "ფილმზე მუშაობის წყალობით ჩემი წრის ადამიანებთან ნამდვილად არ დავახლოებულვარ". მისი ზოგიერთი "მსხვერპლი" ჩივის, რომ ისინი "შეიტყუეს". ვითომდა, ჯემი არწმუნებდა, რომ ეს სასწავლო ფილმია, ფართო საზოგადოებისთვის მის ჩვენებას არ ვაპირებო. ამაზე პასუხად "მოღალატე" ამბობს: "მათ კარგად იციან, რომ არავინ შემიტყუებია. ყოველმა მათგანმა ნებაყოფლობით მოაწერა ხელი ლოს ანჯელესელი იურისტის მიერ შედგენილ საბუთებს, რომლებშიც ყველაფერი განმარტებული იყო". ერთ-ერთი "უარმყოფელი" ამბობს, რომ ჯემიმ "თავის კლასს კი არა, თავის მეგობრებს უღალატა. მას შეეძლო, მონტაჟი იმგვარად გაეკეთებინა, რომ ბრიყვები არ გამოსულიყვნენ".

ბრალდება საკმაოდ უსუსურია. ფილმში ბრიყვები ბრიყვები არიან, ჭკვიანები – ჭკვიანები. ამ უკანასკნელთა შორისაა ს.ნიუჰაუზ IV, Conde Nast-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ბეჭდვის მაგნატის, ნიუჰაუზ-უმცროსის შვილიშვილი. "თუ ფილმში ვინმე ბრიყვია, საკუთარ თავს დააბრალოს. პირადად მე შოკირებული ვიყავი, როცა ზოგი ვაჟბატონის პასუხი გავიგონე," – ამბობს ნიუჰაუზ IV. მან ჯემი პინგრიში გაიცნო, ძვირადღირებულ კერძო სკოლაში, მარტინსვილში, ნიუ ჯერსის შტატში. სკოტ ფიცჯერალდის აფორიზმი, რომ მდიდარი ხალხი სხვებს არ ჰგავს, ფართოდაა ცნობილი. ნიუჰაუზმა ეს საკუთარ თავზე გამოსცადა. ის თანაკლასელებმა მხოლოდ იმის გამო სცემეს, რომ ნიუჰაუზების ოჯახი 20 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ბედის ირონია: ეს კვაკერების სკოლაში მოხდა, ისინი კი არაძალმომრეობის მომხრენი, პაციფისტები არიან. როცა გალახული ვაჟი სახლში დაბრუნდა, მამას არაფერი შეუმჩნევია – არც ის, რომ დალილავებული იყო, და არც ის, რომ თავმოყვარეობა ჰქონდა შელახული.

ჯოსაი ჰორნბლაუერი, ვანდერბილდებისა და უიტნის არისტოკრატული "ძველი ფულის" მემკვიდრემ, ნაკლებად ტრავმირებადი გზით შეიტყო თავის ზღაპრული სიმდიდრის ამბავი. ერთხელ ბიძამ ჯოსაი ნიუ იორკის მთავარ სადგურში წაიყვანა და უთხრა: "ეს შენია". ბიძამ ნიუ იორკში გასეირნება შესთავაზა და ბიჭს ის უძრავი ქონება გააცნო, რომელიც მის ოჯახს ეკუთვნოდა. ამ გასეირნებამდე ჯოსაის ეგონა, რომ მისი ნათესავები ღატაკები იყვნენ, რადგან მის ოჯახში ძვირფასი საჩუქრები მიღებული არ იყო. ის, რომ სხვებს არ ჰგავდა, ზემოთ ნახსენებმა ლიუკ უელმა იქიდან შეიტყო, რომ სკოლაში ლიმუზინით მძღოლს დაჰყავდა.

ამასთან დაკავშირებით, ჩემი ომისდროინდელი ბავშვობა გამახსენდა. მამამ დედას აუკრძალა, რომ სკოლაში მე და ჩემი ძმა დევი სამსახურეობრივი მანქანით ვეტარებინეთ (მამას საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა). ომი იყო, დედა კი ზურგჩანთაში თეთრი პურის ბუტერბროდს მიდებდა ხოლმე. მე მას რეგულარულად ერთ მათხოვარ ქალს ვაძლევდი, რომელიც ჩვენს სახლთან იჯდა, სკოლაში კი იმავე საძაგლობას ვჭამდი, რასაც სხვები ჭამდნენ. მათხოვარი ჩემი წყალობით გადარჩა შიმშილით სიკვდილს და გულწრფელად მლოცავდა ხოლმე.

ქალიშვილები და ვაჟები, რომელთაგანაც ჯემი ინტერვიუებს იღებდა, ძირითადად, ნაფერები და გათამამებული ბავშვები არიან, მაგრამ, ამავე დროს, ტრავმირებულები და დეზორიენტირებულები. მათ სრულიად განსხვავებული განცდები აქვთ – სახეზე გამონაყარით დაწყებული (ძირითადად, ეს გოგონებს ახასიათებთ) და პანიკური შიშით დამთავრებული, რომ მათი სიმდიდრე დაწყევლილია, რომ მას "ვუდუს" მაგიური დამღა ადევს.

"მდიდრად დაბადებულის" კინო და ტელეეკრანებზე გამოჩენამ სრულიად განსხვავებული გამოძახილი ჰპოვა. მის წარმატებასა და პოპულარობას ყველა აღიარებს, მაგრამ ერთნი თვლიან, რომ ამის მიზეზი ცნობისმოყვარეობაა – გასაღების ჭუჭრუტანას ეფექტი, იმის სურვილი, რომ ცალი თვალით მაინც დაინახონ, როგორ ცხოვრობს ხალხი იქ, სოციალური კიბის ყველაზე მაღალ საფეხურზე. სხვები თვლიან, რომ ფილმი ადამიანებს იმიტომ იზიდავს, რომ ის მდიდარი ხალხის მიმართ სიძულვილის ნაყოფიერი ნიადაგია. მაიკლ თომასი, რომელიც ადრე "ნიუ იორკ ობსერვერში" მაღალი საზოგადოების შესახებ სვეტებს წერდა, ფილმს განიხილავს როგორც "მდიდარი ბიჭიკოს ბრალის გრძნობას". სხვები კი ჯემის ასეთი კრიტიკული თავდასხმებისგან იცავენ. ერთ-ერთი მათგანი, იტალიელი ბარონი და "მილიკენის" ტექსტილის იმპერიის მემკვიდრე, კოდი ფრანჩეტი, ამბობს; "ჯემი სულაც არაა ტიპური მდიდარი მამიკოს ბიჭი, როგორებიც ამერიკაში შემხვედრიან. ის თავდაჭერილი ადამიანია".

მიუხედავად ფილმის ავტორობისა, ჯემი თავისი ოჯახის სიმდიდრეს ფრთხილად ეპყრობა. ის მზადაა, ჯონსონების ოჯახურ დრამებს მოჰყვეს, იმის შესახებ, როგორ მიატოვა მამამ დედამისი და "სხვენიდან ჩამოთრეული მოახლე" ითხოვა, იმის შესახებ, რომ ხანგრძლივი და ბინძური განქორწინების პროცესის შედეგად, რომელმაც მასმედიას დიდი სიამოვნება მიანიჭა, ეს "სხვენიდან ჩამოთრეული მოახლე" ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქალი გახდა; მაგრამ, როცა რეპორტიორები ეკითხებიან, თუ რამდენი ფული მიიღო მან სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ჯემი პასუხობს: "ფილმის აზრი ეს არაა. თქვენს კითხვაზე არ გიპასუხებთ". მაშასადამე, არსებობს ტაბუ, რომელიც ჯემისთვისაც ტაბუა. იქნებ, ამიტომაც იყო, რომ საყოველთაო გაოცების მიუხედავად, "უოლ სტრიტ ჯორნელმა" ფილმის შესახებ დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა? ამ რეცენზიის დასკვნით აბზაცში ნათქვამია, რომ ჯემის ფილმი "ინტელიგენტური ნამუშევარია, ზემდიდართა პრობლემების შესახებ იგავებს მოკლებული, რისთვისაც ავტორს მადლობას მოვახსენებთ". ზემდიდართა ორგანოს ასეთი ქება საეჭვოდაც კი ჟღერს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ გავიცანი კონცერნ "ჯონსონ ენდ ჯონსონის" დინასტიის ერთი წარმომადგენელი ქალი, რომელიც, სამწუხაროდ, "მდიდრად დაბადებულში" არ მოხვდა. მას ერქვა, თუ ჰქვია (არ ვიცი, ცოცხალია თუ არა) თავადის ქალი ზალსტემ-ზალესკაია, ქალწულობაში – ევანგელინა ჯონსონი. მან ერთი გაღატაკებული ევროპელი არისტოკრატი იყიდა და თავადის წოდება საკმაოდ ძვირი დაუჯდა.

მას პალმ-ბიჩში შევხვდი, "მილიონერთა კუნძულზე", 1972 წელს. მან, სხვათა შორის, ასეთი რამ მიამბო:

- ჩემი ვილა ელექტრონული სიგნალიზაციის სისტემით პალმ-ბიჩის პოლიციის განყოფილებასთანაა დაკავშირებული. ყოველთვის, როცა გულმავიწყობის გამო ცრუ განგაშს ვტეხ ხოლმე და ჩვენს მამაც პოლიციელებს ტყუილუბრალოდ ვარბენინებ, სინდისის ქენჯნა მეწყება. ამიტომ გადავწყვიტე და ყოველი ასეთი განგაშისთვის პოლიციის საპენსიო ფონდში ას დოლარს გადავცემ ხოლმე. ეს სინდისსაც მიამებს და მეხსიერებასაც მიძლიერებს. რამდენიმე წლის წინათ, როცა სიგნალიზაციის დაყენება გადავწყვიტე, პალმ-ბიჩში მისი შოვნა ვერაფრით მოვახერხე. მაშინ ის აქ არავის სჭირდებოდა. ნიუ იორკიდან მომიწია გამოწერა. ახლა კი მილიონრების კუნძულზე ლამის ყოველდღე იხსნება ამ ქონების მწარმოებელი კომპანიების ფილიალები. საშინელებაა!

იმავე დღეს, გვიან საღამოს კუნძულის მთავარ სასტუმრო "ბრიკერსში" თავადის ქალმა უკვე "მამაც პოლიციელებზე" კი არა, "მამაც ჯარისკაცებზე" იზრუნა. მეჯლისის გამმართველებმა საზღვაო ფეხოსნების კორპუსიდან ყოჩაღი ბიჭები დაიქირავეს, რომლებიც საზეიმოდ გამოწყობილები მიჰყვებოდნენ უმაღლესი საზოგადოების მანდილოსნებს ლიმუზინებიდან სასტუმროს შესასვლელამდე. იმის იქით ჯარისკაცებს აღარ უშვებდნენ. როცა მეჯლისი დაიწყო, ჯარისკაცები ტერასაზე დასხეს და ცივი ლუდი მიაწოდეს, მაგრამ მისაყოლებლად – არაფერი. სამშობლოს დამცველების მიმართ ასეთ დამოკიდებულებით აღშფოთებულმა, ნასვამმა პოლკოვნიკმა ეშლი ტისდელმა რამდენიმე ფეხოსანი თავის მაგიდასთან მიიწვია. ადმინისტრატორმა მათ ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ მოსთხოვა დარბაზის დატოვება.

- თქვენ სტუმრები არ ხართ. მოსაწვევები არ გაგაჩნიათ. ვახშამის ფული არ გადაგიხდიათ, - თქვა მან.

ჯარისკაცები შერცხვნენ, გაწითლდნენ, აფორიაქდნენ, წამოხტნენ და წასვლა დააპირეს. ისინი აშკარად ცუდად გრძნობდნენ თავს. და უცებ ჩვენი თავადის ქალის ხმა გაისმა:

- შესდექ! ფეხი არ მოიცვალოთ! მათ თქვენი გაგდების უფლება არა აქვთ! თქვენ ამერიკას იცავთ! თქვენ ჯარისკაცები ხართ, და არა მოახლეები!

სკანდალის თავიდან ასაცილებლად მეჯლისის ორგანიზატორებმა უკან დაიხიეს. ოფიცრების ფული პოლკოვნიკმა გადაიხადა, ისინი საბანკეტო დარბაზში დარჩნენ, ჯარისკაცები კი მაინც ვერანდაზე დააბრუნეს. მაშინ თავადის ქალმა ზალსტემ-ზალესკაიამ, ანუ ევანგელინა ჯონსონმა, თავისი არისტოკრატული მაგიდის დემოკრატიულ აივანზე გატანა ბრძანა და ჯარისაცებთან ერთად მოილხინა. მას ყველაფერი შერჩა – პატრიოტის დიდებაც და ახალგაზრდა მოცეკვავეებიც.

ეს ქალიც თავისი კლასის მოღალატე აღმოჩნდა.

იმხანად ჯემი დაბადებულიც არ იყო...



მაღალი საზოგადოება ერთობა.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კაფე როსინი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"მედეა", რეჟისორი გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ვაჟა-ფშაველა "სტუმარ-მასპინძელი"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"აკაკი"
კოტე მახარაძის სპექტაკლი (ვიდეოჩვენება)
დას: 18:00 სთ.

## პრეზენტაციები

წიგნის სახლი
"ჰარი პოტერის საიდუმლო ოთახის" ქართული თარგმანის პრეზენტაცია
დას: 16:00 სთ.

## კინო

**ამირანი**
"ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება"
დას: 10:00; 13:30; 17:00; 21:00 სთ.
ფასი: 5-12 ლარი

## გამოფენები

**"ძველი გალერეა"**
გურამ წიბახაშვილის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"კოპალა"**
ჟანრი ლოლაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
შტეფან მოზესის ფოტოსურათების რეტროსპექტივა

**TMS**
ბიძინა გუჯაბიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ალექსი (ალი) ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ქრისტიანული ხელოვნება"
მე-3 სართული

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

შაბათს, 31 იანვარს, 17 საათზე წარმოგიდგენთ ანტიკური წიგნის დღეს. რომაელი პოეტის "კატულუსის 33 ლექსი" და "პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები" პრეზენტაცია.

"კატულუსის 33 ლექსი" მთარგმნელი – მანანა ღარიბაშვილი

"პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები" ავტორები – ნანა ტონია, ქეთევან ნადარეიშვილი

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

# ემიგრანტი

### ირაკლი ხუციშვილის ქართულ-ფრანგული გეგმები

ვერა ნეფარიძე

*ექვსწლიანი ემიგრაციის შემდეგ ირაკლი ხუციშვილი თბილისში პირველად შარშან აგვისტოში ჩამოვიდა. ბოლოს კი - ერთი კვირის წინათ. უკანასკნელი დაბრუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ირაკლისთვის და, შესაძლოა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოდგეს აქაური მუსიკოსებისთვისაც. ირაკლი ამჟამად საქართველო-საფრანგეთის გაცვლით კულტურულ პროგრამებზე მუშაობს, პარალელუარდ კი, ამზადებს ერთობლივ პროექტს მისთვის ყველაზე საინტერესო ქართველ მუსიკოსებთან ერთად.*


*ირაკლი ხუციშვილი სტუდიაში.*

## გზა ევროპისკენ

ირაკლი ხუციშვილს საქართველოში, ძირითადად, "ზუმბადან" იცნობდნენ. ისიც ისეთივე იყო, როგორც "ზუმბას" დანარჩენი წევრები – მოხეტიალე მუსიკოსი. მეგობრებისგან ერთი რამ ნამდვილად განასხვავებდა - ირაკლი შემადგენლობიდან ყველაზე მეტად იხრებოდა ჯაზისკენ. "მას შემდეგ სულ ჯაზში გადავვარდი", - მიდასტურებს თვითონაც. თუ არ ვცდები, ის პირველი იყო, ვინც "ზუმბა" დატოვა და ევროპაში წავიდა.

საფრანგეთში გატარებული ექვსი წლის განმავლობაში ირაკლი ხუციშვილმა საკუთარი ჯგუფის შექმნაც სცადა, როდესაც ფრანგი დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებელი მარტე კორინტო გაიცნო. სხვათა შორის, ამ მუსიკოსთან გარკვეული შემოქმედებითი ურთიერთობები აკავშირებდა კიდევ ერთ ქართველ მუსიკოსს, დათო ევგენიძეს. ირაკლი ხუციშვილმა მასთან ერთად რამდენიმე კომპოზიციაც ჩაწერა, მაგრამ ჯგუფის ჩამოყალიბების იდეამ არ გაამართლა. "საკმაო დრო წაიღო თვითდამკვიდრების მცდელობამ. ხუთი წლის განმავლობაში არ ჩამოვსულვარ საქართველოში იმიტომ, რომ ნამდვილად არ იყო ამის საშუალება. შემდეგ - ბავშვები შეგვეძინა; წინა ზაფხულს, როგორც იქნა, გაჩნდა ამის შესაძლებლობა", - ყვება თბილისში დაბრუნებული ემიგრანტი მუსიკოსი.

საფრანგეთში წასულ მუსიკოსს განსაკუთრებული კარიერის მოწყობაზე არ დაუწყია ზრუნვა. ირაკლი ხუციშვილისთვის ეს პერიოდი (დღემდე) თუ შეიძლება ასე ითქვას, დაგროვების ხანაა. აქვს საკუთარი სტუდია, სადაც თავისუფლად მუშაობს. ერთხელ სცადა შეკვეთის შესრულება, მაგრამ პროცესი დიდად არ მოეწონა. "ავინიონის" ფესტივალისთვის ერთ-ერთ რეჟისორს (სპექტაკლისთვის "კაცებზე ნადირობა") მუსიკა დაუწერა, ძირითადად, ედიტ პიაფის ინტერპრეტაციები იყოო. მაგრამ, გახსოვთ ალბათ, შარშანდელი "ავინიონი" რა პრობლემების წინაშეც აღმოჩნდა. ასე რომ, არ გაუმართლა ქართველ მუსიკოსსაც, რომელიც ადგილობრივ მუსიკალურ სივრცეში დასამკვიდრებლად გარკვეულ დათმობებზე წავიდა და იქაური მუსიკოსებისთვის საოცრად იაფად იმუშავა. ამის შემდეგ ირაკლიმ ისევ მასალის დაგროვება გააგრძელა საკუთარ სტუდიაში. ჟანრობრივად, მისი ნამუშევრები ინსტრუმენტალურ ჯაზს მიეკუთვნება (თანამედროვე ჟღერადობით და არავითარ შემთხვევაში, ეს არაა კომპიუტერული მუსიკა). "ეს ყველაფერი მასალაა, რაც ნებისმიერ მომენტში გამომადგება", - ამბობს მუსიკოსი, რომელიც კონკრეტულ საკონცერტო თუ სტუდიური ჩანაწერებისთვის გეგმებს არ აწყობს. სამაგიეროდ იცის, რა უნდა გააკეთოს იმ სფეროში, რასაც ახლახანს მოჰკიდა ხელი.

## საქმიანი სტატუსი

ირაკლის მეორე ვიზიტი სამშობლოში წინაზე გაცილებით საქმიანია. მუსიკოსმა მეუღლესთან ერთად დააარსა ასოციაცია "ექო", რომელიც ქართულ-ფრანგულ კულტურულ გაცვლით პროგრამებზე იმუშავებს. ძირითადი აქცენტი კი მუსიკაზე გაკეთდება. გამოკვეთილია პირველი, ჩვენთვის საინტერესო პროექტის კონტურებიც. საფრანგეთში "ექოს" პირველი საექსპორტო ქართული სახე, ალბათ, ნინო ქათამაძე და ჯგუფი "ინსაითი" იქნება. ზაფხულში იგეგმება ქართველი მუსიკოსების მონაწილეობა საფრანგეთის ფესტივალებში, გამოსვლები სხვადასხვა კლუბებში. პროექტში რამდენიმე ფრანგი პროდიუსერი უკვე ჩართულია. ირაკლი ხუციშვილმა "ინსაითისა" და ქათამაძის ჩანაწერები გაუგზავნა ფრანგ პარტნიორებს, რასაც მათი მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა. საუბარია გრძელვადიან პროექტებზე. ამ დღეებში კი ირაკლი ხუციშვილი "ინსაითთან" ერთად რეპეტიციებს დაიწყებს. რა გამოვა აქედან, ამაზე საუბრისგან ხუციშვილი თავს იკავებს. "ერთი კი ვიცი, რომ სულ სხვა რამ იქნება", - დარწმუნებულია ჩემი მოსაუბრე. იდეა კი მისთვის იმდენად საინტერესოა, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ირაკლი მზადაა პროექტის დასრულებამდეც დარჩეს თბილისში.

## რევოლუციის გულშემატკივარი

არც ამ პროექტზე და საერთოდ, არც რაიმე წამოწყებაზე დაიწყებდა ირკლი ხუციშვილი ფიქრს, რომ არა ის, რაც ნოემბერში თბილისში მოხდა. "მთელი დღეები მიჯაჭვულები ვუყურებდით CNN-ს და სხვა, ფრანგულ საინფორმაციო გადაცემებს. გავგიჟდი, გავაფრინე კინაღამ. ვიფიქრე, მეთქი გვეშველა, ჯოჯოხეთიდან გამოვდივართ. თან სულ მეშინოდა, არ მოეკლათ ეს ბიჭი. აი, მაშინ მართლა საბოლოოდ ხელს ჩავიქნევდი ყველაფერზე, მაგრამ საბედნიეროდ შეიცვალა ბევრი რამ. თბილისის შემოსასვლელშივე, აეროპორტიდანვე იგრძნობა, რომ სულ სხვა განწყობაა ქვეყანაში. ხალხთან ურთიერთობისას სულ სხვაგვარი ენერგია მოდის", - ასეთმა ცვლილებებმა ირაკლი ხუციშვილის სამომავლო გეგმების გეზიც შეცვალა.

# კონტაქტი „დავითიანთან"

თეონა ჯაფარიძე

"ზუბოვკიდან მომავალმა ვნახე ერთი ქალი" \ "ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი" – სტროფებსა და რიტმებს შორის ასეთ პარალელებს, სწორედ სტროფებისა და რიტმების "მანიაკი" თუ გაავლებდა. გურამიშვილიდან ეს უეცარი ნახტომი გალაკტიონთან, იმისათვის, რომ ტროპული და მეტრული აზროვნების მაგალითები და მსგავსებები მოეყვანა, მიხვდით, ალბათ, სწორედ პოეტმა რატი ამაღლობელმა შემოგვთავაზა.

რატი ამაღლობელს ისე არ მოიხსენიებენ, თუ მასთან ერთად მისი პოეზიის "თინეიჯერი" "ფანების" ამალაც არ ახსენეს. ჰოდა ჩვენს ბარბაროსულ დროში, ხანდახან კლასიკოსებზეც რომ დავფიქრდეთ, შესაძლოა, უკეთ შევიგრძნოთ კლასიკაც, ჩვენი დროცა და ის სივრცეც, რაც მათ დროსთან გვაცილებს. სწორედ ამ დროისა და სივრცის გადალახვას ცდილობდა გუშინ "წიგნის სახლში" რატი ამაღლობელი. "წიგნის სახლის" დაფაზე გაკრული ხელით შესრულებული წარწერა კი გვამცნობდა, რომ ზაალ სამადაშვილის უკვე ტრადიციული ლიტერატურული ციკლი "ახალი განზომილება" პოეტ რატი ამაღლობელს წარმოგვიდგენდა თემით "დავით გურამიშვილი".


*რატი ამაღლობელი და ზაალ სამადაშვილი.*
თემურ სახიტაშვილის ფოტო

სულ რამდენიმე დღის წინ "წიგნის სახლში" შეკრებილი პუბლიკა აკა მორჩილაძეს უსმენდა, რომელიც მათ ალექსანდრე ყაზბეგზე მოუთხრობდა. შესაძლოა, ქართველი კლასიკოსებით ასეთი განახლებული დაინტერესება, მათი ახლებურად წაკითხვისა და გაგების დასაწყისადაც კი ჩაითვალოს. მით უმეტეს, როცა ჩვენი თანამედროვე მწერლები თუ პოეტები ასე "ახლად წაკითხულს" ახალ თაობას აწოდებენ.

ჰოდა იმას მოგახსენებდით, რომ ახალგაზრდებით გარშემორტყმული პოეტი, 22 წლის დავით გურამიშვილზე ყვებოდა, დღისით, მზისით, შუაგულ ქართლში, ლამისყანაში წყაროზე დიდო-ლეკებმა რომ მოიტაცეს. რატი ამაღლობელი იმ ათწლიან "ოქროს ხანაზეც" გვიამბობდა, რაც ვახტანგ მეექვსეს მიერ დაარსებულ, მთელ მაშინდელ აღმოსავლეთში ერთადერთ სტამბას მოჰყვა თან და აღარ უკვირდა ლეკების ტყვეობიდან გათავისუფლებული დავითი, რატომ წავიდა ჩრდილოეთით და არა სამხრეთით. "ალბათ იმიტომ, რომ ის ინტელექტუალური გარემო, რომელიც საქართველოში პოეტმა ტყვეობამდე დატოვა, უკვე რუსეთში ეგულებოდა გადასახლებულ ქართველთა კოლონიების სახით". მაგალითად კიდევ ერთ რატისეულ აღმოჩენას მოგიყვანთ: "დავითიანით" მხოლოდ იმდენის გაგება შეგვიძლია დავით გურამიშვილზე, რამდენსაც გოეთეს "ფაუსტის" მხოლოდ მეორე ნაწილის ბოლო ნახევრის წაკითხვის შემთხვევაში გავიგებდით გოეთეს შესახებ". ან კიდევ რატისეული მოსაზრება გურამიშვილის ნარატიულ ჟანრზე: რის საშუალებითაც, "დრო თხრობს საკუთარ დროს და ტექსტის კითხვისას დროის შეგრძნების საოცარი განცდა გვეუფლება." და ა.შ...

მოკლედ არ ვიცი, გუშინ "წიგნის სახლში" რამდენად მოახერხა პოეტმა "კომუნიკაბელური კავშირის დამყარება "დავითიანის" ეპოქის ადამიანთა მსოფლმხედველობასთან", მაგრამ იქ მისულ მსმენელთან ეს ნამდვილად გამოუვიდა.

# ვინ დაიწყებს?

### ახალი ლექსები

ანა კორძაია-სამადაშვილი

"კავკასიური სახლის" შემოსასვლელში "საბას" ლაურეატები, პოეტი გაგა ნახუცრიშვილი და მწერალი ბესო ხვედელიძე შემხვდნენ. წესით, მათ უბრალოდ ლიტერატორები უნდა ვუწოდო, რადგან გაგა პროზასაც წერს, ბესომ კი მითხრა, მე ლექსებს ვწერდი, კრებულიც კი მაქვს გამოცემულიო.

გაგას სიხარულით შევხვდი, რადგან მის პოეზიას მეტ-ნაკლებად ვიცნობ. მაგრამ გაგამ მთხოვა, ბევრს ნუ დაწერო, და მეც დავპირდი, რომ მის შესახებ ბევრს არ დავწერ – სხვა თუ არაფერი, ჩემთვის არასოდეს არაფერი უთხოვია, რაღა დღეს დავწყვიტო გული.

გუშინ, მოგეხსენებათ, კვლავ თბილოდა, იანვარმა პატივი გვცა, და ბესომ გულწრფელად თქვა, რაღაც, სიცოცხლე დაგვეტყოო. მეც ასე მგონია.

აი, თუნდაც, გუშინდელი ლიტერატურული საღამო ავიღოთ. "ალტერნატივას" კვლავ გამოცემასთან ერთად, "კავკასიურ სახლში" დიდი გამოცოცხლება შეინიშნება, და უკვე მეორედ გამართულ "ახალი ლექსების საღამოზე" მრავალმა პოეტმა მოიყარა თავი.

საღამოს წაყვანა შოთა იათაშვილმა ითავა. თავიდან ცოტა გაჭირდა: პირველობა არავინ ისურვა, პოეტები საშინლად იპრანჭებოდნენ, და დაწყება ისევ შოთას მოუწია. იმის შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ ფურცლები აერია და ვერ დაალაგა, შოთამ მწარედ ჩაილაპარაკა, პირველმა საერთოდ არავინ უნდა წაიკითხოსო.

მაგრამ მაინც წაიკითხა – ლექსები ორი ახალი ციკლიდან, რომლებსაც "ალტერნატივას" მკითხველი სულ ცოტათი, მაგრამ მაინც იცნობს. ესენია გალაკტიონის სტილიზაციები "ია" და ტერენტი გრანელის სტილიზაციები memento.

სანამ შოთა კითხვას დაიწყებდა, "კავკასიური სახლის" დიასახლისმა, ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა, კოლეგებს აუხსნა, რომ როცა ვინმე კითხულობს, დარბაზში წინ და უკან სიარული და მოსაწევად ეზოში გავარდნა უზრდელობაა. შოთამ მას მხარი აუბა და თქვა, ფილმს ხომ უძლებთ ორი საათი, ჰოდა, პოეზიასაც გაუძელითო. ამაზე პასუხად მწერალმა დავით ქართველიშვილმა ჩაილაპარაკა, ფილმს და პოეზიას გააჩნიაო. მართალია, ვერაფერს ვიტყვით.

შალვა ბაკურაძემ ჯერ "საქორწილო ლოცვა" წაგვიკითხა; კუშტად ჰქონდა წარბები შეჭმუხნული, მაგრამ მერე თქვა "მორჩაო" და გაიღიმა. მეორე ლექსის წაკითხვის შემდეგ ბრძანა, ეს საერთოდ არ იყო დასაბეჭდიო, და დარბაზიდან სთხოვეს, ის წაიკითხე, რაც დაბეჭდვად ღირსო. საერთოდ, გუშინდელ საღამოზე შალვა უჩვეულოდ ხალისიანად იყო, რაც ძალიან უხდება.

ლექსო ლეკიაშვილი ძალიან უშუალოდ მოჰყვა "ერთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან ურთიერთობის ამბავს", ამ ურთიერთობის სევდიანი დასასრულის შესახებ ხალისიანი ლექსიც წაგვიკითხა – "მუდმივი კავშირის სამყარო", და ისიც გვაუწყა, რა ტრიალებდა მის თავს N 35 სამარშრუტო ტაქსში, ვაზისუბნიდან ვაკისკენ მიმავალ გზაზე.


*შოთა იათაშვილი და შალვა ბაკურაძე.*
თემურ სახიტაშვილის ფოტო

უნდა ითქვას, რომ პოეტები, რომლებსაც, ძირითადად, ავადმყოფური თავმოყვარეობის შეტევები აქვთ ხოლმე, გუშინ დარბაზიდან წამოსულ რეპლიკებზე ძალიან საღად რეაგირებდნენ: დათო რობაქიძეც, ცოტნე სივსივაძეც და გიორგი ბუნდოვანიც კი. ეს უკანასკნელი ჩიოდა, კითხვა მიჭირს, დაჯღაბნილად მიწერიაო და დარბაზიდან ერთმა გოგონამ სიტყვა შეაწია, მიდი, შენ იცი, უფრო გააბუნდოვანეო...

ახალი ლექსების ავტორი ქალბატონების შესახებ ცალკე უნდა მოგახსენოთ. ძირითადად, ახალ სახეებთან გვქონდა საქმე: მაია პაპუაშვილი შოთა იათაშვილს "ლიტერატურულ კაფეში", თავისუფალ მიკროფონთან "აღმოუჩენია", ხათუნა შიუკაშვილი კი საერთოდ, სიურპრიზი იყო, მას შოთაც არ იცნობდა. ორივე სულ ახალგაზრდა ქალია, მაგრამ ძალიან მძიმე ლექსებს წერენ: "იუდა" (ასეთი სათაურით ლექსი ორივემ წაიკითხა), "აღსარება", "თვითმკვლელობა", "მონანიება" – გადასარევია, ღმერთმანი. დასკვნის სახით პატარა ხათუნამ თქვა, თქვენ რომ იცინებთ, მე ვიტირებო, და სულ მთლად შემომეყარა გულს.

ქალბატონი მარიკა ჟორჟოლიანი კი სულ სხვა სულისკვეთებით წარდგა. ეს ახალგაზრდა, ეგზოტიკურად ლამაზი და ფრიად არტისტული ქალბატონი ჩემს ცნობიერებაში ამიერიდან "მადამ კალაშნიკოვად" დარჩება.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქალთა პოეზიის სმენით მამაკაცები თავს დიდად არ იკლავდნენ. გამონაკლისი რუსულენოვანი პოეტების გამოსვლა იყო: უკვე კარგად ცნობილი ანა გრიგის და ინა კულიშოვასი. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თავად ეს ენა იწვევს ჩემი ერის მამაკაცებში გაუგებარ განცდებს: სულგანაბულები ისმენდნენ მშვენიერი ინას მიერ მოწყობილ ликбез-საც კი. გარწმუნებთ, არასოდეს დაავიწყდებათ, რომ ოსტატი მიხაილ ბულგაკოვის პერსონაჟია, და რომ ამქვეყნად გუტენბერგი არსებობდა. ავტორის მიმართ ქათინაურები ასეთი იყო: ზურაბ რთველიაშვილი დათო ქართველიშვილსა და შალვა ბაკურაძეს მიუბრუნდა და მოუწოდა, წერა ისწავლეთო, იმათ კი მიუგეს, ეგ საკუთარ თავს უთხარიო, და ასე...

ერთადერთი პოეტი, რომელსაც საკუთარი ლექსები არ წაუკითხავს, დათო ჩიხლაძე იყო. მან ახალი ლექსი ნიუ იორკიდან შოთა იათაშვილს გამოუგზავნა, და ამიტომ ის შოთამ წაგვიკითხა.

და ბოლოს: პირადად მე არასოდეს დავუვიწყებ ბატონ გივი შაჰნაზარს, რომ მეთექვსმეტე საუკუნის პოეტის, მაჰადბეგ ქუჩაკის სატრფიალო ლექსები მომასმენინა – ასეთებს, თურმე, სომხურად აირენები ჰქვია. და ასეთივე საოცარი იყო ავეტიკ ისააკიანის ლექსიც უკიდეგანო უდაბნოში მოჟღარუნე ეჟვნებისა და დიდი ვნების შესახებ.

**P.S.** თუმცა გაგა ნახუცრიშვილს დავპირდი, რომ არაფერს დავწერდი მის შესახებ, მაინც აღვნიშნავ, რომ "მეორედ წასვლა" არაჩვეულებრივი ლექსია, ისეთი, გულს რომ მოხვდება და არასოდეს დაგავიწყდება. მართალია, სრულიად განსაცვიფრებელი ფურცლიდან კითხულობდა – ვერაფრით ვერ ვხვდები, რანაირად დაიბადა ეს კაცი ქალწულის ნიშნის ქვეშ.

# ოლიგარქების თავზე წაკითხული სახარება

## სტურუას "მაზეპა" დიდ თეატრში

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვი


რობერტ სტურუა.
თამარ სახოკიაშვილის ფოტო

დღეს მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებაში მიწისძვრა მოხდება: სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში რობერტ სტურუას "მაზეპას" პრემიერაა. ჩაიკოვსკის ცნობილი ოპერა პუშკინის "პოლტავას" მოტივებზე თანამედროვე რუს მსმენელსა და მაყურებელს იმითაც იზიდავს, რომ დიქტატორისა და მწვალებლის, თანამედროვე გაგების ოლიგარქის, მაზეპას საოპერო სახე სტურუამ მისთვის დამახასიათებელი დრამატული სიმბოლოებით დატვირთა.

გუშინწინ, 11 საათზე დიდი თეატრის მე-15 სადარბაზოსთან თავი მოიყარა "მაზეპას" გენერალურ რეპეტიციაზე მოსულმა პრესამ, დიდი თეატრის მუდმივმა ფანებმა, ძირითადად, ხანდაზმულმა, ინტელიგენტური გარეგნობის ქალბატონებმა ნაფტალინიდან ამოღებული, მაგრამ კარგად შენახული ქურქებით და ხავერდის დიდი შლაპებით. დიდი თეატრის ფასადზე ორი ქართული გვარით დამშვენებული წითელ-ოქროსფერი გრანდიოზული პლაკატი ჰკიდია - სტურუა და ალექსი-მესხიშვილი.

როგორც იქნა, დიდი თეატრის მე-15 სადარბაზოს აღებენ და იწყება ნამდვილი თვითმკვლელობა შესვლაზე. შლაპიან ბებიებს ტელეოპერატორები თავზე ატარებენ მაღლა აწეულ ვიდეოკამერებს, რის გამოც პუშკინის მოყვარულთა რისხვას იმსახურებენ. ვიწრო კარში ყველა ვერ ეტევა. დიდი თეატრის ტრადიციული დიდი კარები მოსკოვში ტერორისტული აქტების მთელი სერიების შემდეგ გააუქმეს. მაყურებელს ვიწროკარიანი სადარბაზოებიდან ერეკებიან შიგნით. ამისათვის დიდი თეატრის თვრამეტივე სადარბაზო ფუნქციონირებს...შიგნით შესულებს მეტალისმძებნელ ჩარჩოში გავლა და სპეციალური დაცვის მხრიდან ჩხრეკა ელოდებათ. დიდ თეატრსაც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური იცავს. სამწუხაროა, რომ დიდი თეატრიც ვერ გადაურჩა საერთაშორისო ტერორიზმის აჩრდილს. დათოვლილი ქუჩიდან ვიწრო სადარბაზოში ჭიდაობის შემდეგ პირდაპირ ბუფეტში შევდივართ, სადაც ყავის იდუმალი სურნელი ტრიალებს. საგრიმიოროდან ამორბიან შემსრულებლები. ისმის ორკესტრის რეპეტიციის ნერვიული აკორდები. სტურუა და ალექსი-მესხიშვილი უკვე დარბაზში სხედან. ნერვიულობენ. დიდი თეატრის პარტერი გადაჭედილია. იგივე სურათია პირველ, მეორე და მესამე იარუსებზე. მოკლედ, ნამდვილი პრემიერაა. "ბოლშოი" მაინც "ბოლშოია". რუსები ეთაყვანებიან ტრადიციას. პუშკინი ხელუხლებელია. ამიტომ მოვგიანებით, გნესინების სახელობის მუსიკალური სასწავლებლის ერთი ხანდაზმული პროფესორი ქალბატონი უკმაყოფილოდ გვეტყვის, რომ "მაზეპა" ძალიან თანამედროვეა და ეს მას ხელს უშლის.

დიდი თეატრის ერთ-ერთ ვიწრო ფლიგელში თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელს, **მაყვალა ქასრაშვილს** ვაწყდებით. დასაწყისი არ გამოგრჩეთ, ძალიან ეფექტურია, გვეუბნება ქალბატონი მაყვალა და იმის თქმასაც ასწრებს, რომ "იმ დღიდან რაც რობიკო და გოგი დიდმა თეატრმა მაზეპას განსახორციელებლად მიიწვია, სახეზე ბედნიერი ღიმილი არ წაშლია".

ჩაიკოვსკის ცნობილი ლიბრეტოს შემდეგ, ალექსი-მესხიშვილის ტრადიციული დეკორაცია - ლათინურ წარწერებიანი ქსოვილი ეშვება მაღლიდან, რაც მიგვანიშნებს, რომ თემა მხოლოდ უკრაინული არ იქნება. რომ იდეა ახლაც საერთაშორისოა - ვინ სტალინს დაინახავს მაზეპაში, ვინ ჰიტლერს, ვინ კუჩმას ან პუტინს. ლათინურ წარწერიანი დეკორაცია დარბაზის სიღრმიდან ძალზედ წააგავს პუშკინის ცნობილ კარაკულს და პოეტისავე მხტვრობას. მოძრავ დეკორაციაზე თანამედროვე ტექნიკის წყალობით ტყვიისფერი ღრუბლები გადადიან. ისმის გრანდიოზული აკორდები და სცენაც მოჩანს. ჩანს ქართული, თავთუხისფერი მაღალი ბალახი, რომელიც სინამდვილეში სცენაზე მოსაწყენი მწვანე-ნაცრისფერია, მაგრამ ოსტატური განათებით მთელი სპექტაკლის მანძილზე განწყობის შესაფერად იცვლის ფერს, სცენის ერთ კუთხეში, თავთავებში სპეტაკი მარმარილოსფერი თეთრი კვიცი წევს - თავაწეული და მიამიტი. ჩნდება "ნატვრის ხის" დაუვიწყარი სცენის ანალოგია. თუ იქ ქართული ყაყაჩოები იყო, ამჯერად უკრაინული თივაა. "სამშობლოს გრძნობა გასაკვირველიც" ოსტატურადაა გადამღერებული. ვერ იგებ, დაჭრილია კვიცი, თუ დასაკლავად გამზადებული. ბაგაში, თივაში დაბადებულ ქრისტესთან ანალოგიას ენაცვლება ჩვეულებრივი ადამიანური ორგულობა და გამყიდველობა. სამშობლოს განძის მომპარავ მაზეპას 37-ანი წლების ტყავის ქურთუკი და ტყავის ჩექმები აცვია: ჩეკას, ენკავედეს, გეტმანის სტილი. გინდა სტალინი იგულისხმე და გინდა ნებისმიერი დესპოტი, რომელმაც ბოლომდე სასურველი ქალის სიყვარულიც კი ვერ შეძლო, რომ არაფერი ვთქვათ სამშობლოს სიყვარულზე.

სცენაზე თამაშდება გასული საუკუნეების დრამა სამყაროსათვის გაცვეთილი ღალატით, გაყიდვით, ფულის გატაცება-წართმევისა და ადამიანის წამების, ბოლოს კი ცინიკური მკვლელობის ჩათვლით. დარწმუნებული ვარ, მოსკოვში რობერტ სტურუას "მაზეპას" იგივე ეფექტი ექნება, როგორიც თავის დროზე თბილისში "რიჩარდის" ჩვენებას ჰქონდა. იმ საღამოს, რუსთაველის თეატრში გამართულ სპექტაკლში, ყველა პარტიულმა მუშაკმა და ფუნქციონერმა საკუთარი თავი ამოიცნო. პირადად ვიცნობ რამდენიმე მაშინდელ პარტიულ ფუნქციონერს, რომლებსაც ნათქვამი აქვთ, რომ "რიჩარდის" ნახვის შემდეგ მთელი ღამე არ ეძინათ. კარზე მიკაკუნებას ელოდნენ, ალბათ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო საქართველოში და მათ კარზე არავინ არ მიუკაკუნა. მათ წყნარად აკეთეს "საქმენი საგმირონი", კარგად სვეს და ჭამეს და საქართველოს ფული, პარტიის ოქროსთან ერთად საზღვარგარეთ გააპარეს. რითი არ იყვნენ მაზეპები?!

რობერტ სტურუას პირველ ანტრაქტში ჟურნალისტები იტაცებენ. ჩვენს შეკითხვაზე, როგორ დაიმორჩილა დიდი თეატრის საოპერო დასი, ვისთვისაც თავიდან სტურუას ნოვაციები უცხო ხილი იყო, გვპასუხობს:

**- სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ვისაც ხმა აქვს, იმან თამაში არ იცის, ვინც თამაშობს - იმას ხმა არ აქვს, მაგრამ ყველაფერი დავძლიეთ.**

**გიორგი ალექსი-მესხიშვილი** უკმაყოფილოა დიდ თეატრში ჯერ კიდევ შემორჩენილი მუშაობისა და ხელმძღვანელობის პარტიული, კომუნისტური, ანუ სტალინური სტილით. **ამიტომ მუშაობა ძნელი იყო,** ამბობს დასავლეთის თეატრალურ სამყაროში "დამხეცებული" მაესტრო.

რობერტ სტურუამ იმ დროს ჩაიფიქრა "მაზეპას" განხორციელება, როცა პოლიტიკური ვითარება რუსეთ-უკრაინა, რუსეთ-საქართველოს შორის უაღრესად დაძაბულია, როცა არავინ იცის, ვის დასჯიან და ვის აღაზევებენ, მაგრამ მთავარია, რომ თანამედროვე დესპოტები და ოლიგარქები პასუხს აგებენ ხალხის წინაშე. სტურუა-მესხიშვილის წარმოდგენაში ეს ხალხი, ანუ "მასოვკა" ჩამოწეწილ-ჩამოგლეჯილი დადის. ასე ცხოვრება არ შეიძლება. შეიძლება დაუსრულებლად დავა იმაზე, თუ რატომ იმარჯვებს ბოროტება, რატომ მთავრდება სპექტაკლი გულგრილი და ცინიკური მკვლელობით. ცნობილი რუსული ბლოკბასტერის "ბრიგადას" მნახველი პუბლიკა ამას გაიგებს. სტურუამ "მაზეპას" კონცეფციაში იპოვა დელიკატური მარცვალი - თუ რუსული პუბლიკა მას "გადაყლაპავს", რეჟისორი თეატრალურ კრიტიკას ვერ გადაურჩება.

მესამე აქტის წინ სცენაზე დეკორაციებს არ ცვლიან, მხოლოდ ანაცვლებენ. ვესაუბრებით მაზეპას როლის შემსრულებელს, რუსეთის დამსახურებულ არტისტს **ალექსეევს**. მაინტერესებს რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდათ რეჟისორთან ურთიერთობაში. იგი ოდნავ გადაკრულშია.

- ვისთან, სტურუასთან? რას ამბობთ, მთელი ორი თვის მანძილზე ხმა არ აუწევია. რობერტი ხომ უკეთილშობილესი ადამიანია, ჩვენ მას ვაღმერთებთ. იცით, როგორი მოწიწებაა სტურუასადმი ჩვენს საგიჟეთში? იყო დაღლის მომენტები, მარტო სტურუა რჩებოდა მშვიდი, გაწონასწორებული, გვიყვავებდა. ყველაფერი ჩინებულად იყო.

რობერტ სტურუა: **"და იმ ადამიანურმა გაუტანლობამ, რაც "მაზეპაშია" მოიტანა ის, რომ თავის დროზე უკრაინამ დამოუკიდებლობა ვერ მიიღო, ისევე, როგორც საქართველომ და ბევრმა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკამ".**

სცენაზე მესამე აქტი იწყება. ისტორიული სურათი არ იცვლება. იგივე ყანა, რომელიც თანდათან მეწამული ფერის ხდება. თოვლისფერი კვიცი სისხლისფრად იღებება. სპეცეფექტების წყალობით ტყვიისფერი ღრუბლები გადადიან უკრაინის თავზე. და დიდ სცენაზე ისევ ჩნდება ავისმომასწავებელი გოთიკური სტილის წარწერა "მაზეპა". სტურუას "მაზეპაში" შეგიძლიათ იხილოთ საკუთარი სამშობლოს ავი წარსული და უარესი მომავალიც, თუკი ხალხი ვერ შეძლებს ვითარებაზე ამაღლებას. ასეთია უკრაინელი, რუსი თუ ქართველი დიქტატორის სტურუასეული კონცეფცია.

30 იანვარს მოსკოვში დიდი პრემიერაა. კრემლის ადმინისტრაციამ ხუთასი ბილეთი გამოისყიდა, ამდენივე რუსეთის თეთრმა სახლმა. ელოდებიან პრეზიდენტს. ბილეთები პრესტიჟულ ლოჟებში სამასი დოლარი ღირს, ჩვეულებრივ "გალიორკაზე" ოთხმოც დოლარამდე. დიდი თეატრის მიდამოებში მრავლად დგანან ბილეთების გადამყიდველები. ესეც თავისებური კასტაა, სპეკულანტობის პარალელურად ლიბრეტოს ღიღინებენ. ორმოცდაათ დოლარად მეხუთე იარუსს ჰყიდიან.

"მაზეპას" თავისი მეცენატები და მფარველები ჰყავს. ერთი ცნობილი რუსული ფირმის პროდიუსერი მიმტკიცებს, რომ პრემიერაზე მოვლენ პოლიტიკოსები, ოლიგარქები, მოკლედ, მოსკოვის დიდი ნაღები. დღევანდელი რუსეთის უაღრესად პოლიტიზირებულ თეატრალურ ნაღებსაც ერთი კარგი თვისება აქვს, ნებისმიერი ფაქტიდან სწორი დასკვნის გამოტანა შეუძლია, მაგრამ როგორც "მაზეპას" ისტორია ამტკიცებს, ამაზე შორს ჩვენი ფანტაზია ვერ მიდის. ამაზე გვაფრთხილებს ბატონი სტურუაც.

# არტ-აჯაფსანდალი

ნინო ჭანიშვილი


ფრენკ გერის ტორონტოს მუზეუმი.

**ვარშავაში მალე "კომუნიზმის მუზეუმი" გაიხსნება.** ვარშავის მერმა ლეხ კაჩინსკიმ ეს გადაწყვეტილება ფონდ "სოცლენდთან" ერთად მიიღო. ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელია ცნობილი კინორეჟისორი ანჯეი ვაიდა. მომავალი მუზეუმი ქალაქის ცენტრში, მეცნიერებისა და კულტურის სასახლეში განთავსდება. ფონდი "სოცლენდი" უკვე ოთხი წელია, მუზეუმისთვის ექსპონატებს აგროვებს და დღეისათვის უკვე რამდენიმე ათასი ექსპონატი მოაგროვა. ექსპონატებს შორისაა სტალინისა და ლენინის აუდიოჩანაწერები, პლაკატები, ფოტოები, სკამი, რომელზეც დაპატიმრებულ "ხალხის მტრებს" სვამდენ და ფოტოს უღებდნენ. ლეხ კაჩინსკი იმედოვნებს, რომ "კომუნიზმის მუზეუმი" ვარშავის ერთ-ერთ ტურისტულ ობიექტად იქცევა. კომუნიზმის მუზეუმი პრაღაშიც არსებობს. ის რამდენიმე წლის წინ დაარსდა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპოზიცია სახალისოდ და იუმორისტულად არის მოწყობილი, ტურისტები ნამდვილად არ აწყდებიან პრაღის მუზეუმს. მუზეუმის დამთვალიერებლები ისევ რუსეთიდან ჩასული ტურისტები არიან.

**ლონდონში, 2004 წლის 29 აპრილს** თითქმის ერთწლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ, თანამედროვე მუსიკის, ცეკვის, ვიზუალური ხელოვნების, კინოსა და თეატრის ცენტრი "ბარბიკანი" გაიხსნება. "ბარბიკანი" მოდერნისტების, ტინა მოდოტის და ედუარდ ვესტონის გამოფენით "მექსიკური წლებით" გაიხსნება. ექსპოზიციაში 140 ფოტონამუშევარი იქნება გამოტანილი. ანგელოზის გარეგნობის მქონე, კომუნისტ თინა მოდოტის, ქალ-სატანას ეძახდნენ. 14 წლის ასაკში თინას უკვე ჭკუიდან გადაჰყავდა მამაკაცები. თინა ჯერ კიდევ ფრანგი მხატვრის რობოს ცოლი, იყო როცა ფოტოგრაფი ედუარდ ვესტონი გაიცნო. ისინი რამდენიმე წელი ერთად ცხოვრობდნენ მეხიკოში. 1924-29 წლებში თინა მექსიკის კომპარტიის გაზეთ El Machete-ში ფოტოკორესპონდენტად მუშაობდა. სწორედ ამ პერიოდს მიეძღვნება "ბარბიკანის" გამოფენა.

**ლონდონის "ტეიტში"** აბსტრაქტული პრიმიტივიზმის ფუძემდებლის კონსტანტინ ბრანკუსის (1876-1957) გამოფენა გაიხსნა. ბრანკუსიმ პიკასოსთან ერთად დიდი როლი შეასრულა მე-20 საუკუნის ევროპული ხელოვნების ფორმირებაში. "ტეიტის" ექსპოზიციაში რუმინელი მოქანდაკის 30 ნამუშევარია წარმოდგენილი. მათ შორის ცნობილი ნამუშევრები "კოცნა" (1907-08), "სამყაროს დასაწყისი" (1920), Maiastra (1912). ეს ბრანკუსის პირველი რეტროსპექტული გამოფენაა ბრიტანეთში. კონსტანტინ ბრანკუსი 1876 წელს რუმინეთში დაიბადა. 1905 წელს კი პარიზში გადავიდა, სადაც 50 წელზე მეტი იცხოვრა. მოქანდაკემ 1920-იან წლებში პარიზში სახელოსნო დაარსა, იგი თავისი დროის საკულტო ფიგურებს - ამადეო მოდილიანის, მარსელ დუშამპს, დონალდ ჯადს ხვდებოდა. ბრანკუსის უკიდურესად გამარტივებული ფიგურები მოდერნიზმის სახეებად იქცა. დღეს, როცა მოდერნიზმზე დიდი მოთხოვნაა, ბრანკუსის ნამუშევრების ფასი შესაბამისად ძალიან მაღალია. ყველაზე მაღალ ფასში მისი ნამუშევარი 2002 წელს, კრისტის აუქციონზე გაიყიდა. ანონიმმა მყიდველმა ბრანკუსის სუპერსტილიზებულ "დანაიდაში" 18 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს სარეკორდო თანხა გახლავთ არა მხოლოდ ბრანკუსის, არამედ ქანდაკების გაყიდვების ისტორიაშიც.

**ცნობილი ამერიკელი არქიტექტორის ფრენკ გერის** მიერ აშენებული მუზეუმები ულმობლად "შთანთქავენ" იქ დაცულ ექსპონატებს. გერის მუზეუმები უკვე დიდი ხანია, თავად იქცნენ არტ-ობიექტებად. ტურისტები არა მუზეუმებში დაცულ ექსპონატებს, არამედ სწორედ მისი არქიტექტურის სანახავად დადიან. ამჯერად გერიმ ახალი პროექტი წარუდგინა კანადურ საზოგადოებას - "ონტარიოს ხელოვნების გალერეას" გაფართოების პროექტი ტორონტოში. "ონტარიოს ხელოვნების გალერეას" მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება და 2007 წლისთვის დასრულდება. გალერეის გაფართოების პროექტი, დაახლოებით, 195 მილიონი დოლარი დაჯდება. გასულ წელს ატიპური პნევმონიის გავრცელებამ ტურისტების ნაკადი დიდად შეამცირა ტორონტოში. გალერეის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ გერის ახალი დიზაინი ტურისტების მოზიდვის წყარო გახდება. გარდა ამისა, ტორონტოს გალერეის საგამომცემლო საქმის მაგნატმა კენეთ ტომპსონმა თავისი ეკლექტური კოლექციიდან 2 ათასი ნამუშევარი გადასცა.

სვეტი

# ქართული შოუბიზნესი



ლადო ბურდული

ყოველგვარი ფამილიარობის გარეშე მე ვაგრძელებ, ანუ ვიწყებ იქიდან, საიდანაც მართლა ყველაფერი თავიდან დაიწყო - ქართულ შოუბიზნესში ყველაზე დიდი ღონისძიებით, რომელსაც "ვარდების რევოლუცია" ერქვა და რომელმაც 1989 წლის 9 აპრილიდან - 2003 წლის ნოემბრამდე ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში გააკეთა დიდი მონტაჟი; დაკარგული და გაჩერებული მთელი 14 წელი და პირადად ჩემს ცხოვრებაში ყველაზე "გახურებული" და ნაყოფიერი წლები გაქრა, როგორც ერთი კოშმარული სიზმარი, მაგრამ ის, რაც მოხდა, მე ვფიქრობ, ღირდა ამ მსხვერპლისთვის, ანუ "ეს სანთლები ღირდა ამ თამაშად".

ჩემთან კი რამდენჯერმე გაისმა ცნობისმოყვარე ჟურნალისტების ზარები, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მისვამდნენ მეტად იდენტურ კითხვას:

- რა პარალელების გავლება შემიძლია ჩემს კლიპს, "ჩემო მშვენიერო ლედის" ვარდს და "ვარდების რევოლუციას" შორის და თუ შეიძლება ეს დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან?

მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ამ სახის კითხვა რომ პირველად დაესვათ ჩემი შემოქმედების შესახებ, ალბათ, გამიკვირდებოდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ვიღიმები.

პრინციპში, მომხდარი რევოლუციისგან ჯერჯერობით რაც შესამჩნევად საგრძნობი გახდა ჩემთვის, არის რამოდენიმე ფაქტორი:

1. ხანდახან განათებული რუსთაველის პროსპექტის "ტყე", რომლის რაოდენობაც ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ორიოდე ცნობილი პალმა ბათუმურ ბულვარზე... ამ შეჯიბრში აჭარა საგრძნობლად დაიჯაბნა. ხოლო რუსთაველის პროსპექტის "ტყის" გაკრეჭვამ კი, ეს ქუჩა საგრძნობლად დაამსგავსა ქალაქს და გამოაჩინა მისი სილამაზე.

2. მარიხუანას ლეგალიზაციაზე ძლიერი "პიარ" კამპანია მასმედიის უკლებლივ ყველა საშუალებით. რა თქმა უნდა, თუ გავითვალისწინებთ ალკოჰოლის მიერ საქართველოსთვის მიყენებულ ზარალს "კრიმინალისტიკის" თვალსაზრისით, სადაც დანაშაულის, ალბათ, 90 პროცენტი ჩადენილია ალკოჰოლის ზეგავლენით, მარიხუანის შემოღება ჩვენს საზოგადოებას, ალბათ, უფრო რაფინირებულს და სასიამოვნოს გახდის; აგრესიულ ლოთს მიმტევებელი დაბოლებული შეცვლის, მარად სიმართლის მამტკიცებელ აგრესორს - მომსმენი და ანალიტიკური პიროვნება და ა.შ.

3. მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული ენერგოკრიზისისა, ქალაქი ღამით აღარ ემწყვდევა ჯოჯოხეთურ, სასოწარკვეთილ და ნერვოზულ წყვდიადში, სადაც სიცოცხლე უცებ წყდება და ირთვება თვითგადარჩენის ინსტინქტი და შიში - "და ეხლა რა მოხდება?"

ქართულ შოუბიზნესის ვარსკვლავებს კი გენერატორის ხმაურში და დიზელის სუნში აღარ უწევთ თავიანთი ფონოგრამების ჩართვა და ამ უბედურების ავტორების, მათი უდიდებულესობა "კორუპციის მამების" და მათი ამალის გამხიარულება. ხოლო ხელმომჭირნე ოჯახებს, ვისი ბიუჯეტიც თბილისური ღამის ცხოვრებით დატკბობის და ქართველი ვარსკვლავების კონცერტებზე შალახოს ცეკვით გულის გადაყოლების უფლებას ვერ იძლევა - ასეთ მოქალაქეებს და მათი ოჯახის წევრებს ღამით, გარანტირებული, უწყვეტი დენი საშუალებას აძლევს ტელევიზორით, შორიდან მაინც ადევნონ თვალი მათ გვერდზე მიმავალ ცხოვრებას.

ყველაფერი დასავლური სცენარით მიდიოდა ახალ წლამდე, სანამ შემოქმედებაში დარჩენილი ცკ-ს მდივნების მიერ მასიურად დადგმული შოუ-ღონისძიებები არ გაიმართებოდა ისევ იგივე შემართებით, ისევ იგივე სახეებით და ისევ იგივე სცენარით. მაგრამ სადღაც მესმის მათი; ალბათ, ასე უფრო უკეთესია ვიდრე სულ არაფერი, თანაც ყველას ერთად ხომ ვერ დაიჭერ. თუ უხარია ხალხს, გვიხარია ჩვენც... საშუალებები კი ხომ ყოველთვის ამართლებს მიზანს.

და აი, მესამე ღონისძება კი, სათაურით, "ჩვენი პრეზიდენტის ინაუგურაცია", ანუ "სახლი ახალ უბანში", სანახაობრივად ყველაზე გრანდიოზული და მასშტაბური მოვლენა იყო ქართულ შოუბიზნესში, ანუ ჩვენი ახალი ეპოქის ისტორიაში. სამწუხაროდ, წინა ღამით ერთმა ახალმა გაცნობილმა სასიამოვნო ნიუ იორკელმა გოგონამ, სახელად ჰეთერმა, სულ დამავიწყა ამის შესახებ და გამიტაცა დილის 6:00 საათამდე არანაკლებ საკაიფო და ერთადერთ შემოქმედებით და დემოკრატიულ კლუბ "ლიფტში". მე კი, ჯერ ვერ გადავეჩვიე ქალაქის უკლებლივ ყველა სტუმრისთვის მაქსიმალურად ქართული სტუმართ-მასპინძლობის ინსტიტუტით თავმოწონებას, ქართველი მასპინძლის ღირსშესანიშნაობის მაქსიმალური დემონსტრირებით.

ასე რომ, ჩვენი პრეზიდენტის "ინაუგურაციიდან" მხოლოდ ის მომენტი მახსოვს, როცა მე, ისევ ათი ათასობით მოღიმარი ადამიანის საპირისპირო მიმართულებით, "პახმელიაზე", ლუდის ბოთლით ხელში, რომ მივიკვლევდი გზას სახლისკენ. თქვეს, შვეულმფრენიდან ვარდებიც გადმოუყრიათო. ალბათ, შთამბეჭდავი იქნებოდა არა?!

მე კი ამ ქვეყანაზე ჩემი არსებობის 39 წლის მანძილზე პირველად ვიგრძენი ერთი რამ, პირველად მივხვდი სიტყვების - "დემოკრატია" და "ჩემი ქვეყნის დროშა" - მნიშვნელობას; კერძოდ იმას, რომ ტანზანიელებივით ჩემთვის უცხო მთავრობა და მუდამ ჭუჭყიანი და გასარეცხი, უხასიათო დროშა ნათელმა ფერებმა და ჩემთვის გასაგებმა და ევროპაზე ორიენტირებულმა ადამიანებმა რომ შეცვალა. ალბათ, უკეთესად გამომივა რომ ვთქვა;

ახალმა წელმა კი ისევ იმ ძველი ბავშვური კითხვის ქვეშ ჩაიარა:

- რატომ არის ქართველი თოვლის ბაბუა ხანჯლით და ასეთი მოღუშული, მკაცრი და ნაღვლიანი, თუნდაც ამ ახალი წლის ღამეს, ხოლო უცხოური სანტა კლაუსი უხანჯლოდ და ასეთი კეთილი, ბედნიერი და მხიარული, ქართველი "ცისფერივით" (გეისავით) და რატომ აცვია ქართველ თოვლის ბებიას ამ სიგრძე კაბა, რატომ არის ის ასეთი მოხუცი, ნატანჯი და ნაწვალები, ხოლო მისი უცხოური ანალოგი კი ასეთი სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა, სექსუალური, ენერგიული, მოკლე კაბაში და "დაჟე" ციგურაობაც კი ეხერხება, ანუ ისეთი ბედნიერი და მხიარული, როგორც საქართველოში მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, "ბოზებს" რომ ეძახიან...

ეხლა კი ტრადიციული ანეკდოტის დროც დადგა და მეც ამით გემშვიდობებით, მომავალ შეხვედრამდე:

ჩინელი ეკითხება ქართველს:

- რამდენი მილიონი კაცი ცხოვრობს თქვენს ქვეყანაში?

ქართველი მცირე ფიქრის შემდეგ პასუხობს:

- სადღაც, ოთხ მილიონამდე დარჩა!!!

აღფრთოვანებული ჩინელი მიმართავს მოსაუბრეს:

- აუ, როგორ ასწორებს, ალბათ, ყველა ერთმანეთს იცნობთ არა???

*გაგრძელება იქნება*

ელ-ფოსტა:ladoart@yahoo.com
http://lado.art.ge

ფეხბურთი

# ლერი სულაბერიძე: "მიშელთან მოლაპარაკებებს ჟორდანია დაუსვამს წერტილს"

სფფ-ს პრეზიდენტი მუშაობას შეუდგა

აკა ტონია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია უკვე გამოჯანმრთელდა და თავის სამუშაო ადგილსაც დაუბრუნდა. მის არყოფნაში ბევრი საქმე დაგროვდა, პირველ ყოვლისა, ჩვენი ნაკრების სათავეში ანრი მიშელის მოსვლის საკითხი. მიშელთან მოლაპარაკებებს სფფ ჟორდანიას პატიმრობის პერიოდშიც აწარმოებდა. მიშელი საქართველოში მუშაობაზე თანახმაა, თუმცა, კონტრაქტის გაფორმებამდე ჟორდანიას გათავისუფლებას ელოდა. ახლა პრეზიდენტი თავისუფალია და მიშელთან მოლაპარაკებებს სწორედ ის დაასრულებს.

ჟორდანიას არყოფნისას ნაკრების მწვრთნელის საკითხებზე სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი, ლერი სულაბერიძე ზრუნავდა. "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში სულაბერიძე აცხადებს, რომ ჟორდანიას გათავისუფლების შესახებ უკვე აცნობეს ანრი მიშელს. ფრანგ მწვრთნელთან მოლაპარაკებები უახლოეს ხანებში უნდა დასრულდეს. სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, პრეზიდენტის პატიმრობამ ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კარგ რეპუტაციაზე საერთაშორისო ფედერაციებში.



ლერი სულაბერიძე: "უცხოელი მწვრთნელი ყოველთვის პრიორიტეტი იყო ჩვენთვის".

**- მერაბ ჟორდანია თავისუფალია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქართველ გულშემატკივარს უნდა ჰქონდეს ანრი მიშელის ჩამოსვლის იმედი?**

- მიშელთან მოლაპარაკებებს ჟორდანიას პატიმრობის პერიოდშიც განვაგრძობდით. თბილისში მიშელის ვიზიტისას, ფაქტობრივად, ყველაფერზე მოვრიგდით. მაგრამ მან გვთხოვა, ჟორდანიას გათავისუფლებამდე მოგვეცადა. დღეს საღამოს გვეცოდინება, თუ როდის ჩამოვა თბილისში მიშელის აგენტი. გუშინ ვესაუბრე ბაირამ თუთუმლუს. მან მითხრა, რომ თვითმფრინავის ბილეთს აიღებს და გვეტყვის, როდის ჩამოვა თბილისში. სწორედ ამის შემდეგ დავამთავრებთ მიშელთან მოლაპარაკებებს.

**- და ეს საკითხი დადებითად გადაწყდება?**

- ერთადერთი ხელშემშლელი მიზეზი მერაბ ჟორდანიას პატიმრობა გახლდათ. ყველა დანარჩენ საკითხში მიშელთან უკვე შევთანხმდით. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ არაფერი შეცვლილა. ჟორდანია თავის სამუშაო ადგილს დაუბრუნდა, მიშელთან შეთანხმება კი ძალაშია. ბატონი თუთუმლუ ჩამოვა და მოლაპარაკებებსაც დავასრულებთ.

**- ჟორდანიას პატიმრობისას გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს სფფ-ს პრეზიდენტის დაკავების გამო უცხოელი მწვრთნელის საკითხი ჩაიშალა და ნაკრების სათავეში კვლავ ქართველი ან საქართველოში მოღვაწე უცხოელი სპეციალისტი უნდა დანიშნულიყო.**

- მერაბ ჟორდანიას ასეთი პოზიცია არ ეკავა. სწორედ მისი პატიმრობის პერიოდში დამევალა ანრი მიშელთან მოლაპარაკებების გაგრძელება და ეს მოლაპარაკებები შედგა კიდეც. ნაკრების მწვრთნელად ქართველი სპეციალისტის დანიშვნის საკითხი ჟორდანიას საერთოდ არ განუხილავს.

**- რა მოხდებოდა, ჟორდანია რომ არ გაეთავისუფლებინათ? ვინ მოვიდოდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე?**

- როგორც არ უნდა წარმართულიყო მოვლენები, ნაკრებში აუცილებლად უცხოელი მწვრთნელის მოწვევაზე უნდა გვეფიქრა. ჩემი აზრით, ამ ამოცანას ნებისმიერ შემთხვევაში გავართმევდით თავს. როგორც უკვე გითხარით, ეს თავად ჟორდანიას გადაწყვეტილებაც იყო. ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. პარალელურად რომელიმე კლუბში დაკავებული მწვრთნელი ნაკრებს არ გამოადგება. თავის დროზე ამის გამო შუშაკსაც შეექმნა პრობლემები, რის შემდეგაც ნაკრებში მის მოღვაწეობაზე "დინამო" აღარ დათანხმდა. საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელი მთლიანად ნაკრებზე უნდა იყოს კონცენტრირებული. მას უნდა ჰქონდეს იმის დრო, რომ ლეგიონერების თამაშს დააკვირდეს, თვალს უნდა ადევნებდეს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს.

**- უცხოელ მწვრთნელს შესაბამისი ფინანსებიც სჭირდება. გაწვდება კი ფედერაცია მიშელის ფინანსურ უზრუნველყოფას?**

- ნაკრების გენერალური სპონსორია კომპანია "ყაზბეგი". სხვა კომპანიებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ახლა მათ ვინაობას ვერ დაგისახელებთ, თუმცა, გეტყვით, რომ ნაკრების სპონსორობით, "ყაზბეგის" გარდა, სხვა კომპანიებიც არიან დაინტერესებული. დამატებითი სპონსორების მოძიებაში თავად "ყაზბეგი" და ბატონი გოგი თოფაძე გვეხმარებიან.

**- გამოდის, რომ ფედერაციას უცხოელი მწვრთნელის დაფინანსება შეუძლია?**

- ჩვენს ნაკრებში მაღალი დონის უცხოელი სპეციალისტის დანიშვნა იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მის გადასაწყვეტად. ფედერაცია მიშელის ფინანსურ უზრუნველყოფას შეძლებს.

**- მიშელთან შეხვედრისას შეეხეთ თუ არა ფინანსურ საკითხებს? რა სახის კონტრაქტზეა საუბარი?**

- კონტრაქტი მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელ მთელ ციკლს მოიცავს. ფინანსურ საკითხებზეც ვისაუბრეთ. ფიქსირებულ ხელფასს გადავუხდით და შესარჩევი ციკლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სოლიდურ პრემიას შევპირდებით. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, საბოლოო მოლაპარაკებებს ფედერაციის პრეზიდენტი გამართავს და ფინანსურ საკითხებს სწორედ ის შეათანხმებს. თუ თავად მწვრთნელი ამის წინააღმდეგი არ იქნება, მისი დაფინანსების საკითხებს არავის დავუმალავთ. ფედერაციას უნდა, რომ ამ საქმეში მაქსიმალური გამჭვირვალეობა იყოს.

**- ფედერაციის გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია კიევშია, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩების კალენდარზე უნდა შეთანხმდნენ...**

- განხილვისას ქართული მხარე მაქსიმალურად შეეცდება საკუთარი ინტერესების დაცვას. ანრი მიშელმა უკვე გაგვიზიარა, თუ როგორი კალენდარი იქნებოდა ჩვენთვის ხელსაყრელი.

**- წარმოვიდგინოთ, რომ მიშელი ნაკრების თავკაცად დაინიშნა და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებას ვერ მიაღწია. შესაძლებელია თუ არა, რომ რეალური შედეგის მისაღწევად მიშელს დრო მისცეთ და ერთი წლის შემდეგ კონტრაქტი მაინც გაუგრძელოთ?**

- ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. საერთოდ, მწვრთნელის მიერ გაწეულ სამუშაოს მისი შედეგებით აფასებენ. ანრი მიშელმა წარმატებული კარიერა განვლო და აქამდე არაერთ გამარჯვებას მიაღწია. იმედი მაქვს, მნიშვნელოვან გამარჯვებებს ის საქართველოს ნაკრებშიც მიაღწევს.

**- რამდენიმე დღის წინათ "დინამომ" მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა...**

- ვსარგებლობ შესაძლებლობით და "დინამოს" ვულოცავ თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის მოპოვებას. ეს გამარჯვება მთელ ქართულ ფეხბურთს ეკუთვნის და, ვფიქრობ, ამაში საქართველოს პროფესიული ლიგის დამსახურებაცაა. თანამეგობრობის ტურნირი მომავალ წელს აღარ გაიმართება და მისი უკანასკნელი გამარჯვებული თბილისის "დინამო" იქნება, თუმცა, შესაძლოა, გეგმები შეიცვალოს. გვინდა, რომ ამ ტურნირის გამართვა საქართველომ ითავოს და თანამეგობრობის თასი ამიერიდან თბილისში ჩავატაროთ. ჩვენი კლიმატური პირობები მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ტურნირი ღია სტადიონზე გავმართოთ. ასეთ შემთხვევაში, გუნდები, რომლებიც თანამეგობრობის თასზე აქამდე სარეზერვო გუნდებით ასპარეზობდნენ, თბილისში ძირითად შემადგენლობებს ჩამოიყვანენ. იმის გამო, რომ მოსკოვში ხელოვნურ საფარზე თამაშობდნენ, ტრავმების რისკი მაღალი იყო. ვფიქრობ, თუ მათ ნამდვილ მინდორს შევთავაზებთ, გუნდები საბრძოლო შემადგენლობით ჩამოვლენ თბილისში. თანამეგობრობის ტურნირის მასპინძლობის სურვილი უკრაინელებსაც აქვთ, თუმცა, მატჩების გამართვა მათ, რუსების მსგავსად, ხელოვნურ მოედანზე მოუწევთ. ამ საკითხზე აუცილებლად დავიწყებთ მუშაობას და შევეცდებით, რომ უკვე მომავალ ზამთარს თანამეგობრობის ტურნირს ვუმასპინძლოთ.

**- დავუბრუნდეთ ჟორდანიას დაპატიმრების ფაქტს. საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებს უკვე აცნობეთ სფფ-ის პრეზიდენტის გათავისუფლების შესახებ?**

- ცხადია, ყველა კარგად არის ინფორმირებული და მოხარულები არიან, რომ პრეზიდენტი თავის სამუშაო ადგილს დაუბრუნდა. თავად ჟორდანია გუშინ დიდხანს ესაუბრა პლატინის. მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის დაკავება უსიამოვნო ფაქტია, ამ ინციდენტმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კარგ რეპუტაციაზე მსოფლიოს საფეხბურთო ოჯახში.

# რას ერჩიან პორტუგალიას

მიკლოშ ფეჰერის სიკვდილმა ბევრ რამეს ახადა ფარდა

ნინო პირველი

გასული წლის ზაფხულში მთელი მსოფლიო შეძრა ლიონში, კონფედერაციის თასის ნახევარფინალურ მატჩში მომხდარმა ტრაგედიამ, როცა კამერუნისა და კოლუმბიის ნაკრები გუნდების შეხვედრისას აფრიკელი ფეხბურთელი მარკ ვივიენ ფოე მოედანზე წაიქცა და, ექიმების დიდი მცდელობის მიუხედავად, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. ყველა გაოგნებული და შეძრწუნებული იყო: კამერუნის ნაკრების გერმანელი თავკაცი ვინფრიდ შეფერი, ფეხბურთელები, ფიფას შეფი იოზეფ ბლატერი, რომელიც ამ მატჩს ესწრებოდა, თავად ფოეს მეუღლე და ახლობლები... ობდუქციის შემდეგ ექიმებმა ფოეს უეცარი სიკვდილი გულის შეტევას დააბრალეს. ამას ისიც დაემატა, რომ ფეხბურთელის მეუღლე ამტკიცებდა, მატჩის დაწყებამდე თავს შეუძლოდ გრძნობდა, კუჭი აწუხებდა და ექიმს თამაშის უფლება არ უნდა მიეცაო.

თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, როცა საბრალო ფოე ყველას უკვე გამოტირებული ჰყავდა და აღარავის ეგონა, თუ მოედანზე მატჩის სანახავად მისული გულშემატკივრები ისევ შეესწრებოდნენ ფეხბურთელის უეცარი სიკვდილის საშინელ წუთებს, პორტუგალიაში კიდევ ერთხელ გათამაშდა ლიონში მომხდარი ტრაგიკული სცენა. ამჯერად მიქელ-გაბრიელის სამიზნე უნგრელი ფორვარდი მიკლოშ ფეჰერი აღმოჩნდა...

## ის მხოლოდ ფეხბურთით ცხოვრობდა

კვირას, 25 იანვარს, ლისაბონის "ბენფიკას" სრულიად ჩვეულებრივი გასვლითი მატჩი ჰქონდა გიმარაეშის "ვიტორიასთან". 24 წლის მიკლოშ ფეჰერიც სრულიად ჩვეულებრივად იდგა "ბენფიკას" წინა ხაზზე და მეტოქის კარის აღებას ცდილობდა. შეხვედრის დასრულებამდე აღარაფერი რჩებოდა, როცა მსაჯმა უნგრელ ფორვარდს ყვითელი ბარათი აჩვენა. ფეჰერს გაეცინა, შემოტრიალდა და უცებ ზურგზე დაეცა, ისე რომ არავინ გაჰკარებია - არც თავისიანი და არც მეტოქე გუნდის ფეხბურთელი. ფოეს ამბავი ზუსტად გამეორდა: მოედანზე ექიმები შეცვივდნენ, ფეხბურთელები აირ-დაირივნენ, ზოგი ფეჰერისთვის დახმარების გაწევას ცდილობდა, ზოგიც სახეზე ხელებაფარებული ელოდა, რითი დასრულდებოდა ეს ყოველივე. დასასრული კი საშინელი იყო: მიკლოშ ფეჰერი გარდაიცვალა. ისე მოულოდნელად და გაურკვევლად, როგორც ფოე. თუ ექიმებმა კამერუნელის სიკვდილი გულის გადიდების ფაქტორით ახსნეს, უნგრელის შემთხვევა იმდენად უცნაური იყო, რომ ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნეს. თავდაპირველი ვერსია, თითქოს მიკლოშ ფეჰერი გულის შეტევით დაიღუპა, ობდუქციის შემდეგ უარყვეს. უნგრელ ფეხბურთელს არანაირი დაზიანება არ აღენიშნებოდა: არც შინაგანი სისხლჩაქცევები ჰქონდა, არც ტრავმები, არც გული გამხადრა მისი სიკვდილის მიზეზი... ოთხსაათიანი გამოკვლევის შემდეგ პორტუგალიელი ექიმები საოცრად დაბნეულები ჩანდნენ, აღარ იცოდნენ, რა უნდა დაესახელებინათ უნგრელი ფეხბურთელის უეცარი გარდაცვალების მიზეზად. მიკლოშ ფეჰერი ისე გადაასვენეს მშობლიურ ქალაქ დიორში და ისე მიაბარეს მიწას, ვერავინ გაიგო, რა დაემართა ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცს, რომელიც ჯანმრთელობას არასდროს უჩიოდა. ფეჰერის ოჯახმა მასმედიის წარმომადგენლებს აუკრძალა გასვენების ცერემონიალზე დასწრება, მაგრამ ფეხბურთელის სიკვდილის ფაქტი ისე სწრაფად გახმაურდა, რომ აკრძალვას აზრი აღარ ჰქონდა. ავსტრიის საზღვარზე მდებარე პატარა ქალაქი დიორი გუშინ, შუადღისას, საოცრად გამოცოცხლებული იყო. პორტუგალიიდან "ბენფიკას" 170 წარმომადგენელი ჩავიდა. უნგრეთის ნაკრების წევრებმაც პატივი მიაგეს კოლეგას. გასვენებაზე მივიდა ლოთარ მათეუსიც, რომელსაც ფეჰერის სიკვდილმა ძალიან დაწყვიტა გული. უნგრეთის ნაკრების ახალი ხელმძღვანელი ამ ნიჭიერ ფეხბურთელში გუნდის უპირობო ლიდერს ხედავდა და მისი დიდი იმედი ჰქონდა. ახლად გაჭრილ სამარესთან სიტყვა წარმოთქვეს უნგრეთის სპორტის მინისტრმა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა. "ის მხოლოდ ფეხბურთისთვის ცხოვრობდა. მისმა უეცარმა სიკვდილმა ყველა შეაძრწუნა. ჩვენ მას არასოდეს დავივიწყებთ", - თქვა სპორტის მინისტრმა ფერენც დიურჩანიმ. გერმანელი ჟურნალისტების ცნობით, მიკლოშ ფეჰერი 2004 წელს დაქორწინებას აპირებდა.



25 იანვარს მიკლოშ ფეჰერი მოედანზე გარდაიცვალა.

## გიმარაეშის საავადმყოფოში შუქი არ იყო

2004 წლის ივნისში პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. პორტუგალია ევროკავშირში კი შედის, მაგრამ ცხოვრების დონით აშკარად ბევრად ჩამორჩება ევროპის მოწინავე ქვეყნებს. აქ ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის ორგანიზება უამრავ პრობლემასთანაა დაკავშირებული. გაჭირვებით ააშენეს თუ განაახლეს სტადიონები, გარაჟები, მოაწესრიგეს გასახდელები, სასტუმროები. თუმცა, ჯერ კიდევ ყველაფერი მაინც არ არის რიგზე. ეს ფეჰერის გარდაცვალების შემდეგაც გამოჩნდა. გიმარაეში იმ ქალაქების რიცხვში შედის, სადაც ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს. ამიტომ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციისთვის დიდი დარტყმა იყო ის ფაქტი, რომ როცა ფეჰერი გიმარაეშის საავადმყოფოში მიიყვანეს, საავადმყოფოს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. "მადლობა ღმერთს, არც ერთ ავადმყოფს ხელოვნური სუნთქვა არ სჭირდებოდა. არ ვიცი, რა უნდა გვექნა ასეთ შემთხვევაში", - შენიშნა საავადმყოფოს ერთ-ერთმა ექიმმა. ჟურნალისტები იმასაც ეჭვობდნენ, რომ "ვიტორიას" სტადიონზე პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი არანაირი მოწყობილება არ ჰქონდათ, თუმცა, ადგილობრივი მომსახურე პერსონალი ამ ფაქტს უარყოფს. "ჩვენ თვით დეფიბრილატორიც კი გვაქვს, რომლითაც ხელოვნური სუნთქვის ჩატარებაა შესაძლებელი, მაგრამ ფეჰერის შემთხვევაში ამ აპარატის გამოყენება დაუშვებელი იყო, რადგან იმ დღეს საშინლად წვიმდა. წვიმაში მისი ჩართვა კი იგივე იქნებოდა, ვინმეს აბაზანაში თმის საშრობის გამოყენება რომ მოესურვებინა", - თქვა "ვიტორიას" ექიმმა. საერთოდ, გიმარაეშელ ექიმებს გაუმართლათ - ფეჰერის სიკვდილს მათ არავინ აბრალებს. "ივნისამდე ყველა საავადმყოფო მზად იქნება ევროპის ჩემპიონატისთვის", - ირწმუნება პორტუგალიის ჯანდაცვის მინისტრი ლუიშ ფილიპე პერეირა.

ახლა უკვე უეფა ცდილობს მიკლოშ ფეჰერის გარდაცვალების მიზეზის დადგენას. უეფას ახალი გენერალური მდივანი, შვედი ლარს კრისტერ ოლსონი ფოეს და ფეჰერის დაღუპვას გადატვირთული სათამაშო კალენდრით ხსნის. თუმცა, ამის მიუხედავად, ოლსონი არ მიიჩნევს, რომ ნაციონალურ ჩემპიონატში აუცილებელია გუნდების რაოდენობის შემცირება. არც ტაიმებს შორის შესვენების გაზრდაზეა თანახმა, რასაც ბუნდესლიგის კლუბები ითხოვდნენ. ოლსონი, საერთოდ, საკმაოდ მშვიდი და გულარხეინი პიროვნებაა. იმ დროს, როცა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟილბერტო მადაილი გაცოფებული იყო და ზოგიერთ ქალაქს ემუქრებოდა, თუ ყველაფერს არ მოაგვარებთ, ევროპის ჩემპიონატის მატჩებს სხვაგან ჩავატარებთო, ოლსონი დინჯად აცხადებდა, ნუ გეშინიათ, ყველაფერი მოგვარდებაო. ახლა უკვე ჟილბერტო მადაილიც იმედიანადაა და ყველას არწმუნებს, რომ ივნისში პორტუგალიაში არანაირი პრობლემა აღარ იარსებებს.

ჩოგბურთი

# რეალობად ქცეული საოცრება თუ კანონზომიერება?

ბიგა ბურასაშვილი

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მონაწილეთა ბადე სულ უფრო შემჭიდროვდა. ქალებში ფინალისტები გამოვლინდნენ, ვაჟებში - ნახევარფინალისტები. ქალებში, უკვე მერამდენედ, ბელგიური ფინალი გველის. ვაჟებში საინტერესო გამოდგა მარატ საფინისა და ანდრე აგასის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. სახელებსაც რომ შევეშვათ, ნახევარფინალური დაპირისპირებები, მით უმეტეს, დიდი სლემის ტურნირზე, ისედაც დაძაბული უნდა გამომდგარიყო.

ავსტრალიის მთავარი ტიტულის მეხუთედ დაუფლების მოსურნე ამერიკელი კორტზე გასვლამდე თითქოს შეფიქრიანებულიც ჩანდა - ზორბა რუსის სახით აგასის სერიოზეული მეტოქე ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ხოტორა ლასვეგასელი თამაშის სტრატეგიათა ნაირფეროვნებით გამოირჩევა და მეტოქეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის არაერთ მეთოდს ფლობს, ამჯერად თავად მოექცა წნეხის ქვეშ. ბუნებრივიცაა: ტიტულოვანი ამერიკელისგან ყოველთვის გამარჯვებას მოელიან. მით უმეტეს, რომ ტურნირის ფავორიტად მიაჩნდათ და მოქმედ ჩემპიონად იყო განთესილი. აგასი, მართლაც, ახლო იყო გამარჯვებასთან, მაგრამ...

როგორც უნდა იყოს, ამერიკელი რუს მეტოქეზე წუხდა და არცთუ უმიზეზოდ. საქმე ისაა, რომ საფინი, რომელიც ასევე თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავია, ახლა აღმავლობის გზაზე დგას. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ამერიკელმაც, რადგან ასეთ ფორმაში მყოფი საფინის დამუხრუჭება თითქმის შეუძლებელია. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ კორტზე გასვლამდე რუს მეტოქეზე ფრთხილად საუბრობდა: "მას კარგი მოწოდება აქვს, ეს კი ძალზე მაღელვებს. თანაც, ხუთიექვსი ფუტია (1.96მ.) სიმაღლეში. ამგვარი ფაქტორები კი ყოველთვის საყურადღებოა. მისი დამანგრეველი ფორჰენდიც ისევე მადარდებს, როგორც ბექჰენდი. ერთი სიტყვით, შეუძლია, ბურთები ორივე მიმართულებით ბომბებივით ყაროს".

და მაინც, გარკვეული ფსონები აგასის წარმატებაზე მიუთითებდა. თუ აგასი ნახევარფინალისკენ გზას მეტ-ნაკლებად იოლად იკაფავდა, საფინს ამისთვის ორმაგი ძალისხმევა სჭირდებოდა. ანუ, მაშინ, როდესაც ამერიკელმა რუსთან შესახვედრად მეოთხედფინალში ფრანგ სებასტიან გროსჟანთან 14-ზე ნაკლები სეტი ითამაშა, საფინს ენდი როდიკთან 22 სეტი და კორტის ერთი მხრიდან მეორეში სამსაათნახევრიანი რბენა დასჭირდა. თუ აგასის გროსჟანმა ხონჩით მიართვა ნახევარფინალის საგზური (მეორე სეტში ტრავმის გამო ბრძოლა შეწყვიტა), საფინმა კერკეტი როდიკის გამოსათიშად მარათონული ხუთი სეტი იბრძოლა.



REUTERS

საფინმა ტურნირს თვით აგასი გამოთიშა.

ასე რომ, კორტის ერთ მხარეს შედარებით დასვენებული აგასი იდგა, მეორე მხარეს - არაქათგამოცლილი საფინი.

"აგასის დამარცხების შანსი რომ მქონდეს, მის წინააღმდეგ განახლებული ენერგიით უნდა გავიდე, რადგან მას იმის ნახევარიც არ გაუტარებია კორტზე, რაც მე", - ამერიკელთან მატჩამდე აცხადებდა რუსი.

და კიდევ: ზორბა რუსს ისიც უშლიდა ხელს, რომ ნახევარი წელიწადი არ უთამაშია. ეს ისე, თორემ მან საკუთარი სიძლიერე ენდი როდიკთან ორთაბრძოლაში უკვე დაამტკიცა. რაც შეეხება რუსის ნახევარწლიან პაუზას, მას შარშანდელ ავსტრალიის ღია პირველობასთან მივყავართ. მართალია, ბარსელონისა და ლოს ანჯელესის ტურნირებზე მოიმარჯვა ჩოგანი, მაგრამ ორივეგან ტრავმების გამო წყვეტდა მატჩებს. მიუხედავად ამისა, სპეციალისტთა ერთი ნაწილი აგასისთან (და არა მარტო მასთან) რუსს უწინასწარმეტყველებდა წარმატებას.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მელბურნ-პარკის ცენტრალურ კორტზე პირველობის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი შედგა.

საწყისი ორი სეტი თანაბრად მიმდინარეობდა. ორივე ჩოგბურთელი თითქმის ყოველთვის ახერხებდა საკუთარი მოწოდების შენარჩუნებას, რაც შემდგომ ტაი-ბრეიკებმადე მიდიოდა. პარიტეტი მესამე სეტშიც შეინარჩუნეს, ოღონდ მე-12 გეიმამდე, როდესაც ამერიკელმა საფინის მოწოდება მოიგერია და მისთვის დამღუპველი ტაი-ბრეიკიდან თავი დაიძვრინა. რაც შეეხება მეოთხე სეტს, აქ საფინი ერთთავად აირია, ემოციებს აჰყვა, პირველი მოწოდება არ მისდიოდა. შედეგად, მოგებული ორი სეტის შემდეგ უპირატესობა აგასის გადაულოცა. რუსის დაბნეულობით კარგად ისარგებლა გამოცდილმა ამერიკელმა და ინიციატივა თავად იგდო ხელთ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს საფინი ვეღარ შეძლებდა, მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა, თუმცა, წაგებული ორი სეტის შემდეგ ემოციები მოთოკა და ისე დაიწყო თამაში, როგორც ამას საწყის სეტებში აკეთებდა.

ცენტრალურ კორტზე რუს ფინალისტს ოვაცია გაუმართეს. დღესვე ესპანელი ხუან-კარლოს ფერეროსა და შვეიცარიელი როჟე ფედერერის მეორე ნახევარფინალურ წყვილში მარატ საფინის მეტოქე გამოვლინდება. ფინალი კვირას, 1 თებერვალს შედგება.

უკვე მერამდენედ, ბელგიური ფინალის მოწმე ვხდებით. თუ ადრე დები უილიამსების ფინალები იქცევდა ყურადღებას, ამჯერად მთავარი ჯილდოსთვის მეგობრები - ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლიისტერი იბრძოლებენ. მართალია, ბელგიელები ერთი ოჯახის წევრები არ არიან, მაგრამ მაინც ბევრი რამ აქვთ საერთო. ჩოგბურთის თამაში ერთად დაიწყეს, სასტუმრო ოთახშიც ერთად ცხოვრობდნენ, რაც მთავარია, კორტზე და მის მიღმაც დიდ პატივს სცემენ ერთმანეთს. ასე გრძელდება დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ სასწორზე მათი სპორტული კარიერა დევს. თუმცა, ჯერჯერობით, ბედი ენინ-არდენს უფრო სწყალობს. რა თქმა უნდა, კორტზე. შარშან ორივემ დიდი სლემის ყველა ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა – ესეც ერთგვარი მსგავსებაა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, წარმატებები ჟუსტინის მხარესაა. ჯერ იყო და, კიმ კლიისტერსს "როლან გაროსზე" არ დაანება ჩემპიონობა. მერე აშშ-ის ღია პირველობაზეც იგივე გააკეთა. თუმცა, ავსტრალიის ღია ჩემპიონატს ბელგიური ფინალი ჯერ არ უნახავს. ახლა ესეც შესაძლებელია. მხოლოდ ისღაა საკითხავი, შეძლებს თუ არა ჟუსტინი, დიდი სლემის მესამე ფინალშიც დაამარცხოს კლიისტერსი. მანამდე კი იმაზე ვთქვათ, თუ როგორ გაიკვლიეს გზა ფინალებისკენ. რაკი მელბურნში მთელი დღის განმავლობაში წვიმდა, ნახევარფინალისტთა წყვილებს (ჟუსტინ ენინ-არდენი - ფაბიოლა სულუაგა, კიმ კლიისტერსი - პატი შნაიდერი) "როდ ლეივერის" გადახურულ კორტზე უხმეს.

ორი სიტყვა ენინ-არდენისა და სულუაგას დაპირისპიერბაზე. ბელგიელმა შანსი არ დაუტოვა სამხრეთამერიკელ ჩოგბურთელს, რომლის ნახევარფინალში გასვლა ბევრისთვის, მართლაც, მოულოდნელობა იყო. თავიდანვე აშკარა გახდა, რომ ჟუსტინი მეტოქეს გასაქანს არ მისცემდა, რაც ანგარიშზეც აისახა – 6:2, 6:2. სულუაგას ერთადერთ ნუგეშად ის თუ დარჩება, რომ მან, კოლუმბიელთაგან პირველმა, შეძლო დიდი სლემის ნახევარფინალში გაღწევა.

დიდი ომი არც კლიისტერს გადახდომია თავს. ბელგიელმა შვეიცარიელი შნაიდერი ისეთივე ანგარიშით გაუშვა კორტიდან, როგორც რუსი ანასტასია მისკინა მეოთხედფინალურ დაპირისპირებაში – 6:2, 7:6.

"ჩემს კარიერაში კიდევ ერთი ბრწყინვალე მომენტი დგება, - აცხადებს ენინ-არდენი. – ხალხი კვლავინდებურად ახმაურდება – ისევ ბელგიური ფინალის ჟერი დგება, რაც უდიდესი მიღწევაა პატარა ქვეყნისთვის. ჩემთვის და კიმისთვის ეს უკვე ნაცნობი სიტუაციაა და მას სულ უფრო მეტად ვეჩვევით".

ზემოთ დები უილიამსები ვახსენეთ და არცთუ უმიზეზოდ. შარშანდელი ფინალიც ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა - ამერიკელმა დებმა ითამაშეს.

ფეხბურთი

# მუდამ ფერგიუსონი

## ფერგიუსონმა "მანჩესტერთან" კონტრაქტი გააგრძელა



ფერგიუსონი "ოლდ ტრაფორდზე" 2006 წლამდე დარჩება.

პაატა თოთაძე

მიუხედავად იმისა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი აქციონერები სერ ალექს ფერგიუსონის წინააღმდეგნი არიან, კლუბის დირექტორატმა შოტლანდიელ მწვრთნელთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ძალაში შედის 2005 წლის ივნისიდან, ანუ იმ დროიდან, როცა მწვრთნელს ამჟამად მოქმედი კონტრაქტი უმთავრდება.

"მანჩესტერისა" და ფერგიუსონის კავშირი 1986 წელს დაიწყო. ასე რომ, ახალი კონტრაქტით ის სულ მალე გახდება მწვრთნელი, რომელიც ერთსა და იმავე გუნდს 20 წლის განმავლობაში უდგას სათავეში. მისი განცხადებით, ახალი კონტრაქტი მას მეტ თავისუფლებას აძლევს, რაც, თავის მხრივ, შემადგენლობის გაძლიერების მეტ საშუალებას იძლევა. ფერგიუსონის ასეთი განცხადების მიუხედავად, ინგლისელი მიმომხილველების აზრით, ახალი კონტრაქტი ფერგიუსონის გამარჯვება კი არა, დამარცხებაა.

ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მწვრთნელსა და კლუბის ძირითად აქციონერებს შორის გამძაფრებული ურთიერთობა. მოლაპარაკებები ფერგიუსონსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე დაახლოებით ნახევარ წელიწადს მიმდინარეობდა. ახალ კონტრაქტზე ორი თვის წინათ უნდა მოეწერათ ხელი, თუმცა, მიზეზთა გამო ამ დრომდე ვერ მოხერხდა. საქმე ისაა, რომ კონტრაქტის თავდაპირველი ვარიანტით ფერგიუსონი კლუბში კიდევ ოთხი წლით, ანუ 2009 წლამდე უნდა დარჩენილიყო. ამ დროს საქმეში ჩაერთვნენ კლუბის ირლანდიელი აქციონერები, ჯონ მანიერი და ჯეი პი მაკმანუსი. ირლანდიელთა კომპანია "Cubic Expression" ინგლისური საფეხბურთო გიგანტის აქციათა ყველაზე დიდ პაკეტს – 25 %-ს ფლობს. იმის გამო, რომ ირლანდიელები აქციების რაოდენობას წლიდან წლამდე ზრდიან, იზრდება მათი გავლენა კლუბის ხელმძღვანელობაზე.

პირველი კონფლიქტი ფერგიუსონსა და მანიერს შორის ორი წლის წინათ მოხდა. ცხენოსნობის მოყვარულთა ჩხუბის მიზეზი კი გახდა ცხენი, რომელზეც ორივე აცხადებდა პრეტენზიას. ვითარება ისე დაიძაბა, რომ მხარეებმა გადაწყვიტეს, სიმართლე სასამართლოს ჩარევით დაედგინათ. წარმოიდგინეთ, სასამართლო დღესაც გრძელდება. ამის შემდეგ იყო ირლანდიელთა უკმაყოფილება ფერგიუსონის სატრანსფერო პოლიტიკის გამო. და აი, სულ ახლახან ირლანდიელებმა კიდევ ერთხელ დაიჩივლეს - ფერგიუსონის სატრანსფერო პოლიტიკაში მისი შვილიც ურევია და ოჯახს ამ საქმიდან პროცენტები რჩებაო. ამ ყოველივეს ფონზე სულაც არაა გასაკვირი, რომ მანიერმა და მაკმანუსმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: ინტერესთა კონფლიქტია და თუ ფერგიუსონს მრავალწლიან კონტრაქტს გაუფორმებთ, აქციონერთა შეკრებას მოვაწყობთო და...

გუშინ "მანჩესტერის" აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილიმ განაცხადა, რომ ერთწლიანმა კონტრაქტმა ყველა მხარე დააკმაყოფილა. ასე რომ, მწვრთნელს, კლუბის ხელმძღვანელობასა და აქციონერებს შორის არავითარი გაუგებრობა აღარ არსებობს. "ის დიდი მწვრთნელია. ამას მის მიერ ნაჩვენები შედეგები მოწმობს. ვერ გამიგია, ასეთი შედეგების შემდეგ რატომ უნდა ვეძებოთ სხვა მწვრთნელი? მას შეუძლია ევროპული და მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალების დაპყრობა. ჩვენ კი ხელი უნდა შევუწყოთ", - ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა გილიმ.

რაგბი

# სამი დღის წინ დაფარული დღეს გაცხადდება

## საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი დღეს მედიას შეხვდება და დაპირებულ განცხადებას გააკეთებს

პაატა თოთაძე

"ბევრი რამ მაქვს მოსაფიქრებელი. დღეს დავჯდები ჩემს მეგობრებთან ერთად, ყველაფერს გადავწვეტ და ორ-სამ დღეში სახალხოდ მოგახსენებთ, თუ რას ვაპირებ", - ბიძინა გეგიძის ამ სიტყვების შემდეგ დაიშალა ორშაბათს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში რაგბის კავშირის ყრილობაზე შეკრებილი საზოგადოება.

რა უნდა გადაწყვიტოს და თქვას გეგიძემ, ან რა გახდა იმის მიზეზი, რომ ასეთი განცხადება გააკეთა? პირველ კითხვაზე პასუხს დღეს მივიღებთ. შეპირებული ორი-სამი დღე გავიდა, დღის ორ საათზე რაგბის კავშირის პრეზიდენტი მედიის წარმომადგენლებს ხვდება და დაპირებულ განცხადებასაც გააკეთებს. პირველიდან გამომდინარე კი, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც პასუხი გაეცემა მეორე კითხვას.

ბევრი ამბობს, კავშირის პრეზიდენტი სათუო გამარჯვებამ არ დააკამაყოფილა და განცხადების გაკეთებაც ამიტომ გადაწყვიტაო. იმასაც ამბობენ, პრეზიდენტი გადადგომას აპირებსო. ამ ვარაუდს სხვა წრეშიც გაიგონებთ, თუმცა, მიზეზად სხვა ფაქტორები მოაქვთ: პრეზიდენტზე რაღაც ვიცით. ჰოდა, იმიტომაც გადადგება, რომ არ გავახმაუროთო. ახლა სხვა მხარე რას ამბობს? ბიძინა გეგიძის თქმით, მოა-



დღეს გეგიძე თავის სათქმელს იტყვის.

ხლოებულ ერთა თასზე და ჭაბუკთა მსოფლიო თასზე წარმატებით გამოსასვლელად ნაკრებებს დახმარება სჭირდება. ჰოდა, ამაზე ვინ უნდა იზრუნოს, თუ არა პრეზიდენტმა? გამოდის, რომ ის გადადგომას არ აპირებს. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ გეგიძეს საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს თანამდებობიდან წასვლა. სიმართლესთან ყველაზე ახლოსაც სწორედ ისაა. ორშაბათს გამართულ ყრილობაზე გადაწყდა, რომ მომავალი, რიგგარეშე ყრილობა მაისში ჩატარდება. სწორედ მომავალ ყრილობაზე გაიმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები, რადგან ამ არჩევნებმა რეალური გამარჯვებული ვერ გამოავლინა – ორივე კანდიდატმა 14-14 ხმა მიიღო. ჰოდა, ბიძინა გეგიძე სწორედ მაისის არჩევნებისთვის გადადგება, ანუ მომავალ არჩევნებზე თავის კანდიდატურას აღარ დააყენებსო.

ერთი სიტყვით, დღეს ბევრი რამ გაირკვევა. ის, თუ ქართულ რაგბის ვინ უხელმძღვანელებს მომავალში და ისიც, თუ განვითარების როგორ გზას დაადგება სპორტის ეს სახეობა ჩვენში.

TV-სპორტი

### პარასკევი. 30 იანვარი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. წელი 1989. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "CHICAGO BULLS" - "NEW YORK KNICK". მე-6 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ჩელსი" – "ლაციო"
16:30 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები – ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "კრუს ასული" (მექსიკა)
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:45 სტარტზე. ლიბერტადორესის თასი
18:45 ფუტზალი. ევროპის ჩემპიონთა თასი. შედეგები
20:10 თავისუფალი დარტყმა
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "გაიტანე"!
20:45 "ექსპერტიზა"
21:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "აიაქსი" – "სელტა"
23:10 თავისუფალი დარტყმა
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" – "შალკე". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 სტარტზე. ლიბერტადორესის თასი
02:20 "ექსპერტიზა"
02:50 02:50-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "MEMPHIS GRIZZLIES" - "UTAH JAZZ". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 13:45, 17:10, 20:45 პრესცენტრი
11:15, 21:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DETROIT RED WINGS" – "NEW JERSEY DEVILS".
14:00 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ვაჟები. სწრაფდაშვება. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 "მოტოვებული კვირა"
15:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
16:00 ტაილანდური კრივი
16:15 ტაილანდური კრივი
17:25 ბოულინგი. PBA Tour ვერნონ ჰილზში. აშშ
18:15 "წყლის აკვატორია"
18:45 "ყინული და ქვა". პროგრამა კერლინგზე
19:15 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
20:15 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
22:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ვაჟები
00:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DETROIT RED WINGS" – "NEW JERSEY DEVILS". შესვენებისას (01:15) – ახალი ამბები
02:30 ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი
03:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 05:00-დან 06:25-მდე შესვენება
06:25 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ერთეულთა ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ციგები. მსოფლიო თასი
12:00 ციგები. მსოფლიო თასი
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
14:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი ათენი
15:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი იტალიაში
15:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მონაკოში
17:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
19:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
20:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
22:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
00:00 ფიტნესი. მსოფლიო ჩემპიონატი პოლონეთში
01:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. საერთაშორისო შეჯიბრება ავსტრიაში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
03:45 ახალი ამბები
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

# რამდენიმე რჩევა საქართველოს პრეზიდენტს

გაგრძელება

### შინაგან საქმეთა სამინისტრო

ეს უწყება ყველა ქვეყანაში მრავალფუნქციურია, მაგრამ სამართალდაცვით და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ჩარჩოებს, თითქმის, არსად სცილდება. კანონით ჩვენთანაც ამ უწყების ოპერატიული-სამძებრო საქმიანობა დამნაშავეობასთან ბრძოლით უნდა შემოიფარგლოს, მაგრამ რეალურად, შსს წლების მანძილზე სპეცსამსახურის მეთოდებითა და ხერხებით (აგენტურული მუშაობა, მოსმენა, თვალთვალი და ა.შ.) არა მარტო აგროვებდა ოპერატიულ ინფორმაციას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არამედ ხშირად იქ მიმდინარე პროცესების პროვოცირებასა და მართვასაც ახდენდა.

შსს-ს მიერ სპეცსამსახურის ფუნქციების კანონიერ თუ უკანონო შეთავსებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საბჭოთა კავშირში, 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, შსს ყოველთვის ითავსებდა კონტრდაზვერვით ფუნქციებს - ზოგჯერ ოფიციალურად, როცა შსს და უშიშროება (დაზვერვა და კონტრდაზვერვა) გაერთიანებულნი იყვნენ (მაგ. 1922 წელს, 1934-1941 და ბოლოს 1953-1954 წლებში), უფრო ხშირად კი არაოფიციალურად - ხელისუფლების ფარული დავალებით ან შსს-ს ხელმძღვანელების პირადი პოლიტიკური ამბიციების გამო. ამ "ნაპოლეონის კომპლექსს" თავის დროზე საბჭოთა კავშირში ბევრი მინისტრი შეეწირა (იაგოდა, ეჟოვი, ბერია, მერკულოვი, აბაკუმოვი და შჩოლოკოვი).

1965 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოში შსს-ს მინისტრად ედუარდ შევარდნაძე დაინიშნა, ეს უწყება ყოველთვის ცდილობდა პოლიტიკურ საკითხებში შეჭრას. "დამნაშავეობასთან და მექრთამეობასთან" ბრძოლის საფარქვეშ გამალებით მიმდინარეობდა ოპერატიულ-აგენტურული მუშაობა პარტიული კონკურენტების წინააღმდეგ. კომპრომატები გროვდებოდა მათ შორის საქართველოს ცკ-ს პირველ მდივან ვასილ მჟავანაძესა და მის ოჯახზე. ახალ მინისტრს არ გასჭირვებია ბრეჟნევის უახლოესი მეგობრის, საკავშირო შს მინისტრის შჩოლოკოვის კეთილგანწყობის მოპოვება და მის "ფრთებქვეშ დაბუდება". წლების მანძილზე დაგროვებულმა ტყუილმა თუ მართალმა და მოსკოვიდან შჩოლოკოვის გადამწყვეტმა მხარდაჭერამ შედეგი 1972 წელს გამოიღო. პოლიტიკურ ასპარეზზე ყველასგან მოულოდნელად დაბრუნებულმა ბატონმა ედუარდმა კონკურენტთა წინააღმდეგ ანგარიშსწორების ნაცადი იარაღი - შსს-ს ოპერატიულ-აგენტურული ძალები აამოქმედა. მილიციას საზოგადოების ყველა ფენაში და, ფაქტობრივად, ყველა ეზოში ჰყავდა აგენტურა (სანდო პირები, ფარული თანამშრომლები) და ამ "მაჩვენებლით" "კგბ"-ს ბევრად უსწრებდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული შსს-ს, შევარდნაძის პირადი ერთგულების სანაცვლოდ, მოქმედების სრული თავისუფლება მიეცა, რასაც ეს უწყება, ექს-პრეზიდენტის მმართველობის ბოლო წუთებამდე "მშვენივრად" იყენებდა. ამიტომ რა გასაკვირია, რომ შსს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებულ უწყებად ჩამოყალიბდა? ბოლო წლებში მასმედიაში ბევრი ინფორმაცია იყო პოლიციაში არსებულ კანონდარღვევებზე. კერძოდ, კორუფციაზე საკადრო დანიშვნების (რიგითი პოლიციელიდან დაწყებული მინისტრის მოადგილით დამთავრებული), დაწინაურების თუ მორიგი წოდების მინიჭების დროს. გარდა ამისა, დანაშაულის დაფარვა, ავტოგამტაცებლთა, ნარკობარონთა და ბინის მძარცველთა მფარველობა პოლიციის "სავიზიტო ბარათად" იქცა. ეს განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისიდან გახდა თვალშისაცემი, როცა უშიშროების სისტემის ყოველმხრივი (საკადრო, ფინანსური, მორალური) დაკნინების პარალელურად, რასაც, ჩვენი აზრით, მიზანმიმართულად ახორციელებდა ხელისუფლება, შსს "სასათბურე" პირობებში აგრძელებდა "ნებივრობას".

ამ უწყებას სხვა ძალოვან თუ სამართალდამცავ სტრუქტურებთან შედარებით ყველაზე დიდი ბიუჯეტი ჰქონდა და თანამშრომელთა შტატების გაზრდის მხრივაც შეუზღუდავი იყო. თავად განსაჯეთ, ბოლო ხუთი წლის მანძილზე თუ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი წლიურად საშუალოდ 35 მლნ ლარი იყო, შსს-ს ბიუჯეტი 57 მლნ ლარს აღემატებოდა (თანაც იმ ქვეყანაში, რომელიც, ფაქტობრივად, საომარ ვითარებაშია), გარდა ამისა შსს-ს ყოველწლიურად 7-9 მლნ ლარის ე.წ. "სპეც-შემოსავლებიც" ემატებოდა, რომელიც უშუალოდ მინისტრის ნებასურვილით (ალბათ ძნელი მისახვედრი არაა, თუ როგორ) იხარჯებოდა. ყველაზე საოცარი კი მაინც ის არის, რომ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში პოლიციელთა საერთო რაოდენობა აღემატებოდა თავდაცვის და უშიშროების სამინისტროების, დაზვერვის დეპარტამენტის და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის თანამშრომელთა ერთად აღებულ რაოდენობას. ხელისუფლების დიდი მცდელობის შედეგად შსს-ს სახით მივიღეთ ერთგვარი "გოძილა", რეალურად "სახელმწიფო-სახელმწიფოში", რომელიც თვითდინებაზე და "თვითდაფინანსებაზე" იყო მიშვებული. უფრო მეტიც, უახლოეს წარსულში მთლიანად ჩვენი ქვეყანაც "პოლიციური სახელმწიფო" იყო და რა გასაკვირია, რომ შსს-ს მიმართ არანაირი კონტრდაზვერვითი ღონისძიებები არ ტარდებოდა. აქედან გამომდინარე კი შსს უცხოეთის სპეცსამსახურებისათვის, ოპერატიული თვალსაზრისით, "მსუყე ლუკმა" და ძალზე იოლად "სამუშაო" უწყება იყო.

შსს კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე მეტად, პოლიტიკურ პარტიებში აგენტურული შეღწევით, ფარული მოსმენით, დამნაშავეებისა და კონტრაბანდის მფარველობით, საარჩევნო სიების გაყალბებით და მრავალი სხვა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შემასუსტებელი ოპერაციებით იყო დაკავებული. აქ თუნდაც 1998 წლის გალის ტრაგიკული მოვლენები გავიხსენოთ, როდესაც ხელისუფლებამ, როგორც იქნა, აფხაზეთის მიმართულებით რაღაც მცირე ოპერაციის მაგვარი ღონისძიება დაგეგმა და სათანადო თანხებიც კი გამოჰყო, მაგრამ ღალატის გამო, შედეგად დევნილთა ახალი ნაკადი და სამარცხვინო დამარცხება მივიღეთ. უცხოეთის სპეცსამსახურების და მათი ქართველი აგენტურის კვალი იკვეთება კოდორის ხეობაში გაერო-ს დამკვირვებლების სისტემატური გატაცებების საქმეშიც. ამ მოვლენების შეფასებისას ზოგიერთმა პარლამენტარმა და ექს-პრეზიდენტის რწმუნებულმა ერთ-ერთ რეგიონში შსს-ს ერთ-ერთი ექსმინისტრი სამშობლოს ღალატში და რუსეთის ინტერესების ფარულ გატარებაში დაადანაშაულეს. საინტერესოა, რომ მათ შეფასებას მეორე მხარის არანაირი ოფიციალური რეაგირება არ მოჰყოლია. გაერო-ს დამკვირვებლების გატაცება ისე "ჩაიფარცხა", რომ შემკვეთნი კი არა, თვით გამტაცებლებიც ვერ დაადგინეს, სამაგიეროდ ადამიანთა გატაცებების ამ ფაქტებმა საქართველოს საერთაშორისო იმიჯს მიაყენეს უდიდესი დარტყმა. გარდა ამისა, სახეზეა დიდი ეკონომიკური დანაკარგებიც, თითქმის "ჩაკვდა" ტურიზმი და ახლა თითო-ოროლა "ექსტრემალური ტურიზმის" მოყვარული რისკიანი უცხოელის იმედზეღა ვართ, რომელთაც გატაცების და გაძარცვის არ ეშინიათ. სამშობლოს ღალატი იმ მძიმე დანაშაულის კატეგორიაში გადის, რომლის გამოძიება უშიშროების სამინისტროს ქვემდებარეა. საინტერესოა, დაინტერესდნენ თუ არა ჩვენი სპეცსამსახურები გალის მოვლენების გამომწვევი მიზეზებით და რა შედეგები მიიღეს? მოხდა თუ არა მხარეებისათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა მაინც? თუ ამგვარ მოვლენებს არ აეხადა ფარდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე დაპირებები კვლავ ფიქციად დარჩება. შსს-ს რეორგანიზაცია ურთულესი, მაგრამ აუცილებლად დროულად გადასაწყვეტი პრობლემაა. ამ სისტემაში უამრავი პატრიოტი და პროფესიონალი მსახურობს. ბუნებრივია, მათაც ძალზე უჭირთ 70-80 ლარიანი ანაზღაურებით ღამეების გატეხვა და სიცოცხლის გარისკვა. იმედია, ახალი ხელმძღვანელობა ძველთა შეცდომებს გაითვალისწინებს და იმ დღესაც მალე მოვესწრებით, როცა ჩვენი პოლიციით ხალხი იამაყებს.

### თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო დანაყოფები

თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების გენშტაბის სადაზვერვო ქვედანაყოფებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლება 2003 წლის 7 მაისიდან მიენიჭათ, როდესაც პარლამენტმა შესაბამის კანონში ცვლილება შეიტანა. ეს გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ახალი სპეცსამსახურის - ერთიანი სამხედრო დაზვერვის შექმნას ნიშნავდა, რაც ექსპერტთა შორის დიდი კამათის საგანი გახდა. სამხედრო დაზვერვის მნიშვნელობა დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში საკამათო არ არის, მაგრამ მის ეფექტიანობას ფინანსური და საკადრო რესურსები განსაზღვრავენ – მისთვის, ვისაც ისინი არა აქვს, დაზვერვა სახიფათო სათამაშოს ემსგავსება.

სამხედრო დაზვერვის ძირითადი ფუნქციებია:

სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო სამეცნიერო –ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება;

ინფორმაციის პირველადი დამუშავება, ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის;

დამხმარე სამსახურების მიერ ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის პროცესების შესაბამისი უზრუნველყოფა. ინფორმაციის მოპოვება, ძირითადად, აგენტურული, ტექნიკური შეღწევის და "ღია" (სამხედრო ატაშეების მიერ) მეთოდებით ხდება.

სამხედრო დაზვერვის ერთიანი სტრუქტურის შექმნა მაშინ მოგვცემს დადებით შედეგებს, თუ უკვე არსებობს და გამართულად მოქმედებს შეიარაღებული ძალების ცალკეულ სახეობათა (სახმელეთო ჯარების, ავიაციის, საზღვაო ფლოტის და ა.შ.) დაზვერვის დანაყოფები. ერთიანმა სამხედრო დაზვერვამ სწორედ მათი ოპერატიული საქმიანობის კოორდინაცია (ინფორმაციის შეჯერება, ერთიანი სურათის შექმნა და სხვ.) უნდა მოახდინოს.

დღეისათვის მსოფლიოში სამი უძლიერესი სამხედრო დაზვერვა მოქმედებს: "გრუ"(რუსეთი), "დია"(აშშ) და "ამანი"(ისრაელი).

"გრუ" 1918 წლის 21 ოქტომბერს შეიქმნა. მისი ძირითადი ფუნქციებია: სტრატეგიული და ოპერატიული დაზვერვა; სამხედრო-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება; კოსმოსური და ელექტრონული დაზვერვა და სხვ. საინტერესოა, რომ "გრუ" "კგბ"-"ფსბ"-სთან შედარებით უფრო საიმედო და შედეგიან უწყებად ითვლება - მის რიგებში ყოველთვის უფრო ნაკლები მოღალატე იყო და თანაც მისი სადაზვერვო "პროდუქცია" უფრო ხარისხიანი იყო. "გრუ" მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის მიერ განხორციელებულ ყველა ოფიციალურ შეიარაღებულ კონფლიქტში და ფარულ სპეცოპერაციაში.

აშშ-ს სამხედრო დაზვერვა ("დია") 1961 წლის 1 ოქტომბერს შეიქმნა. სტრუქტურულად შედის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში, მაგრამ მისი დირექტორი თანამდებობრივად აშშ-ს სადაზვერვო თანამეგობრობის დირექტორს (იგივე ცსს-ს დირექტორს) ექვემდებარება. ეს უწყება ახორციელებს აშშ-ს შეიარაღებული ძალების ცალკეულ სახეობათა ჯარების დაზვერვის დანაყოფების კოორდინაციას. მისი თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ვიეტნამის, ავღანეთის, ერაყის საომარ კამპანიებში.

"ამანი" - ისრაელის სამხედრო დაზვერვის სამმართველო, 1948 წელს შეიქმნა და პირველივე დღიდან არაბულ ქვეყნებთან მიმდინარე საომარ დაპირისპირებაში ჩაერთო. შემდგომ პერიოდშიც ეს უწყება ყოველთვის საომარი კონფლიქტების თუ ფარული სპეცოპერაციების წინა ხაზზე იყო.

საქართველოში ახალი სპეცსამსახურის შექმნას ბევრი ოპონენტი ჰყავს. “მაშინ, როცა ქართული ჯარი რეალურად მშიერი და ჩაუცმელია, როცა სამხედრო ტექნიკის დიდი ნაწილი საწვავის და მარაგნაწილების უქონლობის გამო ადგილზე გვიჟანგდება, დაუფინანსებლობის გამო კი ახალ სამხედრო ტექნიკას ვერ ვიძენთ, როცა სამხედრო მზვერავი არა გვყავს, ხოლო ერთი საშუალო დონის მზვერავის მომზადებას 3-4 წელი და სულ მცირე 40-50 ათასი დოლარი სჭირდება, ეს ახალი სპეცსამსახური თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელების პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა. მათაც მოუნდათ აგენტურისა და სანდო პირების ოფიციალურად "დავერბოვკება". ალბათ, ექსპრეზიდენტმა გაითვალისწინა მათი ლტოლვა ამგვარი "ჟღარუნა და ბრჭყვიალა სათამაშოების" მიმართ და "პატარა ვუა-ვუა" მათაც აჩუქა.

რეალურად ამ დაფინანსების პირობებში და ამ კადრებით რა უნდა გააკეთონ? ვინმე "მისტერ რაგატკინს" მტრის ზურგში (გენშტაბში და სამხედრო ნაწილში) რომ ვერ შეგზავნიან (ან როგორ შეგზავნიან, როცა მზვერავი ჩვენ არა გვყავს და უცხოეთის მოქალაქის გადმოსაბირებლად 20 დოლარია გამოყოფილი?), ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ორომტრიალში "შეაგდებენ" და დაიწყებენ კოლეგებზე და პოლიტიკოსებზე კომპრომატების ქაჩვას.

ეს ახალი სტრუქტურა იქნება "ფინანსური ბერმუდის სამკუთხედი", სადაც ასი ათასობით ლარი გაუჩინარდება," - ასეთია ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

მომხრენიც და ოპონენტებიც თავისებურად მართალნი არიან და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურების გაძლიერების სურვილი ამოძრავებთ. ახლა ჯერი თავდაცვის სამინისტროს და გენშტაბის მომავალ ხელმძღვანელებზეა. მათ შესაბამისი ეფექტიანი გადაწყვეტილებებით სამხედრო დაზვერვის, როგორც ახალი სპეცსამსახურის, შექმნის მართებულობა საქმით უნდა დაამტკიცონ და ოპონენტების არგუმენტები გააბათილონ.

გაგრძელება შემდეგ პარასკევს

# რას მოგვცემს შოთა ჭიჭიაშვილის ექსტრადიცია?

ის ბავშვურად გახარებული მოლოდინი მოსკოვის მიერ ჭიჭიაშვილის გადმოცემასთან დაკავშირებით, ჩვენი სპეცსამსახურების, სულ მცირე ოპერატიული მდგომარეობის არაადეკვატურ შეფასებაზე მეტყველებს. **"აი სპეცრეისით ჩამოვაბრძანეთ და ბოლო დროის ყველა გახმაურებული გატაცებების საქმე გაიხსნება!"** - ასეთია მათი შეფასება და საზოგადოებაშიც წლობით ნანატრი სიმართლის გარკვევის იმედი ილვიძებს. მაგრამ ამავე დროს ეს ყველაფერი ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს წააგავს და თანდათან იმ სპექტაკლებს ემსგავსება, რომელთა უფასოდ ხილვის "ბედნიერებაც" ბოლო ორისამი წლის მანძილზე გვქონდა (არაბი ბიზნესმენის განთავისუფლება "დიდი ბრძოლების შემდეგ" და თავქუდმოგლეჯილი გამგზავრება, ანტიკვარიატის მოყვარული ესპანელი ბიზნესმენების საოცარი თავგადასავალი საქართველოში და კვლავ უცაბედი გამგზავრება, პიტერ შოუს "შოუ" და ისევ გაქცევა სამშობლოში, ახლა ბატონი მაღლაკელიძის განთავისუფლების ამაღელვებელი სცენა და კვლავ სპეცსამსახურების ხელმძღვანელების დაპირებები და ჰაერში მუშტების ქნევა - "აღარა კმარა?"). თუ ეს გატაცებები "ოპერაცია - წინასწარ დაგეგმილი დინამიკური ქაოსის" შემადგენელი ნაწილია, როგორც ამას სპეცსამსახურებში ამტკიცებენ, მაშინ "მგეგმავი" და "შემკვეთი" ვინ არის? ის ხომ არა, ვისგანაც ჭიჭიაშვილის გადმოცემას ველოდით?


შოთა ჭიჭიაშვილი

თუ ჭიჭიაშვილი "ოპერაცია - წინასწარ დაგეგმილი დინამიკური ქაოსის" ერთ-ერთი შემსრულებელი და აქედან გამომდინარე ამ სპეცსამსახურის აგენტია, მაშინ მისი ჩვენებებიც ხომ ამ ქაოსის გაძლიერებას დაისახავს მიზნად? რომელ მიამიტს ჰგონია, რომ ის კოლეგა-აგენტებს გაგვიშიფრავს?

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ არ არსებობენ მეგობარი სპეცსამსახურები, არსებობენ მხოლოდ მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურები, რომლებიც თავისი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიიდან გამომდინარე პოლიტიკური ხელმძღვანელობის დავალებებს ასრულებენ.

თუ ჭიჭიაშვილი ჩვეულებრივი კრიმინალია, მაგრამ მაკომპრომეტირებელ მასალას ფლობს საქართველოს სპეცსამსახურების და სამართალდამცავი სტრუქტურების ყოფილ თუ ახლანდელ ხელმძღვანელებზე, მაშინ ასეთ ოპერაციებში საკმაოდ გამოცდილი რუსეთის "ფსბ" ექვსი თვის მანძილზე ძალზე იოლად გადაიბირებდა მას, ლიმონივით "გამოწურავდა" და ახლა, უკვე მიღებული ინფორმაციით ერთდროულად ორ კურდღელს დაიჭერს:

ჯერ ერთი, ჩვენი სპეცსამსახურების ყოფილი თუ ახლანდელი თანამშრომლების "კომპრათი" დაშანტაჟების და შემდგომი გადაბირების მშვენიერი შანსი მიეცემა; და მეორეც - ექსტრადირებულ ჭიჭიაშვილს მისთვის ხელსაყრელი ოპერატიული დეზინფორმაციის (პიროვნებების და ოპერაციების შესახებ) გავრცელების ("შემოგდების") წყაროდ გამოიყენებს. სპეცსამსახურების ისტორიას მრავალი ასეთი ფაქტი ახსოვს.

ორივე შემთხვევაში წაგებული ჩვენ ვრჩებით, რადგანაც ექსტრადირებულის ჩვენებებზე უკრიტიკო დაყრდნობამ შეიძლება სწორ კვალს აგვაცილოს. ამიტომ ჩვენი სპეცსამსახურების ხელმძღვანელები პირველ რიგში იმაზე უნდა დაფიქრდნენ, რომ ჭიჭიაშვილის გადმოცემის ირგვლივ ატეხილი ეს, ფაქტობრივად, უსაგნო აჟიოტაჟი, ხომ არ არის საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი სხვა სპეცოპერაციის შესანიღბად გათვლილი მანევრი?

სპეცსამსახურების "საჭადრაკო დაფაზე" ხშირია, როცა პაიკის ან მსუბუქი ფიგურის (ანუ გაშიფრული ან უკვე უპერსპექტივო აგენტის) შეწირვით მოწინააღმდეგეს აშამათებენ ან პაიკი ლაზიერში გაჰყავთ.

ყველა პაიკს კი მეფობა უნდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული, რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ შოთა ჭიჭიაშვილის მიერ მიცემული ჩვენებები ყალბი იქნება. მაგრამ, უშიშროების სამინისტროს აქ აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინება სიფრთხილისათვის არ აწყენდა.

# ამერიკის დაზვერვა ფიდელ კასტროს წინააღმდეგ

ჰოლივუდის ერთ-ერთ ცნობილ კომედიაში პატარა წრუწუნამ ისე გააწამა მამის მემკვიდრეობით გახარებული ორი ძმა, რომ დიდი წვალებით დაჭერილი თაგუნა ყუთში ჩასვეს, შეფუთეს და ფოსტით კუბის ლიდერს - ფიდელ კასტროს გაუგზავნეს. თან, ალბათ, გაიფიქრეს - "შენც ისე დაგაქციოს, როგორც ჩვენ გაგვამწარაო." შეიძლება ეს იყო ამერიკელთა ყველაზე ალალი ხუმრობა, რადგანაც 1959 წლიდან მოყოლებული აშშ-ს სპეცსამსახურებს არაერთი უფრო "მწარე ხუმრობა" დაუგეგმავთ კუბის წვეროსანი დიქტატორის ლიკვიდაციის ან მისი კომპრომეტაციის მიზნით.

თავიდან აშშ-ში ფიდელს ნაკლებად სერიოზულ საფრთხედ განიხილავდნენ და მხოლოდ მის მსუბუქ კომპრომეტირებას ცდილობდნენ. ამ მიზნით 1960 წლის მარტში ცსს-ში შეიქმნა სპეცჯგუფი, რომელსაც ფიდელის, როგორც ახალგაზრდა და მთელ ლათინურ ამერიკაში უკვე ძალზე ქარიზმული (გარეგნობითა და ორატორობით) ლიდერის სახალხო პოპულარობის გაქარწყლების ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია დაევალა. ამერიკელი მზვერავების ფანტაზიას მართლაც რომ საზღვარი არ ჰქონდა, მათ ცსს-ის ტექნიკურ სამსახურთან ერთად წარმოადგინეს ფიდელის "მსუბუქად დაჩმორების" სამი გეგმა: პირველი ითვალისწინებდა სპეციალური ნარკოტიკული და ფსიქოტრონული საშუალებების გამოყენებას ფიდელის რადიოთი გამოსვლის წინ. კერძოდ, რადიოსადგურის ის სტუდია, საიდანაც კუბის ლიდერს ხალხისთვის უნდა მიემართა, დამუშავდებოდა ფსიქოტრონული აეროზოლებით და თანდათან "ჩაკაიფებულ" ფიდელს თავისი მრავალსაათიანი გამოსვლის ბოლოს "ენა ჩაუვარდებოდა" ან ისეთ სისულელეებს "იბაზრებდა", რომ მეორე დღეს გამარჯობასაც არავინ ეტყოდა. მაგრამ ეს გეგმა დაიწუნეს, რადგანაც ქიმიკოსები არ იყვნენ დარმუნებული, რომ ეს პრეპარატები ფიდელს, პირიქით - ლაპარაკის მადას არ გაუხსნიდა.


ფიდელ კასტრო

მეორე გეგმის მიხედვით ფიდელ კასტროს შეურაცხად მდგომარეობამდე მისაყვანად უნდა მოეხდინათ მისი საყვარელი ჰავანური სიგარების ფსიქოტრონული საშუალებებით დამუშავება. "მოხალისეებზე" ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ამ იდეის რეალურობა დაამტკიცა. გაამზადეს და ლამაზად შეფუთეს მოწამლული სიგარებით სავსე ყუთი, მოიფიქრეს მისი ფიდელისთვის საჩუქრად გადაცემის ლეგენდაც... მაგრამ ბოლო მომენტში, იმის შიშით, რომ ფიდელს, შესაძლოა, ეს სიგარები თვითონ კი არ გაებოლებინა, არამედ სხვა ქვეყნის პრეზიდენტისთვის საჩუქრად გაეგზავნა, ამ გეგმის რეალიზაციაზეც უარი თქვეს.

მესამე გეგმა, ალბათ, ყველაზე ფანტასტიკური იყო და მიზნად ისახავდა ფიდელის "სავიზიტო ბარათის" - წვერების განადგურებას. ცსს-მ შეიტყო, რომ კუბის ლიდერი ერთ-ერთ ქვეყანაში ვიზიტად მიემგზავრებოდა. საჭირო იყო, მის ტანსაცმელში ან ფეხსაცმელში შეუმჩნევლად სპეციალური ქიმიური ფხვნილი ჩაეყარათ, რომ მეორე დილას მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელს ოფიციალურ მოლაპარაკებებზე ფიდელ კასტრო კი არა, "ფანტომასი" შერჩენოდა ხელში. ცსს-ს ხელმძღვანელობა დიდ საერთაშორისო სკანდალს მოერიდა და ეს გეგმაც დაბლოკა. ცსს-ს ეს "მახვილგონივრული" ჩანაფიქრები ისტორიისთვის საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა აშშ-ის სენატის საგამოძიებო კომისია (ე.წ. "ჩერჩის კომიტეტი"), რომელიც 1975-1976 წლებში იძიებდა ამერიკის სპეცსამსახურების მიერ დაშვებულ კანონდარღვევებს. ამ კომიტეტმა უშუალო მონაწილეების ჩვენებების საფუძველზე ნათელი მოჰფინა კიდევ ბევრ სხვა საინტერესო მოვლენებს, რომელთა შესახებაც შემდგომში მოგითხრობთ.

გვერდი მოამზადა გიორგი აბესაძემ

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დარეკოს: 20 00 24

## ორშაბათი 2.02

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **09.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **16.30** ბუნდეს ლიგა **17.30** პერეკროსტოკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "ჯაშუში" **23.00** ღამის კურიერი **00.30.** მხ. ფილმი "მთვარის შუქი და ვალენტინო"

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **16.45** ოქროს მართვე **17.15** რამპა **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** მრავალჟამიერ **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.30** მოამბე **21.00** "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" **22.40** სერიალი "ჩემი ამერიკელი ბიძა" **23.40** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი"

### პირველი სტერეო
**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "კ-9". მთ.რ-ში ჯეიმს ბელუში, მელ ჰარისი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ფრანგული ნამცხვარი" მთ.რ-ში ჟულიენ ბაუმგარტნერი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე
**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "2001 წელი. კოსმოსური პაროდია" (ნესლი ნილსონი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "წითელი სიცხე"

### მეორე არხი
**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.35** კინოსეანსი "ცდომილი ალი" **21.30** მოგზაურობა სასტუმეთში **22.10** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" მე-2ს.

### კავკასია
**12.00** ინდური მხ. ფილმი "წვიმის სეზონი" **15.00** მხ. ფილმი "უძილობა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "დიკ ტრეისი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მილიონერთა ექსპრესი" **22.30** მხ. ფილმი "ფლიუკი" **00.30** მუსიკა

### იბერია
**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.45, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი "ზაფხულის ზღაპარი" **10.20** მხ. ფილმი "შემოდგომის ზღაპარი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.10, 18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" 1-ლი ს.

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.20, 11.50, 14.15, 17.50, 20.15** მუსიკა **10.30** რუს. სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" მე-15ს. **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **12.15** ქართ. ფილმი "ზოგი ჭირი მარგებელია" **13.40** "ბელისიმო" **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მხ. ფილმი "ვასაბი" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" მე-14ს. **18.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" 27-ე ს. **20.00** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-12ნ. **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ღამის მატარებელი **01.00** მხ.ფილმი "საქორწინო წვეულება"

### იმედი
**07.00, 12.00, 13.00** ქრონიკა **07.15, 11.50, 13.15, 17.20, 02.50** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის"დილა **10.00** "დროება" **11.25** "ერთხელ ჰოლივუდში" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "ლარის მახე" **14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** ქრონიკა **14.05** სერიალი "კლონი" **15.15** მხ. ფილმი "თავისუფალი სხეული" **17.25** ჩ - კლუზივი **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.00, 21.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **21.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **22.50** "არჩევანი თქვენ" **00.05** მხ. ფილმი "ავისტო" **01.55** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

### არხი
**08.00** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ჰაერის მეფე" **11.00, 13.50** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** დრამა "საბინა" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "ლ-9" **15.45** მუსიკა **16.20** მულტფილმი "ვინი პუჰი" **17.25** სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი" **18.50, 19.30** მუსიკა **20.00** თრილერი "პრეზიდენტის თვითმფრინავი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20, 03.05** მუსიკა **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** თრილერი "დაქირავებული მკვლელები" **03.40** მხატვრული ფილმი "მზით გატანჯულნი"

### ОРТ
**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Комедия "Собачья работа 2"** **12.00** Док. детектив "Приговор с продолжением" **12.40** "Следствие ведет Колобков" **13.20 Худ.фильм "Валерий Чкалов"** **15.00** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты"** **17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.30** "Шутка за шуткой" **20.00 Сериал "Земля любви, земля надежды"** **21.00** "Жди меня" **22.00** "Время" **22.30 Сериал "Следующий"** **23.30** "Криминальная Россия". "Тульская бойня", ч.1 **00.00** "Личная жизнь Е.Максимовой" **01.00** "Искатели". "Золотая стрела Батыя" **01.30** Док.фильм "Челленджер" **02.10 Боевик "За пригоршню динамита"** **04.40 Боевик "Почему я?"**

### РТР
**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Комедия "Эмигрант"** **11.40** "В Городке" **11.50, 14.45, 17.25, 01.15** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Что хочет женщина" **13.50** "Свои чужие" **15.30** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Детектив "Кобра. Антитеррор". "Князь тьмы"** **19.00 Мелодрама "Спас под березами"** **19.55 Сериал "Тайны следствия. Чужой крест"** **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал "Подари мне жизнь"** **23.00 Сериал "Неотложка"** **00.00** "Вести+" **00.20** "Дежурный по стране". М.Жванецкий **01.30 Боевик "Путь якудзы"** **02.45 Комедия "Чемодан"** **04.25** "Дорожный патруль"

### НТВ
**07.00** "Утро на НТВ" **09.50** "Женский взгляд". Н.Басков **10.25** "Без рецепта". Доктор Бранд **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Намедни" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.35 Комедия "Кара небесная"** **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип "Домино"** **18.30 Сериал "Она написала убийство"** **19.35** "Протокол" **20.40 Сериал "Стилет", 1 с. 21.50 Сериал "Я все решу сама", 1 с.** **23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа: Билет в никуда"** **00.45 Сериал "Стилет"**

## სამშაბათი 3.02

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **09.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **00.30** მხ. ფილმი "სიკვდილის წინასწარმეტყველება". მთ. რ-ში: დენის ჰოპერი, სანდრა ლოკი

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "მარტინ გერის დაბრუნება" **17.00** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** "სათავეებთან" **22.30** სერიალი "ჩემი ამერიკელი ბიძა" **23.40** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ"მე-3ს

### პირველი სტერეო
**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "კ-911" მთ.რ-ში ჯეიმს ბელუში, კრისტინ ტუჩი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "გურუ" მთ.რ-ში ჰიზერ გრეჰემი, ჯიმი მისტრი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე
**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ბუნკერი" (ჯეისონ ფლემინგი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ნიუ-იორკის ბანდები" (ლეონარდო დი კაპრიო)

### მეორე არხი
**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.30** კინოსეანსი "სანუკვარი ოცნებები" **21.00** ისტორიანი **21.30** პალიტრა **22.10** მხ. ფილმი "რემბო-2"

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი "მილიონერთა ექსპრესი" **13.30** მხ. ფილმი "ფლიუკი" **15.00** მხ. ფილმი "ერინ ბროკოვიჩი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ღრუბლებს მიღმა" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "დიდი რბოლა" **00.30** მუსიკა

### იბერია
**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 17.20, 19.30, 20.30, 23.30, 00.55** მუსიკა **11.00** დოკ. ფილმი **12.00** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" **17.30, 18.00** დოკ. ფილმი **20.00** ჯაზის საღამოები (გაგრ.) **21.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" მე-2 ს

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.30, 17.50, 22.30** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "საქორწინო წვეულება" **14.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **17.50** დოკ. ფილმი "გაზაფხული ჯავახეთში" **18.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** "ცხელი ცხრიანი" **23.50** სერიალი "ედგარ ალან პოს საიდუმლო ამბავი" 1ს. **01.00** მხ. ფილმი "ღვთისაგან დავიწყებული"

### იმედი
**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.35, 17.20, 00.50** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"** **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მულამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **15.15** მხ. ფილმი "ავისტო" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.35** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "უკომპრომისოდ"

### არხი
**08.00** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** კომედია "პლუტო ნეში" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** თრილერი "პრეზიდენტის თვითმფრინავი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი "პრეზიდენტის თვითმფრინავი" (გაგრძ.) **15.50** მუსიკა **16.20** მულტფილმი "აბა, დამაცადე!" **17.20** კომედია "აგენტი მეტსახელად სპოტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.10** დრამა "თოჯინები" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20, 03.20** მუსიკა **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მელოდრამა "ქალბატონის პორტრეტი" **03.25** ისტორიული ფილმი "რანი"

### ОРТ
**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Следующий"** **11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды"** **12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "Плата за проезд"** **15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты"** **17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.30** "Кумиры". Д. Харатьян **20.50 Сериал "Моя граница"** **22.00, 00.30** "Время" **22.30 Сериал "Следующий"** **23.30** "Тайны века". "Последний полет В. Чкалова" **00.50** "На футболе" **01.20** "Сканер" **01.50** "Гении и злодеи" **02.20 Худ.фильм "Охота на бабочек"** **04.20 Худ.фильм "Подразделение "Морские котики"**

### РТР
**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал "Подари мне жизнь"** **10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.50, 14.45, 17.25, 01.15** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Что хочет женщина" **13.50, 23.00 Сериал "Неотложка"** **15.30** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Детектив "Кобра. Антитеррор". "Охота на первого"** **19.00 Мелодрама "Спас под березами"** **19.55 Сериал "Тайны следствия. Чужой крест"** **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал "Подари мне жизнь"** **00.00** "Вести+" **00.20** "Как Сталин снимал кино". Фильм 2 **01.30 Худ.фильм "Радиоволна"** **03.45** "Дорожный патруль" **04.00** "Агентство одиноких сердец". **04.25 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ
**07.00** "Утро на НТВ" **09.55 Сериал "Я все решу сама"** **11.00** "Сегодня утром" **11.25** Экспедиция Т. Баженова "Дикий мир" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.55** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "ЧП - чрезвычайное происшествие", 1 с.** **15.15** "Профессия - репортер". "Цыгане" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип "Домино" **18.30 Сериал "Она написала убийство"** **19.35** "Протокол" **20.40 Сериал "Стилет", 2 с. 21.50 Сериал "Я все решу сама", 2 с.** **23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа: Он видел, она видела"** **00.45 Сериал "Стилет"**

## ოთხშაბათი 4.02

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **23.00** ღამის კურიერი **00.30** მხ. ფილმი "ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი"

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" მე-3ს. **11.25** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "მხატვრები" **15.00** კალათბურთი. თბილისის "მაკაბი"-"ქუთაისი". შესვენებისას მოამბე. **16.30** დოკ. ფილმი "პლაცებო-მოჩვენებითი სამკურნალო საშუალება" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** "მათი შვილები" **22.25** სერიალი "ჩემი ამერიკელი ბიძა" **23.40** მხ. ფილმი "ღორები"

### პირველი სტერეო
**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "მარტოხელა ვარსკვლავის შტატი" მთ.რ-ში ჯოშუა ჯეკსონი, ჯეიმ კინგი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ჰიტლერი: ეშმაკის აღმასვლა" მთ.რ-ში რობერტ კარლაილი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე
**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00** მხ. ფილმი **13.25** მხ. ფილმი **15.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **15.10** მხ. ფილმი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "რელსებიდან გადასული" (ვან დამი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "გენერლის ქალიშვილი" (ჯონ ტრავოლტა)

### მეორე არხი
**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.35** კინოსეანსი "ფრენის სიჩქარე" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "ვენდრება"

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი "დიდი რბოლა" **15.00** მხ. ფილმი "გოძილა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ბრწყინვალება" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სასაცილო გოგონა" **00.30** მუსიკა

### იბერია
**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **12.50, 14.50, 18.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" **17.30** მულტფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **21.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ლიფტი ეშაფოტზე"

### მეცხრე არხი
